

4/2023

# შვედარეზიტი სამართლი

ქართული-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische  
ZEITSCHRIFT FÜR  
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განგრძობითი იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR  
INTERNATIONALE RECHTLICHE  
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium  
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



in collaboration with  
Andersen Global in Georgia

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2023

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2023

© ავტორები, 2023

www.lawjournal.ge

## მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე  
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

## გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატო დოქ. ტიცინანა ქიუზი  
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი  
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი  
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი  
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი  
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი  
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი  
პროფ. ტანელ კერიკმაე  
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა  
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე  
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული  
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი  
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია  
ფრანკ ჰუპფელდი  
ხათუნა დიასამიძე  
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე  
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია  
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი  
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე  
დავით მაისურაძე  
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი  
ადვოკატი თემურ ბიგვავა  
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი  
ხატია პაპიძე  
დოქ. არჩილ ჩოჩია  
პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე  
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე  
დემეტრე ეგნატაშვილი  
ადვოკატი ქეთევან ბუაძე  
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე  
თორნიკე დარჯანია  
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი  
რაჟდენ კუპრაშვილი  
სულხან გველესიანი  
ნატალი გოგიაშვილი

## ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

## სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშბაია  
თათია ჯორბენაძე  
ანა ბაიაძე  
ტილმან სუტორი



# სარჩევი

## სტატიები

პიროვნულობის ზოგადი უფლების (das allgemeine Persönlichkeitsrecht) დარღვევა მედიაში გაშუქებით <i>ულრიხ ჰაგენლოხი</i>	7
თანამსრულებლობა და თანამონაწილეობა ყაჩაღობის მაგალითზე <i>თემურ ცეციტიშვილი</i>	42
სამართლებრივი სიკეთე ნარკოტიკული დანაშაულისას <i>თემურ ცეციტიშვილი</i>	55

## სასამართლო პრაქტიკა

სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა (ბერულავა)	68
დელიქტური მოთხოვნის გამარტივებული წესით განხილვა (ბერულავა)	69
სარჩელის უზრუნველყოფის შეზღუდვა (ბერულავა)	72
ბათილი გარიგების სამართლებრივი შედეგები (ბერულავა)	75
ადმინისტრაციული სარჩელის სათანადო სახე (ბერულავა)	76
სასამართლო უწყების ჩაბარება (ბერულავა)	77
სხდომაზე გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზით (ბერულავა)	79
სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული ზიანი (ბერულავა)	81
თვალთმაქცური გარიგება (ბერულავა)	82
„სარკისებური ასახვის პრინციპი“ (ბერულავა)	85

## ანგარიში

კონფერენცია „გერმანული და ქართული ნოტარიატის გაციფრულება“ <i>ნინო ხარიტონაშვილი</i>	88
--	----



# პიროვნულობის ზოგადი უფლების (das allgemeine Persönlichkeitsrecht) დარღვევა მედიაში გაშუქებით

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2022 წლის გადაწყვეტილებების განხილვა\*

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი

გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ მედია-გაშუქებისას პიროვნულობის ზოგადი უფლების (das allgemeine Persönlichkeitsrecht) დაცვის შესახებ თავისი სასამართლო პრაქტიკა 2022 წელს რამდენიმე გადაწყვეტილებით დააკონკრეტა. საკითხი ეხებოდა ძირითადად იმას, თუ რამდენად არღვევს გარდაცვალების გარემოებების შესახებ ცნობების გაშუქება გადარჩენილთა პიროვნულობის ზოგად უფლებას, რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გამოქვეყნდეს პოლიციელის ფოტო სიტყვიერი ფორმით გამოხატულ პუბლიკაციასთან ერთად, რა ფარგლებში შეიძლება გაშუქდეს პირადი ცხოვრებიდან ურთიერთობების შესახებ ცნობები და როდის არის დასაშვები ბრალდებულის იდენტიფიცირება ან მისი სახელის დასახელება სისხლის სამართლის პროცესის მედიაში გაშუქებისას.

## I. მედიაპუბლიკაციებში პირადი სფეროს, ნდობის სფეროს და კარგი რეპუტაციის დაცვის ზოგადი პრინციპები:

გადაწყვეტილებების უკეთ გასაგებად, წინმსწრებად უნდა იყოს წარმოდგენილი გერმანიაში დადგენილი სასამართლო პრაქტიკის ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები, რამდენადაც

ისინი შესაბამის საფუძველს წარმოადგენენ განხილული გადაწყვეტილებებისთვის.

1. გერმანიაში არ არსებობს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“<sup>1</sup> საქართველოს კანონის მსგავსი ნორმატიული აქტი. აქედან გამომდინარე, ძირითადი პრინციპები გამომდინარეობს უშუალოდ კონსტიტუციიდან, ანუ ძირითადი კანონიდან (შემდგომში: გძკ) და გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან (შემდგომში: გსკ).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ევროპული სასამართლო) ინტერპრეტაციის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (კონვენციის) გარანტიები გავლენას ახდენენ კონსტიტუციის ძირითადი უფლებების არსებით გაგებაზე. მართალია, კონვენციას აქვს მხოლოდ ფედერალური კანონის სტატუსი (გძკ-ის 59 II), ე.ი. რანგობრივად ეროვნული კონსტიტუციის ქვემოთ დგას, თუმცა, დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, გძკ-ის 1 II მუხლის მიხედვით (შდრ. საქართველოს კონსტიტუციის 4 II 1) კონვენციის გარანტიები დიდ ზეგავლენას ახდენენ კონსტიტუციის ძირითადი უფლებების შინაარსობრივ

\* გერმანულიდან თარგმნა ნატალი გოგიაშვილმა.

<sup>1</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=7>.

ინტერპრეტაციაზე.<sup>2</sup> პრაქტიკაში აღნიშნული ნიშნავს, რომ გერმანიის სასამართლო პრაქტიკა, კონსტიტუციის ძირითადი უფლებების ინტერპრეტაციისას, შესაბამისობაში მოდის კონვენციის შესაბამის დებულებებთან და ამით უზრუნველყოფს, რომ ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების საქმეებს შორის არსებითი მსგავსება უზრუნველყოფილი იყოს. ამასთან დაკავშირებით, ფედერალური უმაღლესი სასამართლო განმარტავს, რომ კონვენცია ეროვნული კანონის ინტერპრეტაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს „როგორც განმარტების სახელმძღვანელო“.<sup>3</sup> ასევე ხშირად მიუთითებს, რომ კონსტიტუციის ძირითადი უფლებები უნდა განიმარტოს კონვენციის „ჭრილში“.<sup>4</sup> მსგავსი სამართლებრივ-დოგმატური გზით გერმანიის სასამართლო პრაქტიკა ასევე უზრუნველყოფს, რომ ეროვნული სამართალი სხვა სფეროებშიც შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართალს.<sup>5</sup>

2. შედეგად, გერმანიაში პიროვნულობის ზოგადი უფლების დაცვა ემყარება გძკ-ის 2 I და გძკ-ის 1 I მუხლებს ერთობლიობაში (შდრ. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი მე-12 მუხლთან ერთობლიობაში), ასევე კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლ პუნქტს. მედიაში გაშუქების კონტექსტში, პიროვნულობის ზოგადი უფლების მანიფესტაციისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

- პირადი სფეროს პატივისცემის დაცვა;
- კონფიდენციალობისა და საიდუმლო სფეროების დაცვა;

- კარგი რეპუტაციის დაცვა. (შდრ. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი).

პირადი სფეროს დაცვის საკითხი ვრცელდება, ერთის მხრივ, გარკვეულ სივრცით არეალზე. ამასთან, ის ასევე ვრცელდება ინფორმაციის გარკვეულ საკითხებზე, უპირველეს ყოვლისა, პუბლიკაციის შინაარსობრივ თემატიკასთან დაკავშირებით, რომელიც, მისი პირადი ხასიათის გამო, ავტომატურად არ განეკუთვნება საზოგადოებრივ ინტერესს. კონფიდენციალურობისა და საიდუმლოების დაცვა ძირითადად ეხება ინფორმაციის მიღების გზას, ვიდრე მის საგანს. კარგი რეპუტაციის დაცვისას ყურადღება გამახვილებულია, თუ რა უარყოფითი გავლენა აქვს დაინტერესებულ პირზე პუბლიკაციებს, კერძოდ, სოციალური და პროფესიული მოთხოვნებისა და პირადი ღირსების გათვალისწინებით. თუმცა, ამ ასპექტებმა ასევე შეიძლება ერთიანი გაშუქების ფარგლებში ერთმანეთი გადაფარონ ან აკუმულირდნენ.

ა) პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ყველას ანიჭებს საკუთარი ცხოვრების ავტონომიურ სფეროს, რომელშიც მას შეუძლია განავითაროს და აღიქვას თავისი ინდივიდუალურობა და გამორიცხოს ყველა სხვა პირების მხრიდან მასში ჩახედვა.

აა) ეს მოიცავს უფლებას, მიეკუთვნებოდეს საკუთარ თავს და ხელი შეუშალოს სხვებს საკუთარი დაცვის ზონაში შემოჭრისაგან.<sup>6</sup>

(1) პირადი სფერო მოიცავს სივრცით განსაზღვრულ ტერიტორიას, რომელშიც ინდივიდებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ თავისუფალნი სა-

<sup>2</sup> სამართლებრივ-დოგმატური წარმოშობის შესახებ დეტალურად: BVerfG, Beschluss vom 29. Januar 2019 - 2 BvC 62/14 - BVerfGE 151, 1, juris Rn. 60 ff., insb. Rn. 69; BVerfG, Beschluss vom 16. Dezember 2021 - 1 BvR 1541/20 - BVerfGE 160, 79, juris Rn. 101; შდრ. გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკიდან: BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris Rn. 17.

<sup>3</sup> BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris Rn. 17.

<sup>4</sup> ბოლოს: BVerfG, Beschluss vom 8. November 2022 - 2 BvR 2480/10 - juris Rn. 166.

<sup>5</sup> შდრ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ (კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ): BVerfG, Beschluss vom 16. Dezember 2021 - 1 BvR 1541/20 - BVerfGE 160, 79, juris Rn. 102.

<sup>6</sup> შდრ. BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 35; BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR 2021, 52, juris Rn. 15, დაკრძალვის შემდეგ მალევე საფლავის ადგილის შესახებ პუბლიკაცია; BGH, Urteil vom 7. Juli 2020 - VI ZR 246/19 - NJW 2020, 3715, juris Rn. 34, ცნობილი წყვილის (არასაჯარო) განქორწინების თარიღის შესახებ პუბლიკაცია.



ზოგადოებრივი დაკვირვებისა და ამით გამონ-ვეული თვითკონტროლისგან. ამ დაცულ სფეროში ინდივიდს უნდა მიეცეს უფლება, საკუთარ თავთან იყოს, დაისვენოს ან მისგან „გათავისუფლდეს“.<sup>7</sup> ამ დაცვის სფეროში ექცევა სახლის გარემო და სხვა პირადი დასასვენებელი ადგილები, მათ შორის სასტუმროს ოთახი, დასასვენებელი სახლი ან კერძო ნვეულება იმ ადგილას, სადაც შესვლა საზოგადოებისთვის არ არის ხელმისაწვდომი. რა თქმა უნდა, ასევე არსებობს ამ ძირითადი პირადი დასასვენებელი ადგილების შესაბამისი გრადაციები. მაგალითად, დასასვენებლად განკუთვნილი სასტუმროს რესტორანი უფრო პირადია, ვიდრე კინოფესტივალზე ბანკეტი.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო და ფედერალური უმაღლესი სასამართლო ამ პრინციპებით ეხმებიან ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომლის თანახმადაც, კონვენციის მე-8 მუხლიდან აღმოცენებული გარანტია, უპირველეს ყოვლისა, გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ თითოეული ინდივიდის პიროვნულობა შეიძლება განვითარდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ფარგლებში გარე ჩარევის გამორიცხვით. შესაბამისად, ინდივიდსა და მესამე მხარეებს შორის უნდა არსებობდეს ინტერაქციული სივრცე (ინგლისურ ორიგინალში: „zone of interaction“), რომელიც ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ „პირად ცხოვრებას“ საჯარო კონტექსტში.<sup>8</sup> ამიტომ ყველას აქვს ძირითადი უფლება, იცხოვროს თავისთვის, არასასურველი ყურადღების მიღმა გარკვეულ ტერიტორიაზე.<sup>9</sup> მხო-

ლოდ ამ გზით შეუძლია ინდივიდს გააცნობიეროს გარკვეულ სფეროებში „სიმშვიდეში დარჩენის“ საჭიროება.<sup>10</sup>

(2) **თემატური** დაცვის ფარგლები მოიცავს საკითხებს, რომლებიც, როგორც წესი, კლასიფიცირებულია, როგორც „პირადი“ მათი ინფორმაციის შინაარსის გამო, მაგალითად, იმიტომ, რომ მათი საჯარო განხილვა ან ჩვენება არასათანადოდ არის მიჩნეული, მათი გამჟღავნება აღიქმება უხერხულად ან იწვევს გარემოს მხრიდან არასასურველ რეაქციებს.<sup>11</sup> დაცვის ამ ზონას, რომელიც დამოკიდებულია ინფორმაციულ თემატიკაზე, არ აქვს რაიმე ფიქსირებული კონტურები.

ერთის მხრივ, აღნიშნული საკითხი დამოკიდებულია გარკვეულ ჩარჩოებში თავად დაინტერესებული პირის ქცევაზე, იმაზე თუ მას როგორ ესმის „პირადი“ და, უპირველეს ყოვლისა, რას მოიაზრებს „პირადში“. მეორეს მხრივ, პრესის პუბლიკაციების სახეობიდან და სტრუქტურრიდან გამომდინარე, ერთი და იგივე თემის განხილვამ შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავებული ინტენსივობით მოახერხოს დაცვის პირად სფეროში ჩარევა. მაგალითად, ცნობილი ადამიანების საჯარო ქორწილის შესახებ პუბლიკაციისას, პატარძლის საქორწილო კაბის აღწერა ზოგადად არ არის პირადი საკითხი. თუმცა, ეს შეიძლება გახდეს „უხამსი“ - და, შესაბამისად, პირადი, თუ პატარძალთან მოხდება უხამსად დაკავშირება.

განსაკუთრებით მაღალი დაცვის ინტენსივობა ეხება ისეთ პირად სფეროს, როდესაც ინფორმაციის მინოდება ხდება **დიდი ემოციური სტრესის სიტუაციებთან დაკავშირებით**, როგორცაა ნათესავის ან ახლობელი ადამიანის

<sup>7</sup> BVerfG, Beschluss vom 26. Februar 2008 - 1 BvR 1602/07 - BVerfGE 120, 180, juris Rn. 47, კეთილშობილი ოჯახის ცნობილი წევრის პირად და ყოველდღიურ ცხოვრებაზე ფოტორეპორტაჟი; BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 35.

<sup>8</sup> EGMR, Urteil vom 24. Juni 2004 in Sachen Hannover v. Germany, Application no. 59320/00, Rn. 57 ff.; EGMR, Urteil vom 09. April 2019 in Sachen Altay v. Turkey, Application no. 11236/09, Rn. 49; weitere Nachweise bei: EGMR, Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights, updated on 31 August 2022 -

[https://www.echr.coe.int/documents/guide\\_art\\_8\\_eng.pdf](https://www.echr.coe.int/documents/guide_art_8_eng.pdf) Rn. 78 ff., insb. Rn. 80.

<sup>9</sup> შდრ. EGMR, Urteil vom 10. Januar 2019 in Sachen Ismayilova v. Azerbaijan, Applications nos. 65286/13 und 57270/14, Rn. 139.

<sup>10</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 35

<sup>11</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 35; BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR 2021, 52, juris Rn. 15.

გლოვა. მწუხარებას შეუძლია გამოიწვიოს გრძნობების, პირადი ემოციებისა და ქმედებების გამოხატვა, რომლებიც აშკარად არ არის განკუთვნილი მესამე პირის თვალისა და ყურისთვის.<sup>12</sup> ასეთი დიდი ემოციური სტრესის მდგომარეობა, რომელსაც პირადი სფეროს დაცვის უფლება ფარავს, ასევე შეიძლება იყოს ახლო ნათესავის სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხიდან გამომდინარე შიშები. ლეგიტიმური მოლოდინი, რომ არ გახდეს ცნობისმოყვარეობისა და სენსაციის ობიექტი ახლო ნათესავის გლოვის ან მისი სიცოცხლის გადარჩენასთან დაკავშირებული შიშის განცდის მომენტში, ასევე შეიძლება არსებობდეს სივრცითი იზოლირებულობის მიღმა, ანუ საკუთარი სივრცითი დაცვის ზონის გარეთ და აღნიშნული პირადი სფეროს დაცვის ნაწილი გახდეს.<sup>13</sup>

ზოგადად, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ ინფორმაციის სიღრმისა და დეტალების დონის მიხედვით, ინფორმაციის გავრცელება ოჯახური სივრციდან<sup>14</sup> ან საზოგადოებისგან დაფარული სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ<sup>15</sup>, შეიძლება მიეკუთვნებოდეს პირადი სფეროს დაცვის საკითხებს (იხ. დეტალურად ქვემოთ II. 4. და 5.).

ბ.ბ) თუმცა, პირადი სფეროს დაცვა შეიძლება გამოირიცხოს ან ინტერესების შენონადობისას (იხ. ქვემოთ დ)) შემცირდეს, თუ დაინტერესებულმა პირმა პირად სფეროდ მიჩნეული გარკვეული საკითხები თავად გაასაჯაროვა ან მე-

სამე მხარის მეშვეობით დაადასტურა ეს ინფორმაცია (ე.წ. თვითგასაჯაროება).<sup>16</sup> პირადი სფეროს სრულად დაცვა რომ მოხდეს, დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოსატონ სიტუაციასთან დაკავშირებულად და თანმიმდევრულად თავიანთი მოლოდინი, რომ ასეთ გარემოებებს ან ქმედებებს ზღუდავენ ან არ იზიარებენ.<sup>17</sup> ასეთი შემთხვევის მაგალითები უფრო დეტალურად განიხილება ქვემოთ II. 1., 3., 4. და 5.

გ.გ) პირადი სფეროს დაცვის არსებითი მახასიათებლების შემოკლებულად გადმოცემა შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

ერთის მხრივ, არსებობს ძალიან პირადი სივრცითი არეალი, რომელშიც ყველას უნდა შეეძლოს საკუთარი პირადი და ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზება ისე, რომ აღნიშნული შეესაბამებოდეს მის პირად წარმოდგენებს. მისი პიროვნების ამ თავისუფალ განვითარებაში, ის პერსონალური რეგენერაციის ამ ადგილას არ უნდა იყოს შეზღუდული მესამე მხარის არასასურველი ყურადღებით და, ამდენად, შესაძლო რეაქციაზე ფიქრით, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომლებიც ზოგადად კლასიფიცირდება, როგორც პირადი. სწორედ მესამე მხარის ეს რეაქციები, რომლებიც, შეიძლება, ასოცირებული იყოს პირადი სფეროს პუბლიკაციებთან, ლატენტურ საფრთხეს უქმნის პიროვნების თავისუფალ განვითარებას, რადგან მათ შეუძლიათ ხელი შეუშალონ დაინტერესებულ პირს, იცხოვროს თავის პირად განცალკევებულ სივრცეში საკუთარი წარმოდგენების მიხედვით, და

<sup>12</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 35, განხილულია: II. 1.; BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR 2021, 52, juris Rn. 15.

<sup>13</sup> BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 24, განხილულია: II. 1.; BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR 2021, 52, juris Rn. 41.

<sup>14</sup> BGH, Urteil vom 12. Juni 2018 - VI ZR 284/17 - NJW 2018, 3509, juris Rn. 11, პუბლიკაცია „დაკარგულ ძმასთან შეხვედრაზე“.

<sup>15</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 9; განხილულია: II. 4. und 5.; შდრ. BGH, Urteil vom 2. Mai 2017 - VI ZR 262/16 - NJW-RR 2017, 1516, juris Rn. 22 ff.

<sup>16</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 44 f.; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 32; BGH, Urteil vom 12. Juni 2018 - VI ZR 284/17 - NJW 2018, 3509, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 20. Dezember 2011 - VI ZR 261/10 - NJW 2012, 771, juris Rn. 14; შდრ. ასევე EGMR, Urteil vom 7. Februar 2012 in Sachen Axel Springer AG v. Germany, Application no. 39954/08, NJW 2012, 1058, Rn. 210.

<sup>17</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 44; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 32; BGH, Urteil vom 14. Dezember 2021 - VI ZR 403/19 - VersR 2022, 449, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 12. Juni 2018 - VI ZR 284/17 - NJW 2018, 3509, juris 14.

ასევე უბრალოდ „განთავისუფლდეს“ საზოგადოების რეპუტაციის ბორკილებისაგან.

მეორეს მხრივ, არსებობს **შინაარსობრივ-თემატური კომპონენტი**, რომელიც თავადვე არჩეული გარე დაცვის ზონის მიღმა ასევე მოითხოვს პირადულობის ძირითადი საფუძვლის დაცვას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება იმ შემთხვევას, როდესაც დაცული სივრცის დატოვება არ ხდება ნებაყოფლობით, არამედ უაღრესად პირადული და ემოციური საკითხები შემთხვევითობის შედეგად გახდა საჯაროობის მატარებელი ან მისი ბუნებიდან გამომდინარე დაკავშირებულია გარკვეულ საჯარო ინტერესთან.<sup>18</sup> უბედური შემთხვევები, რომლებიც საჯაროდ აღქმადია და მასთან დაკავშირებული ემოციური სტრესი და დაზარალებულთა რეაქციები შეიძლება იყოს მაგალითი პირველი ტიპის შემთხვევისთვის; რამდენადაც შემთხვევის ადგილზე და შესაბამისად საზოგადოებაში აშკარად ხდება რეაქციების გამოხატვა. მეორე სცენარის მაგალითია დაკრძალვის ცერემონიები, სადაც განსაკუთრებით ცხადია, რომ მონაწილე პირები პიროვნების თავისუფალი განვითარების საფუძველზე, რომელიც ასევე მოიცავს გლოვის გარეგნულ ფორმას და გამომშვიდობების ხერხს, არ შეიძლება შეფერხდნენ მესამე პირისგან მომავალი არასასურველი ყურადღების გამო.<sup>19</sup>

ბ) პიროვნულობის ზოგადი უფლებების კიდევ ერთი სპეციფიკური ფორმაა **კონფიდენციალობისა და საიდუმლოების სფეროები**.

ეს იცავს ინტერესს, რომ პირადი კომუნიკაციის შინაარსი არ გახდეს საჯარო და რომ საუბარი არ იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის განსხვავებული ფორმით.<sup>20</sup> თუმცა, ეს დაცვა **აბსოლუტურია მხოლოდ გამონაკლის**

**შემთხვევებში**. ეს ეხება, მაგალითად, ხმოვანი ჩანაწერების უნებართვო გავრცელებას, რადგან გაუღებელი სიტყვის უფლება განეკუთვნება პიროვნულობის უფლების სფეროს, რომელიც განსაკუთრებულად იმსახურებს დაცვას.<sup>21</sup> აბსოლუტური დაცვა ასევე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი მოხვდა იმ ადამიანების ჯგუფში, რომლებსაც დაინტერესებული პირი მიიჩნევს, როგორც სანდო და საიდუმლოს შემნახავ პირად,<sup>22</sup> ან თუ სატელეფონო ზარს ჩუმად მოუსმინეს.<sup>23</sup> თუმცა, ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც კონფიდენციალურ სფეროებში მოპოვებულ დაფარულ ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის და მისი ცოდნის ინტერესი აშკარად აღემატება იმ მინუსებს, რასაც კანონის დარღვევა იწვევს დაინტერესებული პირისთვის და სამართლებრივი სისტემისთვის.<sup>24</sup> ეს პრაქტიკული მნიშვნელობისაა, განსაკუთრებით იმ სფეროებისთვის, რასაც საგამოძიებო ჟურნალისტიკა ეწოდება.

ინტერესების შენონვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვა **არაკეთილსინდისიერი ქმედებები** (იხ. ქვემოთ I. 2. დ)), რომლებიც ზოგადად არ ეწინააღმდეგება საჯაროდ გამოქვეყნების უფლებას. აღნიშნული მოქმედებს იმისდა მიუხედავად, კომუნიკაცია, რომელიც კონფიდენციალურად ითვლება, ეხება განცხადების გამკეთებელს თუ მესამე პირს.<sup>25</sup> ამ მხრივ - არავტორიზებული ხმოვანი ჩანაწერების გავრცელებისგან განსხვავებით - წინა პლანზე წამოწეულია არა ხმა, როგორც განსხვავებული პიროვნულობის ნაწილი, არამედ ნათქვამის შინაარსი და, უპირველეს ყოვლისა, იმედგაცრუებული

<sup>18</sup> შდრ. პირადი სფეროს სივრცითი და თემატური გამოხატულების დიფერენციალზე ასევე BGH, Urteil vom 30. April 2019 - VI ZR 360/18 - NJW 2020, 53, juris Rn. 11.

<sup>19</sup> BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR 2021, 52, juris Rn. 15.

<sup>20</sup> BGH, Urteil vom 26. November 2019 - VI ZR 12/19 - NJW 2020, 770, juris Rn. 32; BGH, Urteil vom 30. September 2014 - VI ZR 490/12 - NJW 2015, 782, juris Rn. 15.

<sup>21</sup> BGH, Urteil vom 10. März 1987 - VI ZR 244/85 - NJW 1987, 2667, juris Rn. 17.

<sup>22</sup> BVerfG, Beschluss vom 25. Januar 1984 - 1 BvR 272/81 - BVerfGE 66, 116, juris Rn. 54.

<sup>23</sup> BGH, Urteil vom 10. März 1987 - VI ZR 244/85 - NJW 1987, 2667, juris Rn. 17.

<sup>24</sup> BVerfG, Beschluss vom 25. Januar 1984 - 1 BvR 272/81 - BVerfGE 66, 116, juris Rn. 54 ff., პრესის ორგანოს სარედაქციო კონფერენციაზე შეპარვისა და სარედაქციო კონფერენციის მიმდინარეობის აღწერის შესახებ პუბლიკაცია; თუმცა, უარყვეს პუბლიკაციის დასაშვებობა.

<sup>25</sup> BGH, Urteil vom 10. März 1987 - VI ZR 244/85 - NJW 1987, 2667, juris Rn. 15.

ნდობა თანამოსაუბრის კონფიდენციალურობაში. არ არსებობს საიდუმლოების შენარჩუნების სურვილის ზოგადი დელიქტური დაცვა ასეთი არაკეთილსინდისიერებისგან, მით უმეტეს, რომ დაინტერესებულ პირს შეუძლია გარკვეულწილად თავი დაიცვას მათგან.<sup>26</sup>

**სხვა უკანონოდ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებასთან** დაკავშირებით განმარტებზე მითითებები იქნება ქვემოთ II 1. დ).

გ) ამასთან, **კარგი რეპუტაციის დაცვა** ექცევა პიროვნულობის უფლების დაცვის ქვეშ.<sup>27</sup>

ა.ა) აღნიშნული დაცვა უპირველესად მოიცავს არაზუსტ ფაქტობრივ განცხადებებს, მათ შორის, იმ გამონათქვამებს, რომლებიც დაინტერესებულმა პირმა არ გააკეთა ან ამ გზით არ გააკეთა.<sup>28</sup>

განსაკუთრებული პრობლემა ჩნდება ისეთი ფაქტების გავრცელებისას, რომელთა შინაარსობრივი ჭეშმარიტება გაურკვეველია პუბლიკაციის დროს (ე.წ. **ექვსის შესახებ პუბლიკაციები**). აქ მოქმედი პრინციპები აღწერილია უფრო დეტალურად II. 6. ა) დდ) სისხლის სამართლის პროცესის შესახებ პუბლიკაციაში.

აქ ნახსენები კრიტერიუმები, ზოგადად, ასევე მოქმედებს ცილისმწამებლური ხასიათის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ სხვა პუბლიკაციებზეც. თუ გაურკვეველია, არის თუ არა აღნიშნული ინფორმაცია სწორი, სიმართლის ინტერესების დაცვის პრინციპების (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლი) შესაბამისად, პუბლიკაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულებათა მინიმალური რაოდენობა, რომლებიც მეტყველებენ ინფორმაციის სისწორეზე და ამით მას

„საჯარო ღირებულებას“ ანიჭებენ. გარდა ამისა, პუბლიკაციამ პრეიუდიციული აღწერით არ უნდა შექმნას არასწორი შთაბეჭდილება, რომ დაინტერესებული პირი უკვე დამნაშავედაა ცნობილი იმ ქმედებისთვის, რომელშიც მას ბრალი ედება. ინფორმაციის მოცულობის გაზრდისა და მისი უფლებების დაცვის მიზნით (*et audiatur altera pars*), გამოქვეყნებამდე, ჩვეულებრივ, გამოკვლეულ უნდა იქნას დაინტერესებული პირის პოზიცია. და ბოლოს, ეს უნდა იყოს სერიოზული მნიშვნელობის საკითხი, რომლის გავრცელებაც გამართლებულია ინფორმაციის საჯარო საჭიროებით.<sup>29</sup>

შემდგომი მოთხოვნაა, რომ განცხადების დადებამდე ან გავრცელებამდე საკმარისად ფრთხილად იყოს გამოკვლეული სიმართლე. ამასთან, რაც უფრო ძლიერად ერევა განცხადება პიროვნების უფლებაში, მით უფრო მაღალია მოთხოვნები ჟურნალისტური ზრუნვის მოვალეობის შესრულებაზე. ჭეშმარიტების შინაარსის საგულდაგულო კვლევის მოვალეობები, როგორც წესი, უფრო მკაცრია მედიისთვის, ვიდრე კერძო პირებისთვის, რადგან პრესის ორგანოებს აქვთ ინფორმაციის გადამოწმების უკეთესი საშუალებები და, როგორც წესი, ბევრად უფრო ფართოდ ზემოქმედებენ თავიანთი პუბლიკაციებით. მიუხედავად ამისა, გამოხატვის თავისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება რაიმე მოთხოვნები იყოს წამოყენებული კვლევის ვალდებულებისათვის, რაც შეამცირებს ძირითადი უფლების განხორციელების სურვილს და ამით შეზღუდავს თავისუფალი კომუნიკაციის პროცესს.<sup>30</sup>

<sup>26</sup> BGH, Urteil vom 26. November 2019 - VI ZR 12/19 - NJW 2020, 770, juris Rn. 32; BGH, Urteil vom 10. März 1987 - VI ZR 244/85 - NJW 1987, 2667, juris Rn. 18.

<sup>27</sup> EGMR, Entscheidung vom 27. November 2018 in Sachen Herman-Bischoff c. Allemagne, Application no. 28482/13 - AfP 2019, 142, Rn. 29; EGMR, Urteil vom 18. Oktober 2018 in Sachen Annen v. Germany, Application no. 3779/11, Rn. 22; EGMR, Urteil vom 7. Februar 2012 in Sachen Axel Springer AG v. Germany, Application no. 39954/08, NJW 2012, 1058, Rn. 177; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris Rn. 16 f.

<sup>28</sup> EGMR, Entscheidung vom 27. November 2018 in Sachen Herman-Bischoff c. Allemagne, Application no. 28482/13, Rn. 29; EGMR, Urteil vom 27.06.2017 in Sachen Medžlis Islamske Zajednice Brčko and others v. Bosnia and Herzegovina - Application no. 17224/11, Rn. 115

<sup>29</sup> სრულად: BGH, Urteil vom 17. Dezember 2013 - VI ZR 211/12 - BGHZ 199, 237, juris Rn. 26; BGH, Urteil vom 7. Dezember 1999 - VI ZR 51/99 - BGHZ 143, 199, juris Rn. 20 f.

<sup>30</sup> შდრ. სრულად: BGH, Urteil vom 17. Dezember 2013 - VI ZR 211/12 - BGHZ 199, 237, juris Rn. 26.

ბ.ბ) კარგი რეპუტაციის დაცვა მოიცავს ასევე არცთუ უმნიშვნელო წონადობის მქონე უარყოფით შეფასებით მსჯელობებსაც, რომლებიც საკმარისია იმისთვის, რომ საზიანო გავლენა მოახდინონ დაინტერესებული პირის საჯარო იმიჯზე<sup>31</sup> და რამაც შეიძლება შეასუსტოს მისი სოციალური კონტაქტები და შეარყიოს მისი თვითშეფასება.<sup>32</sup> თუმცა, კარგი რეპუტაციის დაცვა დაინტერესებულ პირს არ ანიჭებს უფლებას, საჯაროდ წარსდგეს მხოლოდ ისე, როგორც თვითონ ხედავს საკუთარ თავს ან ისე, როგორც მას სურს, რომ სხვებმა დაინახონ. დაცულია მხოლოდ მისი პიროვნების წარდგენის შესახებ ცნობების გაყალბება ან დამახინჯება, რომელთაც არც თუ ისე უმნიშვნელო გავლენა აქვთ მისი პიროვნების განვითარებისთვის.<sup>33</sup> ვინც წინასწარგანჭრეტიად გზით საფრთხეს უქმნის თავის კარგ რეპუტაციას საკუთარი ქცევით, ზოგადად, უნდა მოიმკას თავისი ქცევის შედეგები.<sup>34</sup>

გ.გ) მედია პუბლიკაციების სფეროში უფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება, ფაქტობრივ განცხადებებსა და შეფასებებს შორის გამიჯვნას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, როგორც ხშირად ხდება მედია პუბლიკაციებში, ფაქტობრივი განცხადებები და შეფასებით მსჯელობა ერთმანეთს ემთხვევა. ფედერალური უმაღლესი სასამართლო შესაბამის **გამიჯვნის კრიტერიუმებს** შემდეგნაირად აჯამებს:<sup>35</sup>

**35-ე ველი:** „...ფაქტობრივ განცხადებებს ახასიათებთ განცხადებასა და რეალობას შორის ობიექტური დამოკიდებულება. ამის საპირისპიროდ, შეფასებით მსჯელობა და მოსაზრებების

გამოხატვა ყალიბდება განცხადების გამკეთების სუბიექტური დამოკიდებულებით მისი განცხადების შინაარსთან. ფაქტობრივ განცხადებად კლასიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია, შესაძლებელია თუ არა განცხადების სისწორის შემოწმება მტკიცებულების საშუალებით (BGH, Urteil vom 12. April 2016 - VI ZR 505/14 - VersR 2016, 938, juris Rn. 32; BGH, Urteil vom 19. Januar 2016 - VI ZR 302/15 - WM 2016, 405, juris Rn. 16;...; BGH, Urteil vom 22. April 2008 - VI ZR 83/07 - BGHZ 176, 175, juris Rn. 17 და იქ მითითებული ლიტერატურა).“

**36-ე ველი:** „განცხადების სისწორის მტკიცებულებით გადამოწმება გამორიცხულია შეფასებით მსჯელობისა და აზრის გამოთქმის შემთხვევაში, რადგან ისინი ხასიათდებიან კომენტარისა და აზრის ელემენტით და, შესაბამისად, შეუძლებელია მათი ჭეშმარიტების ან სიცრუის დამტკიცება. რამდენადაც განცხადება, რომელიც შერეულია ფაქტები და მოსაზრებები, ხასიათდება პოზიციის, რწმენის ან მოსაზრების ელემენტებით, იგი დაცულია როგორც აზრი გქ-ს მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის ძირითადი უფლებით. აღნიშნული განსაკუთრებით მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ შეფასებითი და ფაქტობრივი შინაარსის გამიჯვნა უარყოფს ან ამახინჯებს ნათქვამის მნიშვნელობას. თუ ფაქტობრივი ელემენტი ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტად ჩაითვლება, გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლება შეიძლება მნიშვნელოვნად შეიკვეცოს. BGH, Urteil vom 16. Dezember 2014 - VI ZR 39/14 - NJW 2015, 773, juris Rn. 8 და იქ მითითებული ლიტერატურა)“...

<sup>31</sup> EGMR, Entscheidung vom 27. November 2018 in Sachen Herman-Bischoff c. Allemagne, Application no. 28482/13 - AfP 2019, 142, Rn. 29; BVerfG, Beschluss vom 10. November 1998 - 1 BvR 1531/96 - BVerfGE 99, 185, juris Rn. 42; გამოყენებული ცნებების კუთხით, ევროპული სასამართლო ("გარკვეული წონა") და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ოდნავ განასხვავებენ ("არცთუ უმნიშვნელო წონადობის"), შინაარსობრივი განსხვავებების გარეშე.

<sup>32</sup> BVerfG, Beschluss vom 10. November 1998 - 1 BvR 1531/96 - BVerfGE 99, 185, juris Rn. 42; BVerfG, Beschluss vom 14. Juli 2004 - 1 BvR 263/03 - NJW 2004, 3619, juris, იხ. ქვემოთ II. a.

<sup>33</sup> BVerfG, Beschluss vom 10. November 1998 - 1 BvR 1531/96 - BVerfGE 99, 185, juris Rn. 42.

<sup>34</sup> EGMR, Entscheidung vom 27. November 2018 in Sachen Herman-Bischoff c. Allemagne, Application no. 28482/13 - AfP 2019, 142, Rn. 29; EGMR, Urteil vom 7. Februar 2012 in Sachen Axel Springer AG v. Germany, Application no. 39954/08, NJW 2012, 1058, Rn. 178; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 18.

<sup>35</sup> BGH, Urteil vom 16. Januar 2018 - VI ZR 498/16 - VersR 2018, 492, juris, ციტატა ოდნავ მოდიფიცირებულია.

38-ე ველი: "იმ განცხადებების შემთხვევაში, რომლებშიც ... შეფასებითი და ფაქტობრივი ელემენტები ისეა შერეული, რომ განცხადება მთლიანობაში უნდა ჩაითვალოს შეფასებით მსჯელობად, შენონადობისას ფაქტობრივი კომპონენტების ჭეშმარიტების შენარჩუნება გადამწყვეტია. (BGH, Urteil vom 16. Dezember 2014 - VI ZR 39/14 - NJW 2015, 773, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 12. April 2016 - VI ZR 505/14 - VersR 2016, 938, juris Rn. 51; BGH, Urteil vom 4. April 2017 - VI ZR 123/16 - VersR 2017, 895, juris Rn. 27; BVerfG, NJW 1993, 1845, 1846; NJW 2013, 217, 218). თუ გამოხატული აზრი შეიცავს დადასტურებულად ცრუ ან განზრახ არაჭეშმარიტ ძირითად ფაქტობრივ საკითხებს, გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლება მუდმივად უკან იხევს იმ პირთა ინტერესების დაცვისთვის, რომლებსაც ეს განცხადება ეხება. გამოხატვის თავისუფლების მიხედვით, არ არსებობს დაცვის ღირსი ინტერესი იმ დამამცირებელი ფაქტობრივი ბრალდებების არსებობის და გავრცელების მიმართ, რომლებიც სიმართლეს არ შეესაბამებიან. ფაქტობრივი განცხადებები, რომლებიც სიმართლეს შეესაბამებიან, მეორეს მხრივ, ჩვეულებრივ უნდა იქნან აღიარებულნი (BGH, Urteil vom 16. Dezember 2014 - VI ZR 39/14 - NJW 2015, 773, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 12. April 2016 - VI ZR 505/14 - VersR 2016, 938, juris Rn. 51; BGH, Urteil vom 4. April 2017 - VI ZR 123/16 - VersR 2017, 895, juris Rn. 27)."

ყურადღებამისაქცევი განმარტების მეთოდების პრინციპების გათვალისწინებით, მითითებები იხილეთ ქვემოთ II. 1. გ).

დ) თუ მედია პუბლიკაციებით ირღვევა პიროვნების უფლება, პუბლიკაციის კანონიერება, ზოგადად, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, დაი-

ნტერესებული პირის დაცვის აუცილებლობა-სა და, მეორე მხრივ, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის შენონადობაზე (აღნიშნულთან დაკავშირებით მაგალითად ქვემოთ II. 4. ბ) და გ)).

ა.ა) თუმცა, ასეთი შენონადობა არ არის საჭირო, თუ შეფასებითი განცხადებები ვრცელდება ადამიანის ღირსებაზე თავდასხმის სახით ან - რომელიც, თუმცა გამოხატვის თავისუფლების დასაცავად მკაცრი მოთხოვნები უნდა იყოს დაწესებული - წმინდად ფორმალური შეურაცხყოფა ან წმინდად შეურაცხმყოფელი კრიტიკა.<sup>36</sup>

ფორმალური შეურაცხყოფა სახეზეა მაშინ, როდესაც გამოიყენება განსაკუთრებით უხეში, არსებითად დამამცირებელი საგინებელი სიტყვები, მაგალითად, ჟარგონის ენიდან, რომლებიც სოციალურად აბსოლუტურად შეურაცხმყოფელი და ტაბუირებულია მისი ტერმინოლოგიის გამო.<sup>37</sup> საუბარია შეურაცხმყოფელ კრიტიკაზე, როდესაც დამამცირებელი განცხადების არსი აღარ არის ამ საკითხთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა, არამედ წინა პლანზე დგას პიროვნების ცილისწამება, ანუ პიროვნების ე.წ. თავხედური მოხსენიება.<sup>38</sup> თუმცა, თუნდაც პოლემიკური, გაზვიადებული ან თუნდაც მიუღებელი კრიტიკა თავისთავად არ აქცევს მას შეურაცხყოფად, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლება არაპროპორციულად შეიზღუდებოდა.<sup>39</sup> ეს, პირველ რიგში, მედია-პუბლიკაციებს ეხება საზოგადოებისთვის საინტერესო თემებზე.<sup>40</sup>

ბ.ბ) როგორც წესი, მედია-პუბლიკაციებში გადამწყვეტია შემდეგი ფაქტორი: იმსახურებს თუ არა, პიროვნულობის ზოგადი უფლების დაცვა ფარგლებში ინტერესთა აუცილებელი ანონ-დანონვისას პრიორიტეტს აზრისა და

<sup>36</sup> BVerfG, Beschluss vom 9. November 2022 - 1 BvR 523/21 - NJW 2023, 510, juris Rn. 33; BVerfG, Beschluss vom 29. Juni 2016 - 1 BvR 2646/15 - NJW 2016, 2870, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 28. September 2022 - VIII ZR 319/20 - VersR 2023, 48, juris Rn. 40; BGH, Urteil vom 22. September 2009 - VI ZR 19/08 - NJW 2009, 3580, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 1. März 2018 - I ZR 264/16 - GRUR 2018, 622, juris Rn. 31.

<sup>37</sup> BayObLG, Beschluss vom 4. Juli 2022 - 202 StRR 61/22 - NJW 2022, 3236, juris Rn. 11.

<sup>38</sup> BGH, Urteil vom 28. September 2022 - VIII ZR 319/20 - VersR 2023, 48, juris Rn. 40; BGH, Urteil vom 22. September 2009 - VI ZR 19/08 - NJW 2009, 3580, juris Rn. 17.

<sup>39</sup> BVerfG, Beschluss vom 29. Juni 2016 - 1 BvR 2646/15 - NJW 2016, 2870, juris Rn. 17.

<sup>40</sup> BVerfG, Beschluss vom 29. Juni 2016 - 1 BvR 2646/15 - NJW 2016, 2870, juris Rn. 17.

პრესის თავისუფლებასთან (გდკ-ის 5 I, შდრ. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი) მიმართებით.<sup>41</sup> გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო შესაბამის პრინციპებს აჯამებს შემდეგნაირად:<sup>42</sup>

„როდესაც განიხილავენ კითხვას, პუბლიკაცია საერთოდ უწყობს თუ არა და რა ფარგლებში უწყობს ხელს, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას და რა ინფორმაციული ღირებულება უნდა მივანიჭოთ მას, მნიშვნელოვანია დაინტერესებული პირის როლი საზოგადოებაში. ევროპული სასამართლო განასხვავებს პოლიტიკოსებს (*"politicians/personnes politiques"*), სხვა პირებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ან საზოგადოების თვალში (*"public figures/personnes publiques"*) და კერძო პირებს (*"ordinary person/personne ordinaire"*), სადაც ამ უკანასკნელის შესახებ პუბლიკაციებს უფრო ვიწრო საზღვრები აქვს (მკაცრი მოთხოვნები ნაყენება), ვიდრე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულ სხვა ადამიანების შესახებ პუბლიკაციებს, ხოლო პოლიტიკოსების დაცვა ყველაზე სუსტია. (შდრ. *EGMR, Urteil vom 10. Juli 2014 - Application no. 48311/10 - NJW 2015, 1501, Rn. 54 ff.*; *EGMR, Urteil vom 4. Juni 2009 - Application no. 21277/05 - NJW 2010, 751, Rn. 48 ff.*). იგი მიიჩნევს, რომ ფართო საზოგადოებას აქვს გაზრდილი ინტერესი პოლიტიკური აქტორების შესახებ ინფორმაციის მიმართ, რამაც შეიძლება მოიცვას არა მხოლოდ თანამდებობრივი, არამედ, განსაკუთრებული გარემოებების არსებობის პირობებში, პრესის, როგორც „საზოგადოების ვოჩ-დოვის“ როლის გათვალისწინებით, პირადი ცხოვრების ასპექტებიც (შდრ. *ECtHR, NJW 2010, 751...*). სენატიც პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ადამიანების მიმართ ყოველთვის ლეგიტიმურად აღიარებდა საზოგადოების გაზრდილ ინფორმაციულ ინტერესს დემოკრატიული გამჭვირვალობისა და კონტროლის თვალსაზრისით, რის გამოც პუბლიკაციები მათი ყოველდღიური ცხოვრების ან პირადი ცხოვრების

გარემოებების შესახებ, როგორცაა პირადი ურთიერთობა ცნობილ პარტნიორთან, საზოგადოების ინტერესი ასეთი ინფორმაციისადმი, შეიძლება გამართლებული იყოს. *BGH, Urteil vom 22. November 2011 - VI ZR 26/11 - NJW 2012, 763, juris Rn. 18*; შდრ. ასევე *BGH, Urteil vom 24. Juni 2008 - VI ZR 156/06 - BGHZ 177, 119, juris Rn. 17, BVerfG, Urteil vom 15. Dezember 1999 - 1 BvR 653/96 - BVerfGE 101, 361, 390-ზე მითითებით). ამ შემთხვევაში, პიროვნულობის უფლების დაცვა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როცა გასაჩივრებულ განცხადებებს, ცალკე აღებული, ან ფოტორეპორტაჟთან ერთობლიობით, გააჩნია დამოუკიდებელი საზიანო ეფექტი, რომელმაც მათი აკრძალვა შეიძლება გამართლოს, მაგალითად, თუ ისინი იჭრებიან დაინტერესებული პირის პირადი სფეროს განსაკუთრებით დაცულ ძირითად ზონაში ან ეხებიან თემებს, რომლებიც თავიდანვე საერთოდ არ განეკუთვნება საჯარო სფეროს. (*BGH, Urteil vom 22. November 2011 - VI ZR 26/11, aaO, juris Rn. 19*). პიროვნების ზოგადი უფლებაზე ხელყოფის ინტენსივობა შენონადობისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია (შდრ. *BGH, Urteil vom 22. November 2011 - VI ZR 26/11, aaO, juris Rn. 20*; ...). აღნიშნული უნდა შეფასდეს მცირედად, თუ ეს ეხება სწორ ფაქტებს, რომლებიც ან შეუსაბამოა, ან ზედაპირულად ეხმიანება მოსარჩელის პიროვნებას მისი პირადი გარემოებების უფრო ღრმად შესწავლის გარეშე (შდრ. ... *BGH, Urteil vom 26. Oktober 2008 - VI ZR 230/08 - NJW 2011, 744, juris Rn. 22*) და შეურაცხყოფის ან თუნდაც ცილისწამების გარეშე (შდრ. ... *BGH, Urteil vom 2. Mai 2017 - VI ZR 262/16 - VersR 2017, 959, juris Rn. 28*).“*

(1) შემდგომ გადაწყვეტილებებში ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოებისთვის უცნობ პირს შეუძლია, მოითხოვოს პირადი ცხოვრების განსაკუთრებული დაცვა მაშინ, როცა საჯარო

<sup>41</sup> *BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 47*; *BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 35*; *BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR 2021, 52, juris Rn. 21*.

<sup>42</sup> *BGH, Urteil vom 12. Juni 2018 - VI ZR 284/17 - NJW 2018, 3509, juris Rn. 17*, ციტატა ოდნავ მოდიფიცირებულია.

**ცხოვრებაში მყოფი პირი** არ სარგებლობს დაცვის იმავე ინტენსივობით.<sup>43</sup> გარდა ამისა, უნდა მოხდეს ფუნდამენტური განსხვავება პუბლიკაციებს შორის, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს **დისკუსიას დემოკრატიულ საზოგადოებაში**, მაგალითად, რომელიც ეხება პოლიტიკოსებს, მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას და პირადი ცხოვრების დეტალების პუბლიკაციას.<sup>44</sup>

(2) შენონადობის ფარგლებში ასევე მნიშვნელოვანია საკითხი, შეიცავს თუ არა პუბლიკაცია პასუხისმგებელი რედაქტორის ან ჟურნალისტის შეფასებებს ან განცხადებებს, თუ ხდება მხოლოდ **მესამე პირის განცხადებების** გავრცელება.<sup>45</sup> ინფორმაციისადმი მომეტებული ინტერესის შემთხვევაში, მესამე პირის უდავოდ უკანონო განცხადების გავრცელებაც დასაშვებია, თუ პრესის ორგანო, როგორც საკუთარ განცხადებას ისე არ გაავრცელებს. ამისთვის, საკმარისია, თუ მესამე პირის განცხადება განთავსდება სტატიაში ისე, რომ ხაზგასმულად მის მოსაზრებად წარმოჩინდეს.<sup>46</sup>

დეტალურად არ არის განმარტებული, მესამე პირის უკანონო განცხადებების შემთხვევაში, ვრცელდება თუ არა გარკვეული **დისტანცირების ვალდებულება**. აღნიშნული დასკვნა ნაწილობრივ გამომდინარეობდა წარსულში სასა-

მართლო პრაქტიკიდან.<sup>47</sup> თუმცა, ევროსასამართლოს მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, ეს საკითხი ღიად რჩება უახლეს გადაწყვეტილებებში,<sup>48</sup> ვინაიდან გამომხატვის თავისუფლებისა და პრესის თავისუფლების ძირითადი უფლება (გქკ-ს 5 I) და კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის გარანტიები, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს დისტანცირების ვალდებულებას.<sup>49</sup>

(3) პიროვნულობის უფლების დაცვის ფარგლებში, ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული **შესაბამისი სფეროების დაცვის ხარისხობრივი** საჭიროება.<sup>50</sup>

განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ ის ურთიერთობები, რომლებიც ინტიმური სფეროს ყველაზე ვიწრო არეალს განეკუთვნებიან ან მასთან ახლოს დგანან.<sup>51</sup> ამ მხრივ, არსებობს სრულიად დაცული არსებითი არეალი, რომლის გაშუქებაც თავიდანვე გამორიცხულია ნებისმიერი საჯარო პუბლიკაციით. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება თავისუფლებას, შეინარჩუნოს სექსუალობის გამოხატვის საკუთარი ფორმები და განიცადოს ისინი თავისუფალ სივრცეში, რომელიც სრულიად მიუწვდომელია სხვებისთვის.<sup>52</sup> თუმცა, თვითგასაჯაროების პრინციპების მიხედვით, აღნიშნული აბსოლუტური დაცვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, თუ დაინტერესებული პირი თავად ხდის საზოგადოებისთვის

<sup>43</sup> BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 50, განხილულია: II. 1.

<sup>44</sup> BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 50; BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR 2021, 52, juris Rn. 24; BGH, Urteil vom 9. April 2019 - VI ZR 533/16 - NJW-RR 2019, 1134, juris Rn. 14.

<sup>45</sup> BVerfG, Beschluss vom 9. November 2022 - 1 BvR 523/21 - NJW 2023, 510, juris Rn. 18; BVerfG, Beschluss vom 27. August 2019 - 1 BvR 811/17 - NJW 2019, 3567, juris Rn. 17.

<sup>46</sup> BVerfG, Beschluss vom 9. November 2022 - 1 BvR 523/21 - NJW 2023, 510, juris Rn. 33; BVerfG, Beschluss vom 30. September 2003 - 1 BvR 865/00 - NJW 2004, 590, juris Rn. 13.

<sup>47</sup> BVerfG, Beschluss vom 30. September 2003 - 1 BvR 865/00 - NJW 2004, 590, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 26. November 1996 - VI ZR 323/95 NJW 1997, 1148, juris Rn. 50.

<sup>48</sup> BVerfG, Beschluss vom 9. November 2022 - 1 BvR 523/21 - NJW 2023, 510, juris Rn. 33; BVerfG, Beschluss

vom 25. Juni 2009 - 1 BvR 134/03 - NJW-RR 2010, 470, juris Rn. 69.

<sup>49</sup> შდრ. EGMR, Urteil vom 29. März 2011 in Sachen Thoma v. Luxembourg, Application no. 38432/97 Rn. 64; EGMR, Urteil vom 30. März 2004 in Sachen Verlagsgruppe News GmbH v. Austria, Application no. 53984/00, Rn. 37 ff.

<sup>50</sup> BGH, Urteil vom 20. Dezember 2011 - VI ZR 261/10 - VersR 2012, 368, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 23. Juni 2009 - VI ZR 196/08 - BGHZ 181, 328, juris Rn. 30, სტუდენტების მიერ მასწავლებლების შეფასება ვებგვერდზე.

<sup>51</sup> BGH, Urteil vom 30. April 2019 - VI ZR 360/18 - NJW 2020, 53, juris Rn. 11 ff., შანტაჟის შედეგად გამოქვეყნებული ინტიმური ფოტოების შესახებ პუბლიკაცია.

<sup>52</sup> BVerfG, Beschluss vom 10. Juni 2009 - 1 BvR 1107/09 - NJW 2009, 3357, juris Rn. 24 ff.; BGH, Urteil vom 25. Oktober 2011 - VI ZR 332/09 - NJW 2012, 767, juris Rn. 12.



ხელმისაწვდომს თავისი ინტიმური სფეროს ძირითად საკითხებს.<sup>53</sup>

ასევე, ინტიმური სფეროს მიღმა, განსაკუთრებულ დაცვას იმსახურებს ე.წ. **სენსიტიური მონაცემები**. ამის საწინააღმდეგოდ, ისეთ პირად გარემოებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან **სოციალურ და პროფესიულ სფეროებს**, როგორც წესი, აქვთ დაცვის უფრო დაბალი ხარისხი სხვა კანონიერ ინტერესებთან შედარებით.<sup>54</sup>

(4) და ბოლოს, ინტერესთა შეწინააღმდეგება უნდა მოიცავდეს იმ ფაქტს, რომ პრესის ერთ-ერთი კონსტიტუციური მოვალეობაა საზოგადოების ინფორმირება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე.<sup>55</sup> პრესის ამ ფუნქციურ და ინსტიტუციურ დატვირთვას შეუძლია დამატებით გააძლიეროს გამოსატყვის თავისუფლების დაცვა, რომელიც გარანტირებულია ყველასთვის გკ-ს 5 I-ის მიხედვით, პიროვნულობის ზოგად უფლებებთან შეწინააღმდეგებისას.<sup>56</sup>

გ.გ) ეს პრინციპები მოქმედებს არა მხოლოდ სიტყვიერი პუბლიკაციებისას, არამედ, ძირითადად, **სურათებისა და ჩანაწერების მასალის გამოქვეყნებისას**.

(1) რამდენადაც სურათები **იდენტიფიცირებად პირებთან** ერთადაა გამოქვეყნებული §§ 22, 23 KUG-ის გაგებით (საავტორო უფლებების

შესახებ აქტი სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის ნაწარმოებებზე - KunstUrhG, KUG), § 23 KUG-ის ცალკეული სამართლებრივი შეწინააღმდეგების წესები დაცული უნდა იყოს გერმანიაში.<sup>57</sup> გარდა მოცემული **გრადაციული კანონის-მიერი დაცვის კონცეფციისაა**, პირის სურათები შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ მათი თანხმობით (22-ე მუხლის 1-ლი წინადადება KUG). აქედან გამონაკლისია სურათები თანამედროვე ისტორიიდან KUG-ის § 23 მუხლის 1-ლი წინადადების მიხედვით.<sup>58</sup>

რაც შეეხება საზოგადოების საჭიროებას ინფორმაციისადმი, თანამედროვე ისტორიის ცნება არ არის ვინრო ინტერპრეტაციის საგანი და, შესაბამისად, არ შეიძლება გაგებულ იქნეს ისტორიული მნიშვნელობით. უფრო მეტიც, ის მოიცავს ყველა საკითხს, რომლებიც საერთო საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენენ, ანუ მათ შორის მიმდინარე საკითხებსაც.<sup>59</sup> KUG-ის § 23 მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, ეს უფლებამოსილება არ მოქმედებს გავრცელებაზე, რომელიც არღვევს გამოსახული პირის ან, თუ ადამიანი გარდაცვლილია, მისი ნათესავების ლეგიტიმურ ინტერესებს.

ეს მარეგულირებელი კონცეფცია მოიცავს პიროვნულობის უფლებების დაცვის ზოგად

<sup>53</sup> BGH, Urteil vom 25. Oktober 2011 - VI ZR 332/09 - NJW 2012, 767, juris Rn. 12 f., პორნოგრაფიული შინაარსის პროფესიონალურად წარმოებული და კომერციულად გამოსაყენებელი ფილმების წარმოებაში ნებავყოფლობითი მონაწილეობისთვის.

<sup>54</sup> BGH, Urteil vom 20. Dezember 2011 - VI ZR 261/10 - VersR 2012, 368, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 23. Juni 2009 - VI ZR 196/08 - BGHZ 181, 328, juris Rn. 30; BGH, Urteil vom 9. August 2022 - VI ZR 1244/20 - NJW 2022, 3072, juris Rn. 32 ff., საწარმოს პიროვნულობის უფლება სასტუმროს სარეიტინგო პორტალის პუბლიკაციაში; BGH, Urteil vom 28. Juli 2022 - I ZR 171/21 - NJW 2022, 3783, juris Rn. 20 ff., პიროვნულობის უფლების მატერიალურ კომპონენტში ჩარევა ექიმის სამეცნიერო განცხადების გამოყენებით პროდუქტის რეკლამირებისთვის.

<sup>55</sup> BVerfG, Beschluss vom 6. November 2019 - 1 BvR 16/13 - BVerfGE 152, 152, juris Rn. 94; BVerfG, Beschluss vom 9. November 2022 - 1 BvR 523/21 - NJW 2023, 510, juris Rn. 11.

<sup>56</sup> BVerfG, Beschluss vom 6. November 2019 - 1 BvR 16/13 - BVerfGE 152, 152, juris Rn. 94; BVerfG, Beschluss vom

23. Juni 2020 - 1 BvR 1240/14 - NJW 2020, 2873, juris Rn. 12; BVerfG, Beschluss vom 9. November 2022 - 1 BvR 523/21 - NJW 2023, 510, juris Rn. 11.

<sup>57</sup> აღნიშნულთან იხ. BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 15 ff., BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 12 ff.; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 1328/20 - openJur 2022, 22050, juris Rn. 9 ff., განხილულია: II. 2.

<sup>58</sup> იგივე მოქმედებს სურათებთან მიმართებით, რომლებშიც ადამიანები მხოლოდ დამატებითად ჩანან პეიზაჟის ან სხვა ადგილის გვერდით, ასევე შეკრებების, მსვლელობისა და მსგავსი ღონისძიებების სურათებთან მიმართებით, რომლებშიც გამოსახული ადამიანები მონაწილეობდნენ.

<sup>59</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 1328/20 - openJur 2022, 22050, juris Rn. 13.

პრინციპებს სურათების გამოქვეყნების უფლებაში.<sup>60</sup> ამგვარად, აღნიშნული მარტივი სამართლებრივი რეგულაციები გაგებულ უნდა იქნეს კონსტიტუციურ მოთხოვნებთან და კონვენციის მე-8 მუხლის გარანტიებთან თავსებადობაში.<sup>61</sup>

(2) რაც შეეხება სხვა **ფოტორეპორტაჟს**, (KUG-ის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში) პიროვნულობის ზოგადი უფლებების დაცვის სფეროსთვის დადგენილი პრინციპები და შენონადობის კრიტერიუმები გამოყენებულ უნდა იქნეს პირდაპირ.

გასათვალისწინებელია, რომ **პუბლიკაციის ტიპისა და მიმართულების, შინაარსისა და ფორმის თავისუფლად განსაზღვრის უფლება** არის პრესის თავისუფლების გარანტიის ძირითადი უფლების საფუძველი.<sup>62</sup> პრესისა და გამოხატვის თავისუფლების საფუძველია, რომ მედიას, ზოგადად, შეუძლია, საკუთარი ჟურნალისტური კრიტერიუმების მიხედვით გადაწყვიტოს, რას მიიჩნევს საზოგადოებრივ ინტერესად და რას არა.<sup>63</sup> ეს მოიცავს იმ ფაქტს, რომ პრესის ორგანოს, ზოგადად, შეუძლია, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს პუბლიკაციის გაშუქების ტიპი, მათ შორის ილუსტრაცია სურათების მეშვეობით. ერთის მხრივ, სურათებს შეუძლიათ შე-

ავსონ სიტყვიერი პუბლიკაცია და ამით ხაზი გაუსვან მის ავთენტურობას.<sup>64</sup> მეორე მხრივ, გქვის 5 I-ით დაცულ ინფორმაციაზე არსებული დანართი შეიძლება იმისთვის იყოს საჭირო, რომ მკითხველის ყურადღება მიიპყროს სურათების დამატებით სიტყვიერ ნაწილზე (ე.წ. Anteasern).<sup>65</sup> შესაბამისად, ილუსტრაციას ენიჭება მნიშვნელობა იმ კუთხით, რომ იგი ეხმარება სიტყვიერ ნაწილს და ვიზუალიზაციის საშუალებით აძლიერებს მის შესახებ ცნობიერების მდგრადობას. შედეგად, დასურათებული პუბლიკაციები ხვდებიან კონსტიტუციით დაცულ სფეროში, რომლის ილუსტრაციებსაც ისინი ემსახურებიან.<sup>66</sup>

გამოსახული პიროვნების პირად სფეროში შეჭრა, რომელიც დაკავშირებულია სურათის გავრცელებასთან, შეზღუდულია **პროპორციულობის პრინციპით**.<sup>67</sup> ამიტომ ყველაფერი, რაც ადამიანებს მოწყენილობის, ცნობისმოყვარეობისა და სენსაციურობის გამო აინტერესებთ, არ ამართლებს მის ვიზუალურ წარმოდგენას ფართო მედია საზოგადოებაში. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ფოტორეპორტაჟი ყოველგვარი სათქმელის გარეშე ემსახურება მხოლოდ მკითხველის ვიზუალური ხედვის მიმართვას სხვისი სიკვდილის ან ტანჯვისკენ.<sup>68</sup>

<sup>60</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 15 ff.; BGH, Urteil vom 29. September 2020 - VI ZR 449/19 - GRUR 2021, 106, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 7. Juli 2020 - VI ZR 250/19 - FamRZ 2020, 1847, juris Rn. 9.

<sup>61</sup> EGMR, Urteil vom 7. Februar 2012 in Sachen Hannover v. Germany No. 2, Application no. 40660/08 - NJW 2012, 1053, Rn. 114; BVerfG, Beschluss vom 26. Februar 2008 - 1 BvR 1602/07 - BVerfGE 120, 180, juris Rn. 85 ff.; BGH, Urteil vom 7. Juli 2020 - VI ZR 250/19 - FamRZ 2020, 1847, juris Rn. 9.

<sup>62</sup> BVerfG, Beschluss vom 9. Dezember 2020 - 1 BvR 704/18 - NJW 2021, 1585, juris Rn. 15; BVerfG, Beschluss vom 9. November 2022 - 1 BvR 523/21 - NJW 2023, 510, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 88.

<sup>63</sup> BVerfG, Beschluss vom 9. Dezember 2020 - 1 BvR 704/18 - NJW 2021, 1585, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris

Rn. 19; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 9. April 2019 - VI ZR 533/16 - NJW-RR 2019, 1134; juris Rn. 9

<sup>64</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 88.

<sup>65</sup> BVerfG, Beschluss vom 9. Februar 2017 - 1 BvR 967/15 - NJW 2017, 1376, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 15.

<sup>66</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 88; BGH, Urteil vom 29. Mai 2018 - VI ZR 56/17 - VersR 2018, 1136, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 9. April 2019 - VI ZR 533/16 - NJW-RR 2019, 1134, juris Rn. 10.

<sup>67</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 88; BGH, Urteil vom 6. Februar 2018 - VI ZR 76/17 - NJW 2018, 1820, juris Rn. 15.

<sup>68</sup> შდრ. BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 120; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 81; BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR

კონკრეტულად სად უნდა გაივლოს ხაზი მიმდინარე პუბლიკაციის მიმართ საზოგადოების მხრიდან ინფორმაციისადმი ლეგიტიმურ ინტერესზე, შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ცალკეული შემთხვევის მახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებით.<sup>69</sup>

3. ფაქტობრივ განცხადებებსა და შეფასებით განსჯას<sup>70</sup> შორის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი განსხვავება პრაქტიკულ დონეზე ასახვას ჰპოვებს, **სამართლებრივი შედეგების მხრივ, ქმედების განხორციელების დავალდებულებასა და ქმედების აღკვეთის მოთხოვნებს შორის დიფერენციაციისას.**

ა) არაზუსტი ფაქტობრივი განცხადებების შემთხვევაში, არსებობს ნეგატორული სარჩელი ქმედების განხორციელებაზე (**გამოსწორების მოთხოვნა**), გსკ-ის § 12, 1004, 823 1 ანალოგია<sup>71</sup> (შინაარსით შდრ. სსკ-ის 18 I, 161, 992 და შემდეგი მუხლები).<sup>72</sup> აღნიშნული გამოსწორების მოთხოვნის უფლების ფაქტობრივი წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები თითოეულ შემთხვევაში დაზუსტებული უნდა იყოს ფუნდამენტური უფლებების შესაბამისად.<sup>73</sup> ეს ნიშნავს, რომ გამოსწორების მოთხოვნის უფლების შინაარსი მოითხოვს შესაბამისი და პროპორციული ბალანსის დაცვას კონსტიტუციური რანგის მქონე ურთიერთწინააღმდეგობრივ სამართლებრივ ინტერესებს შორის, ანუ, ერთი მხრივ, პიროვნულობის უფლების დაცვას და, მეორე მხრივ, აზრისა და პრესის თავისუფლების დაც-

ვას. ამიტომ სასამართლო პრაქტიკამ განავითარა გამოსწორების მოთხოვნის უფლების სხვადასხვა გრადაცია.

ერთის მხრივ, პრესის თავისუფლების ყველაზე დიდი ხელყოფა, მაგრამ, მეორე მხრივ, თავიდანვე არასწორი ფაქტობრივი განცხადების გაკეთების შემდეგ პიროვნულობის უფლების ყველაზე მდგრადი დამცავი ღონისძიება **ამ განცხადების უარყოფაა**. აღნიშნულით სრულდება რეპუტაციის განგრძობადი შელახვა და ამით მთავრდება **გამოქვეყნებით შექმნილი უკანონო დარღვევა**.<sup>74</sup>

**მედია პუბლიკაციის დამახინჯებული ცალმხრივობის შემთხვევაში**, უპირველესად ნაწილობრივად არასწორი ფაქტობრივი წარდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, როგორც ნაკლებად მკვეთრი ღონისძიების **შესწორების მოთხოვნა**<sup>75</sup> (**Anspruch auf Richtigstellung**) ან - თუ დისტანცირების მოთხოვნა არსებობს და დაირღვა (იხ. ზემოთ I. 2. დ) ბ.ბ) (2)) - ასევე **მესამე პირის განცხადებებისგან გამიჯვნის მოთხოვნა**.<sup>76</sup>

გამოსწორების მოთხოვნის შემდგომ დაკონკრეტებას წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ წარსულში გაკეთებული განცხადების შემდგომი შენარჩუნება აღარ მოხდება (ე.წ. **ცნობების შეზღუდული უარყოფა**). აღნიშნული შეზღუდული ცნობების უარყოფა, როგორც უფრო რბილი და, შესაბამისად, უფრო პროპორციული ზომა, ეხება შემთხვევებს, როდესაც ფაქტი, რომელიც მოგვიანებით აღმოჩნდება არასწორი,

2021, 52, juris Rn. 30; თუმცა, არსებობს წმინდა გუარისტული წარმოდგენა თითოეულ შემთხვევაში, ყოველი მათგანი უარყოფილია.

<sup>69</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 88; BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR 2021, 52, juris Rn. 38.

<sup>70</sup> გამიჯვნის კრიტერიუმებზე ზემოთ I. 2. გ) გგ); განმარტების პრინციპებზე ქვემოთ II. 1. გ).

<sup>71</sup> ახალ გადანყვეტილებებში მხოლოდ გსკ-ის § 1004, § 823 Abs. 1 BGB ანალოგი სახელდება.

<sup>72</sup> სამართლებრივ-დოგმატური წარმოშობისთვის საფუძვლიანად: BGH, Beschluss vom 19. Dezember 1960 - GSZ 1/60 - BGHZ 34, 99, juris Rn. 20 ff.; ახალი სასამართლო პრაქტიკიდან: BGH, Urteil vom 18. November 2014 - VI ZR 76/14 - BGHZ 203, 239, juris Rn. 13.

<sup>73</sup> მთლიანად შეჯამებისთვის: BGH, Urteil vom 18. November 2014 - VI ZR 76/14 - BGHZ 203, 239, juris Rn. 13; BGH, Beschluss vom 19. Juli 2018 - IX ZB 10/18 - NJW 2018, 3254, juris Rn. 23.

<sup>74</sup> BGH, Urteil vom 15. November 1994 - VI ZR 56/94 - BGHZ 128, 1, juris Rn. 58; BGH, Beschluss vom 19. Juli 2018 - IX ZB 10/18 - NJW 2018, 3254, juris Rn. 23.

<sup>75</sup> BVerfG, Beschluss vom 10. November 1998 - 1 BvR 1531/96 - BVerfGE 99, 185, juris Rn. 55; BGH, Urteil vom 22. April 2008 - VI ZR 83/07 - BGHZ 176, 175, juris Rn. 11; BGH, Beschluss vom 19. Juli 2018 - IX ZB 10/18 - NJW 2018, 3254, juris Rn. 23.

<sup>76</sup> BGH, Urteil vom 6. April 1976 - VI ZR 246/74 - BGHZ 66, 182, juris Rn. 21; BGH, Beschluss vom 19. Juli 2018 - IX ZB 10/18 - NJW 2018, 3254, juris Rn. 23.

თავდაპირველად შეიძლება მართლზომიერად იყოს გავრცელებული ეჭვის შესახებ პუბლიკაციებში.<sup>77</sup> თუმცა, როგორც ნებისმიერი სხვა ნეგატორული ქმედების განხორციელების მოთხოვნებში საჭიროებს ასევე დამატებით განცხადებასთან შემხებლობაში არსებულ განგრძობად დარღვევას და მიმდინარე სამართლებრივი დაცვის საჭიროებას. გარდა ამისა, სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა „**შედეგების აღმოფხვრის კანონიერი უფლება**“ (დანვრილებით ამის შესახებ II. 6. ა) ეე)). აღნიშნული ეხება დამატებით შინაარსობრივ ინფორმაციის მინოდებას სისხლის სამართლის პროცესში დაინტერესებული პირისთვის ხელსაყრელი შედეგის შესახებ, რომლის შესახებაც ადრე მართლზომიერად იყო ცნობები გავრცელებული.<sup>78</sup> თავისი დოგმატური კონსტრუქციით, ეს მოთხოვნა შედეგების აღმოფხვრის შესახებ ძალიან უახლოვდება ცნობების შეზღუდულ უარყოფას. თუმცა, სამართლებრივი შედეგი დაკავშირებულია არა ადრინდელი განცხადების დისტანცირებასთან, არამედ ცნობებთან, რომლებიც ავსებენ ახალი ფაქტობრივი გარემოებებით მოვლენების შინაარსს, როგორცაა პროკურორის მიერ გამოძიების შეწყვეტა ან გამამართლებელი განაჩენი.

სასამართლო პრაქტიკაში გამოსწორების მოთხოვნას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა არ უნდა დაკნინდეს მათი პროფილაქტიკური ეფექტი, რომელიც ირიბად აფერხებს ფაქტების შესახებ დაუდევარ განცხადებებს და უგულისყურო კვლევას ეჭვის შესახებ პუბლიკაციებში ისევე, როგორც პრესის ორგანოებს ამ საკითხების მიმართ, სულ მცირე, შესაბამისად მგრძობიარეს ხდის.

ბ) **ქმედების განხორციელების აკრძალვის მოთხოვნები** (გსკ-ის § 1004, § 823 1 ანალოგია) შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც არაზუსტი ფაქტების გავრცელების, ასევე შეფასებით მსჯელობის უკანონო გამოქვეყნების შემთხვევაში.<sup>79</sup> როგორც ყველა ქმედების განხორციელების აკრძალვის სარჩელი, აღნიშნულიც ასევე დამატებით მოითხოვს განგრძობად დარღვევას და სამართლებრივი დაცვის საჭიროებას.

აღნიშნული ქმედების განხორციელების აკრძალვის მოთხოვნის პრაქტიკული წონადობა შემამჩნევად აღემატება ნეგატორულ გამოსწორების მოთხოვნას. ერთის მხრივ, ის ემყარება იმ ფაქტს, რომ ქმედების განხორციელების აკრძალვის მოთხოვნა მოქმედებს ასევე დაუშვებელი შეფასებით მსჯელობის წინააღმდეგ და, შესაბამისად, მათი საგნობრივი გამოყენების ფარგლები გაცილებით ფართოა. მეორეს მხრივ, ქმედების განხორციელების მოთხოვნის მტკიცება ხშირად მოიცავს იმის რისკს, რომ თემა, რომელიც უფრო აქტუალური თემების გამო უკანა პლანზეა გადაწეული და რომელიც საზოგადოებამ „დაივიწყა“, ხელახლა წამოიჭრება ან ის საკითხი, რომელიც აქამდე უმნიშვნელო იყო ქმედების განხორციელების მოთხოვნის შედეგად ფართო საზოგადოების აღქმის საგანი გახდება. თუმცა, აღნიშნული საკითხი ხშირად არ შედის იმ პირთა ინტერესებში, ვისი პიროვნულობის უფლებებიც დაირღვა. ამიტომ, ისინი ხშირად კმაყოფილდებიან სასამართლოს გარეშე სადამსჯელო ღირებულების მქონე ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების პირობით<sup>80</sup> ან შეზღუდული სასამართლო პროცესებით ქმედე-

<sup>77</sup> BVerfG, Beschluss vom 28. August 2003 - 1 BvR 2194/02 - NJW 2004, 354, juris Rn. 16; BGH, Beschluss vom 19. Juli 2018 - IX ZB 10/18 - NJW 2018, 3254, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 18. November 2014 - VI ZR 76/14 - BGHZ 203, 239, juris Rn. 13.

<sup>78</sup> BGH, Beschluss vom 19. Juli 2018 - IX ZB 10/18 - NJW 2018, 3254, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 18. November 2014 - VI ZR 76/14 - BGHZ 203, 239, juris Rn. 14; BVerfG, Beschluss vom 28. April 1997 - 1 BvR 765/97 - NJW 1997, 2589, juris Rn. 14; grundlegend: BGH, Urteil vom 30. November 1971 - VI ZR 115/70 - BGHZ 57, 325, juris Rn. 19 ff.

<sup>79</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 34; BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 1. März 2016 - VI ZR 34/15 - BGHZ 209, 139, juris Rn. 15; zusammenfassend: Bayer in: Herberger/ Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl., § 1004 BGB (Stand: 17.03.2021) Rn. 56.

<sup>80</sup> საკითხი ეხება უმოქმედობის განცხადებებს, რომლებშიც დამრღვევი ჰპირდება, მისი უმოქმედობის-დაპირების სერიოზულ ნიშნად აღქმისთვის, ბრალეულად კანონის დარღვევის შემთხვევაში მსხვილ სახელშეკრულებო ჯარიმის გადახდას დაინტერესებული პირისთვის. გარკვეულ

ბის განხორციელების აკრძალვის მოთხოვნასთან დაკავშირებით და ამით განიცდიან გარკვეულ შინაგან კმაყოფილებას.

გ) ამასთან, არსებობს ზოგადი კანონისმიერი ნინაპირობების გათვალისწინებით **მატერიალური ზიანის ანაზღაურების** მოთხოვნები.

პიროვნულობის უფლებების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, შეიძლება **არამატერიალური ზიანის ანაზღაურების** მოთხოვნაც. ფულადი კომპენსაციის ეს მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნება არა ტკივილისა და ტანჯვის კომპენსაციის საკანონმდებლო რეგულაციებს (გსკ-ის § 253 II, რეგულაციის საგანი შდრ. სსკ-ის 413), არამედ გქკ-ის 1 I (ადამიანის ღირსება) და 2 I (პიროვნების თავისუფალი განვითარება) მუხლებიდან გამომდინარე დაცვის მოთხოვნებს, ანუ, საბოლოო ჯამში, კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოთხოვნებს.<sup>81</sup> ამ მოთხოვნასთან მიმართებით ფაქტობრივ ნინაპირობებზე მითითებები ეფუძნება II 6. ბ).-ს.

დ) აღნიშნულისგან დამოუკიდებლად, არსებობს **პრესასთან სამართლებრივად დაკავშირებული კონტრგანცხადების შესახებ მოთხოვნა**.

აღნიშნული მოთხოვნები რეგულირდება შესაბამისი ფედერალური მინის პრესის კანონებში.<sup>82</sup> მოცემულის მიხედვით, ნებისმიერ პირს, ვის შესახებაც მედიაში ხდება ფაქტის გავრცელება, შეუძლია უსასყიდლოდ შეძლოს გამოქვეყნებული ფაქტების ნინააღმდეგ საკუთარი კონტრგანცხადების იმავე პრესის ორგანოში გამოქვეყნება. აღნიშნული კონტრგანცხადება უნდა გამოქვეყნდეს პრესის ორგანოს მომდევნო ხელმისაწვდომ ნომერში იმავე ადგილას და იმავე

ფორმატში, სადაც მოცემული პუბლიკაცია გამოქვეყნდა.<sup>83</sup> არ აქვს მნიშვნელობა პრესაში გამოქვეყნებული ფაქტი სწორია თუ არა. თუმცა, კონტრგანცხადება შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებს, ანუ არ უნდა იყოს საკუთარი შეფასებები. პრესის ორგანო უფლებამოსილია კონტრგანცხადებას დაუპირისპიროს საკუთარი განცხადება, ანუ დაამატოს, რომ იგი მხარს უჭერს თავის ფაქტობრივ განცხადებას.

კონტრგანცხადების ეს უფლება ემსახურება დაინტერესებული პირის პიროვნულობის უფლებების დაცვას.<sup>84</sup> მიუხედავად იმისა, რომ ის პრესის სამართალს უკავშირდება, ეს ფაქტი გავლენას ვერ მოახდენს სამოქალაქო სამართლის ზოგად მოთხოვნებზე ქმედების განხორციელებისა და ქმედების აკრძალვის შესახებ მოთხოვნებზე გსკ-ის §1004, § 823 I ანალოგია.<sup>85</sup> თუმცა, პრესის კანონმდებლობით კონტრგანცხადების შესაძლებლობის არსებობის გამო, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მისი სუბსიდიურობის მიზეზით (უფრო როგორც გამონაკლისი) შეიძლება აღარ არსებობდეს.<sup>86</sup>

პრესის სამართლებრივი კონტექსტის გამო კონტრგანცხადების უფლების პრაქტიკული მნიშვნელობა დაბალია. ერთის მხრივ, ეს გამოწვეულია მისი ფარგლების ზოგიერთი მოდალობით (აქ დეტალურად არ იქნება აღწერილი). მეორეს მხრივ, დაინტერესებული პირისთვის ხშირად არსებობს რისკი, რომ კონტრგანცხადების გამოქვეყნებამ საზოგადოების ყურადღება მიიპყროს ისეთ თემაზე, რომელიც მანამდე თითქმის არ იყო შემჩნეული; უხეშად რომ ვთქვათ,

პირობებში, ეს უმოქმედობის განცხადება, რომელიც ექვემდებარება ჯარიმას, გამოიცხადეს განმეორების რისკს, როგორც მატერიალურ ნინაპირობას. (შდრ. ბოლოს: BGH, Urteil vom 1. Dezember 2022 - I ZR 144/21 - GRUR 2023, 255, juris Rn. 34 ff.).

<sup>81</sup> შდრ. BGH, Urteil vom 17. Dezember 2013 - VI ZR 211/12 - BGHZ 199, 237, juris Rn. 63 ff.; BGH, Beschluss vom 8. März 2022 - VI ZB 14/21 - ZfSch 2022, 259, juris Rn. 10.

<sup>82</sup> შდრ. § 10 des Sächsischen Pressegesetzes: [https://www.revosax.sachsen.de/vorschrift/4197?redirect\\_successor\\_allowed=1#p10](https://www.revosax.sachsen.de/vorschrift/4197?redirect_successor_allowed=1#p10).

<sup>83</sup> დეტალურად პასუხის უფლების მოთხოვნებისა და ფარგლების შესახებ: BVerfG, Beschluss vom 14. Januar 1998 - 1 BvR 1861/93 - BVerfGE 97, 125, juris Rn. 113 ff.

<sup>84</sup> BVerfG, Beschluss vom 14. Januar 1998 - 1 BvR 1861/93 - BVerfGE 97, 125, juris Rn. 114; BGH, Urteil vom 28. September 2021 - VI ZR 1228/20 - NJW 2022, 626, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 6. April 1976 - VI ZR 246/74 - BGHZ 66, 182, juris Rn. 122.

<sup>85</sup> შდრ. მოთხოვნების განსხვავებული სამართლებრივი ბუნების შესახებ: BGH, Urteil vom 17. November 2015 - VI ZR 493/14 - juris Rn. 17; BGH, Urteil vom 3. August 2010 - VI ZR 113/09 - NJW 2010, 3037, juris Rn. 18 f.

<sup>86</sup> Vieweg/Lorz in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 253 BGB (Stand: 01.02.2023) Rn. 44.

დაინტერესებული პირი გაიტანს კლასიკურ ავტოგოლს და თავად აყენებს საკუთარ თავს „never ending story“-ის მდგომარეობაში.

4. როგორც შესავალში აღინიშნა, ეს მოკლე მიმოხილვა შემოიფარგლება იმ პრობლემური სფეროებით, რომლებიც გამოსაყენებელია ქვემოთ განხილული 2022 წლის გადანყვეტილებების გასაგებად. ამიტომ იგნორირებულია რიგი სხვა პრობლემები, მაგალითად

- პიროვნულობის ზოგადი უფლებების დაცვა სატირული ხასიათის პრესის სიუჟეტებთან დაკავშირებით;<sup>87</sup>

- ყალბი ფაქტების გავრცელება სურათების ფარული მანიპულაციის გზით, მაგალითად, გამოსახულების დამუშავება პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;<sup>88</sup>

- სანარმოს პიროვნულობის და სხვა იურიდიული პირების პიროვნულობის უფლებების დაცვის მთლიანი სფერო.<sup>89</sup>

**სიკვდილის შემდგომი პიროვნულობის უფლებების ასპექტები განხილულია II 1. ე).**

## II. გადანყვეტილებების დეტალები:

### 1. გადარჩენილი პირების პიროვნულობის ზოგადი უფლებების დარღვევა:

2022 წელს გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებული რამდენიმე გადანყვეტილება უკავშირდება ცნობილი

მსახიობის გარდაცვალების გარემოებების აღწერას, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა ხმელთაშუა ზღვაზე ნავით მოგზაურობისას ცურვისა და ჩაყვინთვის დროს და შედეგად გარდაიცვალა.<sup>90</sup> აღნიშნულის შესახებ პრესის სხვადასხვა ორგანო იუწყებოდა, სადაც გადარჩენის მცდელობების შესახებ ინფორმაცია და გაკვეთის შედეგები იყო მოწოდებული. გარდაცვლილის ქმარმა, რომელიც ასევე იმყოფებოდა ნავზე და რომელიც, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი პირი, პუბლიკაციაში სახელით იყო მოხსენიებული, სასამართლოს ქმედების განხორციელების აკრძალვის სარჩელით მიმართა.

ა) უპირველეს ყოვლისა, ფედერალური უმაღლესი სასამართლო თავის გადანყვეტილებებში აჯამებს თავის წინა პრეცედენტულ პრაქტიკას პიროვნულობის ზოგადი უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც უკვე ზემოთ იყო ახსნილი. შედეგად, გადანყვეტილებების ცენტრალური ნაწილი ეხება გარდაცვლილის ახლო ნათესავების პირადი სფეროს დაცვას.

გადანყვეტილების ამოსავალი ნერტილი არის ის, რომ ჩარევა პიროვნულობის უფლებაში შესაძლებელია მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულთან მიმართებით. ნებისმიერ პირზე, რომელზეც სხვა პირის პიროვნულობის უფლებაში ჩარევა ირიბ ზეგავლენას ახდენს, სამართლებრივად მხოლოდ მაშინ მოქმედებს, თუ პუბლიკაცია ასევე შეიცავს უშუალოდ მისი პიროვნულობის უფლებების დარღვევასაც.<sup>91</sup> შესაბამისად,

<sup>87</sup> იხ. BVerfG, Beschluss vom 25. März 1992 - 1 BvR 514/90 - BVerfGE 86, 1, juris Rn. 32 ff.; BGH, Urteil vom 10. Januar 2017 - VI ZR 562/15 - NJW 2017, 1617, juris Rn. 13 ff.; BGH, Urteil vom 8. November 2005 - VI ZR 64/05 - NJW 2006, 603, juris Rn. 11.

<sup>88</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით BVerfG, Beschluss vom 14. Februar 2005 - 1 BvR 240/04 - NJW 2005, 3271, juris Rn. 22 ff.; BGH, Urteil vom 8. November 2005 - VI ZR 64/05 - NJW 2006, 603, juris Rn. 19.

<sup>89</sup> იხ. BGH, Urteil vom 9. August 2022 - VI ZR 1244/20 - NJW 2022, 3072, juris Rn. 32, სასტუმროს შეფასების პორტალისთვის; BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 54/21 - MDR 2023, 232, juris, ექიმის შეფასების პორტალისთვის; BGH, Urteil vom 22. Februar 2011 - VI ZR 120/10 - NJW 2011, 2204, juris Rn. 9 ff., საკრედიტო შეფასებებისთვის; შდრ. დამატებით მასწავლებლის

შეფასების ფორუმისთვის: BGH, Urteil vom 23. Juni 2009 - VI ZR 196/08 - BGHZ 181, 328, juris Rn. 29 ff.

<sup>90</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 123/21 - MDR 2022, 1023; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 124/21 - ZUM-RD 2022, 545; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 125/21 - openJur 2022, 13872; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496.

<sup>91</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 3960, juris Rn. 36; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 123/21 - MDR 2022, 1023, juris Rn. 36; შდრ. BGH, Urteil vom 6. Dezember 2005 - VI ZR 265/04 - BGHZ 165, 203, juris Rn. 21; შემგებლობასთან დაკავშირებით დეტალურად BGH, Urteil vom 14. Juni 2022 - VI ZR 172/20 - NJW 2022, 2406, juris Rn. 11, რომლის მიხედვითაც გერმანიაში

პირის გარდაცვალების შესახებ პუბლიკაციის გავრცელებისას, ინდივიდუალური საქმის გარემოებებზე და მოკიდებული, უშუალოდ თუ მხოლოდ ირიბად ზიანდება ახლო ნათესავის პიროვნულობის უფლებები.<sup>92</sup>

პირდაპირი შემხებლობა არ მოითხოვს, რომ მესამე პირი, ამ შემთხვევაში მსახიობის ქმარი, იყოს პუბლიკაციის ყურადღების ცენტრში ან კონტენტი უპირველესად მასზე იყოს მიმართული. თუმცა, აუცილებელია, რომ მესამე პირის პიროვნულობის უფლების სფერო მაინც იყოს თემატიზირებული პრესის პუბლიკაციაში. პირადი შემხებლობის საჭიროება არ გამოირეცხება იმით, რომ პუბლიკაციაში მოხსენიებული პირი გარდაიცვალა და მისი ფუნდამენტური უფლება პიროვნების თავისუფალი განვითარების შესახებ (გკპ-ის 2 I) აღარ მოქმედებს.<sup>93</sup>

პიროვნულობის უფლების დარღვევა მხოლოდ იმიტომ ვერ იარსებებს, რომ მესამე პირი წარმოდგენილ პირთან ახლო ურთიერთობის გამო პუბლიკაციით, რომელიც მას არც პირდაპირ და არც დუმილით არ მოიხსენიებს, თავს გრძნობს დაზარალებულ პირად. ასევე არ არის საკმარისი, რომ მკითხველი, მსმენელი ან მაყურებელი მოცემულ პუბლიკაციას მიზეზად აღიქვამს, ისაუბროს მესამე პირის შესახებ ან თუნდაც შეაწუხოს იგი. ასეთი გამოსატყულებელი წარმოდგენენ გაშუქების მხოლოდ ირიბ რეფლექსურ ეფექტს და საბოლოო ჯამში მომდინარეობს იმ პირთან პირადი კავშირის შედეგად, რომელიც საზოგადოების თვალში პუბლიკაციის გამო ყურადღების ცენტრშია.<sup>94</sup>

ბ) აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ პრესის პუბლიკაციების დიდი ნაწილი ერთად გატარებული შვებულებისა და ნავით გამგზავრების შესახებ, განიხილა როგორც მსახიობის მეუღლის პირად სფეროში პირდაპირი ჩარევა. უბედური შემთხვევის მომენტში ორივე იმყოფებოდა ისეთ ადგილას, სადაც შესაძლებელი იყო დასვენება გარკვეულ განმარტობაში, საზოგადოების დაკვირვებისა და მათ გამო იძულებით განხორციელებული თვითკონტროლისგან თავისუფლად ყოფნის მიზნით.

ზემოაღნიშნულ მოცემულობაში ქმრის პიროვნულობის უფლების ხელშეუხებლობაზე პირდაპირ მოახდინა ზეგავლენა იმ ფაქტმა, როდესაც შეიტყო, რომ მისმა ცოლმა წყალში მოულოდნელად დაკარგა გონება. ეს ინფორმაცია განუყოფლად არის დაკავშირებული იმ ფაქტთან, რომ მსახიობის ქმარი ნავზე მოულოდნელად აღმოჩნდა უკიდურესი ემოციური სტრესის სიტუაციაში, როდესაც იგი მარტო იყო და ცოლის სიცოცხლის გადარჩენისთვის უწევდა ბრძოლა.<sup>95</sup>

ანალოგიურად, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ პუბლიკაციის ის ნაწილები - მათ შორის ქმართან მიმართებით -, რომლებიც ეხებოდა ცხედრის გერმანიაში გადასვენებას, მიაკუთვნა პირად სფეროს. გადასვენება წარმოადგენს მოვლენას, რომელიც დაშორებულია საზოგადოებისგან, ემსახურება დაკრძალვისთვის მომზადებას და ეხება მხოლოდ ახლო ნათესავებს.<sup>96</sup> ანალოგიურად განიმარტება გაკვეთის

მცხოვრები ყოველი ებრაელის სისწორესა და პატივისცემაზე მოთხოვნას პირდაპირ ებრძვის იუდაიზმის დაცინვა და შეურაცხყოფა.

<sup>92</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 38 ff.; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 28; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 123/21 - MDR 2022, 1023, juris Rn. 36; BGH, Urteil vom 6. Dezember 2005 - VI ZR 265/04 - BGHZ 165, 203, juris Rn. 23 ff.

<sup>93</sup> იხ. BVerfG, Beschluss vom 5. April 2001 - 1 BvR 932/94 - NJW 2001, 2957, juris Rn. 18; BGH, Teilverurteilung vom 29. November 2021 - VI ZR 248/18 - NJW 2022, 847, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 12. Juli 2018 - III ZR 183/17 - BGHZ 219, 243, juris Rn. 53; BGH, Beschluss vom 25.

April 2018 - XII ZB 414/16 - NJW-RR 2018, 967; juris Rn. 19; შდრ. გარდაცვლილი პიროვნების შემდგომი უფლებების შესახებ II. 1. ე).

<sup>94</sup> სრულად: BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 37; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 26; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 6. Dezember 2005 - VI ZR 265/04 - BGHZ 165, 203, juris Rn. 24.

<sup>95</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 41.

<sup>96</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 84; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 69.

შედეგებიც, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია ზემოთ აღწერილ უბედურ შემთხვევასთან, რომელსაც მეუღლე უშუალოდ შეესწრო.<sup>97</sup>

გარდა ამისა, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ პუბლიკაციების ის ნაწილები ჩათვალა ქმრის პიროვნულობის უფლებების დარღვევად, რომელიც ეხებოდა მესამე პირის მხრიდან გადარჩენის მცდელობებს, როგორებიცაა სამაშველო შეუღლმფრენების, სასწრაფო დახმარების ექიმებისა და სასწრაფო დახმარების მანქანების გამოყენებას. მართალია, ეს ზომები ადგილზე ვერ დარჩებოდა საზოგადოებისგან დაფარული, ასე რომ აღნიშნული ქმრის სივრცით პირად სფეროს - გემისგან განსხვავებით - ვერ დააზარალებდა, თუმცა, პირად სფეროში შინაარსობრივი ჩარევა, მოცემულ შემთხვევაში, გამოიხატებოდა იმაში, რომ ხმელეთზე განხორციელებულმა პირველადი დახმარების ღონისძიებებმა გამოიწვიეს ქმრის ყველაზე მძაფრი შიში მისი მეუღლის სიცოცხლის მიმართ. ის, რომ პუბლიკაციებში ეს შიში პირდაპირ არ არის ნახსენები, არაფერს ცვლის.<sup>98</sup>

გ) გადანყვეტილების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ეხება **პუბლიკაციის მთავარი არსის დადგენას**.

ა.ა) უპირველეს ყოვლისა, ფედერალური უმაღლესი სასამართლო აძლიერებს თავის დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც ინტერპრეტაცია, ერთის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს **პუბლიკაციის მიუკერძოებელი და გონივრული მკითხველის გაგებას**<sup>99</sup> და მეორეს მხრივ, **საერთო კონტექსტს**, რომლის ფარგლებშიც გაკეთებულია განცხადება.<sup>100</sup> ის არ უნდა იყოს ამოღებული იმ კონტექსტიდან, რომელსაც ის ეხება და არ უნდა მოხდეს მისი მხოლოდ იზოლირებულად შეფასება.<sup>101</sup>

ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დააკონკრეტა ეს ზოგადი პრინციპები აქ განხილულ სამართალწარმოებაში ისე, რომ განმარტებისთვის გადამწყვეტი უნდა იყოს მხოლოდ ამ კონკრეტული პუბლიკაციის საერთო კონტექსტი, რომელშიც განსამარტი პუბლიკაციაა მოხვედრილი. ფედერალური უმაღლესი სასამართლოს აზრით, გამოსატყვის თავისუფლების გაუმართლებელ შეზღუდვას გამოიწვევდა, თუ განცხადების შინაარსის დასადგენად იმავე თემაზე სხვა სტატიების შინაარსის გამოყენება მოხდებოდა. მაშინაც კი, თუ ცალკეული პუბლიკაციები ერთმანეთზეა აგებული, როგორც „გაგრძელებული ამბავი“, ისინი არ ქმნიან ერთიანობას, მათში მოცემული განცხადებების ინტერპრეტაციისას - და შესაბამისად, პიროვნულობის უფლებების დაცვის ფარგლების განსაზღვრისას.<sup>102</sup>

განხილული გადანყვეტილებების გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვანაირად უნდა განიმარტოს საკითხი, როდესაც ავტორების ცალკეული ნაწილები თავიდანვე აღიქმებოდა, როგორც ინფორმაციული საერთო კონცეფციის ნაწილი (ნაწილი 1, ნაწილი 2 ან სხვა შინაარსთან დაკავშირებული მითითებები). ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ცალკეული ნაწილები უნდა ექვემდებარებოდნენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე საერთო განხილვას. ამისათვის, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი, რომ რედაქციულად თვითემარი სტატიები ერთიანდებოდნენ ერთი მთავარი თემატური ფოკუსის, ანუ ერთი ტიპის თემატური სერიების ქვეშ ან ერთიანი ლოგოს ფარგლებში უნდა იყოს გაყიდული (მაგ. რეგულარულად გამომავალი სატელევიზიო ჟურნალები ან ჟურნალის რეგულარული რუბრიკები). ასეთი მიდგომა თავიდანვე, და არა მხოლოდ ინტერესების შენონვისას შეზღუდავდა,

<sup>97</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 79; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 68.

<sup>98</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 74.

<sup>99</sup> BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 29; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 27. April 2021 - VI ZR 166/19 - NJW 2021, 3334, juris Rn. 11.

<sup>100</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 73; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 27. April 2021 - VI ZR 166/19 - NJW 2021, 3334, juris Rn. 11.

<sup>101</sup> BGH, Urteil vom 2. Juli 2019 - VI ZR 494/17 - VersR 2019, 1432, juris Rn. 24; BGH, Urteil vom 16. Januar 2018 - VI ZR 498/16 - VersR 2018, 492, juris Rn. 20.

<sup>102</sup> სრულად: BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 106.



პრესის, ინფორმაციისა და აზრის თავისუფლების ძირითად უფლებას კონსტიტუციურად დაუშვებელი გზით.

ბ.ბ) ამასთან, უნდა განვასხვავოთ მედიაპუბლიკაციების განმარტება ავლენს თუ არა ფარულ ცილისმნამებლურ განცხადებას, მისი ცალკეული განცხადებების საერთო კონტექსტის მიხედვით, „სტრიქონებს შორის“ და არის თუ არა სტატია ობიექტურად **ორაზროვანი**.

(1) სასამართლო პრაქტიკა ამოსავალ წერტილად აღიარებს, რომ **შეფარული** განცხადება რამდენიმე საკმაოდ ნეიტრალური მნიშვნელობის განცხადების ურთიერთქმედების გზით მიიღება მხედველობაში.<sup>103</sup> თუმცა, ასეთი შეფარული განცხადების აღიარებისთვის საჭიროა დიდი თავშეკავება, რათა არ მოხდეს პიროვნულობის უფლების დაცვასა და აზრის თავისუფლებას შორის ამ უკანასკნელის შეკვეცის ხარჯზე ბალანსირება.<sup>104</sup> ამიტომაც, შეფარული განცხადების დაშვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორი ღია განცხადებების ურთიერთქმედების გზით აკეთებს დამატებით ფაქტობრივ განცხადებას ან, სულ მცირე, სთავაზობს მკითხველს აღნიშნულს, როგორც გარდაუვალ დასკვნას. მეორე მხრივ, სტატიაში მოხსენიებული პირის პიროვნულობის უფლებები, როგორც წესი, არ ირღვევა, თუ მკითხველი გამოიტანს საკუთარ დასკვნებს მისთვის მიწოდებული ფაქტებიდან იმ სიტუაციის შესახებ, რომლის შესახებაც პუბლიკაცია შეიძლება სთავაზობდეს, მაგრამ ავტორს არც აშკარად და არც შეფარვით ამის შესახებ არ განუცხადებია.<sup>105</sup> ზოგადად, პიროვნულობის უფლებები ვერ იქნებიან დაცული ისეთი სპეკულაციებისგან, რომლებიც საბოლოოდ მხოლოდ მკითხველის გონებასა და წარმოსახვაში ჩნდება.

(2) სახეზეა **მრავალმნიშვნელობა**, როდესაც, თუნდაც განმარტების ყველა კრიტერიუმის გამოყენებისა და გამოხატვის თავისუფლების ემანაციების გათვალისწინებით, ნათქვამის განმარტების რამდენიმე შესაძლო გზა არსებობს. პრეცედენტული სამართალი ასეთ სიტუაციებში გამოხატვის თავისუფლების დასაცავად და დამაშინებელი ეფექტის თავიდან ასაცილებლად საფუძვლად იღებს ყველაზე ხელსაყრელ განმარტებას, როდესაც საკითხი ეხება ზიანის ანაზღაურების ან ქმედების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნებს,<sup>106</sup> ხოლო ქმედების განხორციელების აკრძალვისას იყენებს შემდეგ პრინციპს, რომელიც აქ შემოკლებული ფორმითაა წარმოდგენილი:

აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დამაშინებელი ეფექტი არ არსებობს, თუ გამომთქმელს აქვს შესაძლებლობა პიროვნულობის უფლებაში ჩარევით გაკეთებული ობიექტურად ორაზროვანი განცხადება (გამომთქმელისთვის არახელსაყრელი ინტერპრეტაციის შემთხვევაში) მისთვის შესაძლებელი ზედმეტი ტვირთის გარეშე გაანეიტრალოს, სიტუაციის ნათელყოფის გზით. თუ დაინტერესებული პირი ცდილობს გააკეთოს ასეთი დამაზუსტებელი განცხადება და ამას ვერ ახერხებს, ამ დროიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ობიექტურად ორაზროვანი განცხადების შინაარსი არასახარბიელოა განცხადების გამკეთებლისთვის, რომლის გარეშეც მოცემული ინტერპრეტაციის გზით აზრის თავისუფლების უფლება ირღვევა. განმარტების ეს ვარიანტი ასევე შეიძლება გახდეს ქმედების განხორციელების აკრძალვის მოთხოვნის და მისი სასამართლო მტკიცების საფუძველი.<sup>107</sup>

<sup>103</sup> BGH, Urteil vom 27. April 2021 - VI ZR 166/19 - NJW 2021, 3334, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 2. Juli 2019 - VI ZR 494/17 - VersR 2019, 1432, juris Rn. 29; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 17. Dezember 2013 - VI ZR 211/12 - BGHZ 199, 237, juris Rn. 15.

<sup>104</sup> BGH, Urteil vom 27. April 2021 - VI ZR 166/19 - NJW 2021, 3334, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 2. Juli 2019 - VI ZR 494/17 - VersR 2019, 1432, juris Rn. 30.

<sup>105</sup> BGH, Urteil vom 27. April 2021 - VI ZR 166/19 - NJW 2021, 3334, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 2. Juli 2019 - VI ZR 494/17 - VersR 2019, 1432, juris Rn. 30.

<sup>106</sup> BVerfG, Beschluss vom 19. Dezember 2007 - 1 BvR 967/05 - NJW 2008, 1654, juris Rn. 32; BVerfG, Beschluss vom 25. Oktober 2005 - 1 BvR 1696/98 - BVerfGE 114, 339, juris Rn. 33.

<sup>107</sup> სრულად: BVerfG, Beschluss vom 19. Dezember 2007 - 1 BvR 967/05 - NJW 2008, 1654, juris Rn. 32 ff.; BVerfG, Beschluss vom 25. Oktober 2005 - 1 BvR 1696/98 - BVerfGE 114, 339, juris Rn. 33 ff.

გ.გ) რეპორტაჟისა და სატელევიზიო სიუჟეტებისთვის ფედერალური უმაღლესი სასამართლო აზუსტებს განმარტების ამ ზოგად პრინციპებს ისე, რომ სიუჟეტის გადაცემის საშუალების ბუნების გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რეპორტაჟის საერთო შინაარსი, ე.ი. რეპორტაჟისა და სატელევიზიო სიუჟეტების შინაარსი სისტემატურად უნდა განისაზღვროს გამოსახულებისა და გამოთქმული სიტყვის ურთიერთქმედებით.<sup>108</sup> ნაჩვენები გამოსახულება მისი მნიშვნელობით არ უნდა იყოს ზედმეტად ინტერპრეტირებული, რადგან ის, როგორც წესი, არ არის გამიზნული სიტყვიერი ნაწილის შინაარსის გაფართოებისთვის, არამედ ნათქვამის საილუსტრაციოდ, იმისთვის რომ უფრო ხელშესახები გახადოს იგი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოსახულება ცალსახად ამ მიზანს ემსახურება, შეიძლება მას მიენიჭოს ისეთი მნიშვნელობა, რომელიც სცილდება სიტყვიერ ნაწილს.<sup>109</sup> აღნიშნული შეიძლება უპირველესად მაშინ არსებობდეს, თუ სურათზე, რომელიც არ არის ნახსენები სიტყვიერ ნაწილში, განსაკუთრებული მახასიათებლების საშუალებით ოპტიკურად წინ არის წამოწეული, მაგალითად, პიჯაკზე არსებული გამოსახულებები, რომლებიც ზოგადი გაგებით სიმბოლოა გარკვეული პოლიტიკური პიზიციის ან ეკონომიკური ქმედებისთვის. იგივე შეიძლება მოხდეს, თუ ორ ადამიანს შორის მჭიდრო პიროვნულობის ურთიერთობა არ არის ასახული სიტყვიერ ნაწილში, მაგრამ მაგიდის ქვეშ ხელების ან ფეხების შეხება საკმაოდ თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები რეპორტაჟში ან სურათებში.

ფოტორეპორტაჟის დასაშვებობა განიხილება I. 2. დ) და II. 2. ა).

დ) ზემოხსენებულ სამართლებრივ დავებში ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს უნდა მიეღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად გამართლებული იყო პიროვნულობის უფ-

ლებასთან შემხებლობაში არსებული პუბლიკაციების დაცვა. აქ გადამწყვეტი ფაქტორი იყო ის, თუ რამდენად აღემატებოდა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება გამოხატვისა და პრესის თავისუფლებას და საჯარო ინფორმაციისადმი ინტერესს.

ა.ა) პროცესის განსაკუთრებულ მახასიათებელს წარმოადგენდა ის, რომ პუბლიკაციაში გავრცელებული ინფორმაციის ნაწილი მომდინარეობდა იმ ადამიანებისგან, რომლებმაც თავიანთი პროფესიული საიდუმლოების დაცვის მოვალეობის დარღვევით გაამჟღავნეს სიკვდილის მიზეზის დეტალები.

ფედერალური უმაღლესი სასამართლო ეთანხმება თავის დადგენილ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, უკანონოდ შექმნილი ან მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნება სარგებლობს გძკ-ის 5 I მუხლის დაცვით. პრესის, როგორც „საზოგადოების watchdog-ის“ ფუნქცია მოიცავს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საჩივრებზე მითითებას. იმისათვის, რომ ეს დავალება ეფექტურად შესრულდეს, საჭიროა ზოგადად ინფორმაციის თავისუფალი ნაკადის არსებობა, რომელიც თავიდანვე არ უნდა იყოს აღკვეთილი უკანონოდ მოპოვებული ინფორმაციის მოპოვებისას.<sup>110</sup> მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონის დარღვევა მდგომარეობს კონფიდენციალურობისა და საიდუმლოების სფეროში შეჭრაში, შეიძლება საჭირო გახდეს პიროვნულობის უფლების დაცვა და მოპოვებული ინფორმაცია დაექვემდებაროს გავრცელების ზოგად აკრძალვას (შდრ. დეტალურად I. 2. ბ)). სხვა შემთხვევაში, კანონის ასეთი დარღვევა ზოგადად, შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ ინტერესების შეწინააღმდეგების დროს.

ამ ფარგლებში, უკანონოდ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პუბლიკაციის მიზანი და შე-

<sup>108</sup> BGH, Urteil vom 10. April 2018 - VI ZR 396/16 - NJW 2018, 2877, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 10. Dezember 1991 - VI ZR 53/91 - NJW 1992, 1312, juris Rn. 22.

<sup>109</sup> BGH, Urteil vom 10. April 2018 - VI ZR 396/16 - NJW 2018, 2877, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 10. Dezember 1991 - VI ZR 53/91 - NJW 1992, 1312, juris Rn. 22.

<sup>110</sup> შდრ. სრულად BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 53; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 10. April 2018 - VI ZR 396/16 - NJW 2018, 2877, juris Rn. 21, ადგილობრივი ქათმის ბიო ფერმაში უკანონო შეჭრის დროს მესამე მხარის მიერ გადაღებული ფილმების გავრცელებისთვის.

საბამისი ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული საშუალებები.<sup>111</sup> ინფორმაციისა და აზრის თავისუფლების დაცვა მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო მეტად ეხება საკითხი აზრთა ინტელექტუალურ ბრძოლაში წვლილის შეტანას იმ საკითხში, რომელიც საზოგადოებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. მნიშვნელობა მით უფრო მცირდება, რაც უფრო მეტად არის მიმართული პუბლიკაცია კერძო სამართლებრივი ინტერესების წინააღმდეგ და/ან რაც უფრო მეტად ემსახურება მისთვის სასარგებლო მიზნების მიღწევას.<sup>112</sup>

ამასთან, გასათვალისწინებელია **კანონის დარღვევის შესაძლო გრადაციები**. აღნიშნულს ადგილი შეიძლება ჰქონდეს კანონის განზრახ დარღვევის დონეზე, რომელიც ჩადენილია უკანონო გზით მოპოვებული ინფორმაციის საშუალებით მაღალი საზღაურის გადახდის ან უპირატესად პირადი ეკონომიკური ინტერესების გამო. თუმცა, შესაძლოა შკალის ბოლო საფეხურზე იყოს ინფორმაცია, რომლის დროსაც გამომცემელი, მართალია, იცავს ჟურნალისტური ზრუნვის მოვალეობას, მაგრამ მაინც არ შეუძლია აღიქვას, რომ ინფორმაცია კანონის დარღვევითაა მოპოვებული მესამე პირისგან.<sup>113</sup>

თუ სტატიის ავტორი არ არის დამნაშავე ინფორმაციის უკანონო მოპოვებაში, საჭიროა ინტერესების ყოვლისმომცველი ანონვა ცალკეული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინე-

ბით, რომლის დროსაც არ უნდა იყოს იგნორირებული ინფორმაციის მოპოვების ტიპი.<sup>114</sup> აღნიშნული მოქმედებს მაშინაც, თუ მესამე პირის მეშვეობით ინფორმაციის მოპოვების უკანონობა არ დარჩენილა დამალული გამომცემლისთვის. აღნიშნული ინვეს მნიშვნელოვან განსხვავებას დანაშაულის დონეზე, მოიპოვებს თუ არა პუბლიკაციის ავტორი ინფორმაციას უკანონოდ იმ განზრახვით, რომ გამოიყენოს იგი დაინტერესებული პირის წინააღმდეგ, თუ ის უბრალოდ სხვა პირის მიერ კანონის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციით სარგებლობს.<sup>115</sup>

კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმების<sup>116</sup> ან მედიისთვის წინასწარ გაგზავნილი პრესრელიზის<sup>117</sup> ე.წ. „არგამოყენების პერიოდის“ დარღვევა არ უთანაბრდება „უფლების განზრახ მოპარვას“. ამ მხრივ გონივრულია, შეფასდეს, რაც უკვე ზემოთ აღინიშნა, რამდენად ფართოდ იქნა გამოყენებული არაკეთილსინდისიერი ქმედება (ზემოთ I. 2. ბ)).

ბ.ბ) ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად სხვადასხვა პუბლიკაციის სადავო პასაჟებთან დაკავშირებით, რომლებსაც მსახიობის ქმარი აპროტესტებდა, შემდეგი გადწყვეტილება მიიღო:

(1) ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ პრიორიტეტი მიანიჭა პირადი სფეროს დაცვას იმ ტექსტურ პასაჟებში, რომლებიც ეხებო-

<sup>111</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 54 ff.

<sup>112</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 54; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 10. April 2018 - VI ZR 396/16 - NJW 2018, 2877, juris Rn. 22.

<sup>113</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 53.

<sup>114</sup> შდრ. EGMR, Urteil vom 14. Januar 2021 - in Sachen Société Editrice de Mediapart u.a. v. France; Application nos. 281/15 und 34445/15 - NJW 2022, 759, Rn. 76 f., 86.

<sup>115</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 55; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 123/21 - MDR 2022, 1023, juris Rn. 50; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 10. April 2018 - VI ZR 396/16 - NJW 2018, 2877, juris Rn. 23 f.

<sup>116</sup> იხილეთ ე.წ. დაბლოკვის შეტყობინება: BGH, Teilurteil vom 29. November 2021 - VI ZR 248/18 - NJW 2022, 847, juris Rn. 123 ff.

<sup>117</sup> დაბლოკვის ეს პერიოდები ჩვეულებრივია, როდესაც პრესისთვის რელევანტურ ღონისძიებამდე, განსაკუთრებით პრესკონფერენციის წინ, მედიის წარმომადგენლებს ეძლევათ (პრესკონფერენციის ან სხვა ღონისძიების დასრულებამდე დროში „დაბლოკილი“) პრესრელიზი, რათა ისინი შინაარსობრივად სათანადოდ მოემზადონ ღონისძიებისთვის და ინფორმაციის „თავისუფლად გავრცელების“ შემდგომ მოახერხოს ამის შესახებ პირდაპირ ინფორმაციის მიწოდება; შდრ. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნდამენტურ გადწყვეტილებებში მათი პრაქტიკული გამოყენების შესახებ: VGH Baden-Württemberg, Beschluss vom 20. Dezember 2022 - 14 S 2096/22 - openJur 2022, 23009, juris Rn. 15.

და ქმრის შიშებს და ზღვაზე გადარჩენის მცდელობებს.<sup>118</sup> გარდაცვლილი გერმანიაში ცნობილი მსახიობია, რომელიც განეკუთვნებოდა საჯარო ცნობილ პირთა კატეგორიას. ასევე არსებობს საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ინტერესი მისი უეცარი გარდაცვალების შესახებ ინფორმაციისა და მის გარშემო არსებული გარემოებების მიმართ. იგივე ეხება საკითხს, თუ რა პირველადი დახმარების ღონისძიებებია საჭირო ასეთ შემთხვევაში და რა ძალისხმევას მოითხოვს ეს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უბედური შემთხვევის შემსწრე მეუღლისგან.

თუმცა, მსახიობის მეუღლის პიროვნულობის უფლებაში ჩარევა იმდენად სერიოზულია, რომ შესაბამისი პუბლიკაცია უკანონოდ უნდა შეფასდეს. აქ გადამწყვეტი ფაქტორია ის, რომ პუბლიკაციაში არ არის ნახსენები მხოლოდ ცოლის უეცარი გარდაცვალების შესახებ მოვლენები, რაც ქმრისთვის დამადანაშაულებელი იყო, არამედ, პუბლიკაციებში ზღვაზე განვითარებულ მოვლენები იყო აღწერილი, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებისგან დისტანცირებულ სიტუაციას, რომელსაც მხოლოდ ქმარი დაუპირისპირდა და მას უნდა მიეღო პირველადი დახმარების ზომები და დამოუკიდებლად ებრძოლა ცოლის სიცოცხლისთვის. ის ფაქტი, რომ პუბლიკაცია საკმაოდ სერიოზული და დეტალური იყო და აშკარად არ ეხებოდა ქმრის გრძნობებს, არაფერს ცვლის. ამის მიუხედავად, აღწერილი გარე გარემოებები მკითხველს აძლევდა წარმოდგენას მეუღლის სიცოცხლისთვის მისი ბრძოლის შესახებ, რომელიც საზოგადოებისგან იზოლირებული იყო და მოიცავდა ემოციების სპექტრს, რომლებიც გარდაუვლად იყო დაკავშირებული მის გადარჩენის მცდელობებთან. ჩარევის ინტენსივობა არ მცირდება იმით, რომ ტექსტის გასაჩივრებული სტრიქონები არ მიუთითებენ რაიმე ობიექტურ უხერხულობაზე გადარჩენის ამ მცდელობისას და, შესაბამისად, არც ქმრის დაკნინებას და არც მის ნეგატიური კუთხით წარმოჩენას ემსახურებოდა.

(2) რაც შეეხება ხმელეთზე პროფესიონალი მესამე პირების მიერ ქმრის მიერ დაწყებული პირველადი დახმარების მცდელობის გაგრძელების შესახებ პუბლიკაციებს, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ უარყო პიროვნულობის უფლებების უკანონო დარღვევა.

ამ კონტექსტში ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ საზოგადოების ინტერესი მსახიობის უეცარი გარდაცვალების შესახებ ინფორმაციისადმი გაზარდა საზოგადოებისთვის ცალსახად აღქმადმა სამაშველო შვეულმფრენმა, სასწრაფო დახმარების მანქანამ და ექიმებმა. ინდივიდუალური შემთხვევის გარდა, საერთო ინტერესია, მსგავსი უბედური შემთხვევის დროს რომელი პირველადი დახმარების ღონისძიებებია გამოყენებული და დამახასიათებელი.<sup>119</sup>

გარდა ამისა, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ, ინტერესთა შენონადობის კონტექსტში, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მესამე პირების მიერ განეული პირველადი დახმარების ღონისძიებების აღწერა ნაკლები ინტენსივობით ერეოდა პირად სფეროში, ვიდრე თავად მეუღლის მხრიდან გადარჩენის მცდელობების აღწერა. ასევე მიუთითა, რომ მეუღლე, თუმცა პასიურ როლში იყო, როდესაც მისი მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა ხმელეთზე, მაგრამ იგი კვლავ ძალიან მაღალი ემოციური სტრესის ქვეშ იმყოფებოდა. საზოგადოებას შეეძლო ამ პირველადი დახმარების ღონისძიებების უშუალოდ აღქმა ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე, ანუ, უცენზურო დამკვირვებლის პოზიციაში მოქცევის ან კერძო სფეროში შეჭრის გარეშე. შესაბამისი ტექსტის პასაჟები ამასთან არის საკმაოდ ზოგადი და შედარებით დისტანცირებული. მათგან ნაკლებად აღიქმებოდა ინფორმაცია, რომ მსახიობი ვერტმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს და იქ ექიმებმა მის გადასარჩენად მეტი ვერაფერი გააკეთეს. ამიტომ ისინი პატივს სცემდნენ ნათესავების

<sup>118</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 57 ff.; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 41 ff.

<sup>119</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 76; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 78.

ტანჯვას და, შესაბამისად, არც ქმრის გრძნობებს საჯაროდ „წარმოაჩენდნენ“<sup>120</sup> და არც მკითხველს აძლევდნენ საშუალებას, წმინდა ვუაიერისტული თვალსაზრისით შეეხედათ ცნობილი მსახიობის გარდაცვალებისა და მისი ნათესავეების ტანჯვისათვის.<sup>121</sup>

(3) მეორე მხრივ, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ის ფაქტი, რომ პრესაში გამოქვეყნდა ინტერვიუ, რომელშიც კლინიკის მკურნალი ექიმი აღწერდა **მსახიობის სიცოცხლისთვის უშედეგო ბრძოლას**, უკანონო იყო.

მედიის წარმომადგენლებს უნდა სცოდნოდათ მსახიობის მეუღლის ადვოკატის პრესის წარმომადგენლებისთვის გაკეთებული განცხადების საფუძველზე, რომ, ოჯახის თხოვნით, მისი გარდაცვალების შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ გავრცელდებოდა. ამიტომ გამორიცხული იყო, რომ ექიმის ინტერვიუ ოჯახის მიერ ყოფილიყო ნებადართული. გარდა ამისა, მისი აღწერილობები არ შეიცავდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ღირებულებას, არამედ ემსახურებოდა მკითხველის ცნობისმოყვარეობისა და მძაფრი ემოციების განცდის წყურვილის დაკმაყოფილებას. ექიმის მიერ კანონის დარღვევა, რომელის გამოყენებაც მოხდა პუბლიკაციისთვის, ასევე, სავარაუდოდ, გაამძაფრებდა ქმრის მწუხარებას და გაზრდიდა მის ტანჯვას.<sup>122</sup>

(4) ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ არ ჩათვალა უკანონოდ ის ფაქტი, რომ პუბლიკაციებს თან ერთვოდა ხმელეთზე განხორციელებული პირველადი დახმარების **სურათები**. მან ეს ძირითადად იმით დაასაბუთა, რომ ამ სურათებში უფრო მეტად გარე აღწერილობები იყო ნაჩვენები (ექიმები, რომლებიც სამაშველო შვეულმფრენიდან გადმოხტნენ; სანაპიროზე

დატრიალებული მტვერი და ა. შ) ან იყო ბუნდოვანი, გაურკვეველი ან პიქსელირებული იმდენად, რამდენადაც ისინი უკავშირდებოდნენ (გაფუჭებულ) ნავს ან სანაპიროზე პირველადი დახმარების ჩატარებას.<sup>123</sup> მაშასადამე, გონივრული მათეზისთვის სიტუაცია არ არის უფრო ემოციურად დატვირთული გამოქვეყნებული სურათებისა და ვიდეო მასალის საშუალებით, ვიდრე სიტყვიერი ნაწილით.<sup>124</sup>

გ.გ) და ბოლოს, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ განიხილა, მცირდება თუ არა მეუღლის დაცვა იმით, რომ მისმა ცოლმა შვებულების დროს სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა საცურაო კოსტიუმში გადაღებული ფოტო კომენტარით „დღესასწაულის განცდა“ და შვებულების დაწყებამდე ინტერვიუში განაცხადა „სანაპიროზე უბრალო შვებულების“ შესახებ. ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ღიად დატოვა საკითხი, შეერაცხება თუ არა ეს განცხადებები მსახიობის ქმარს. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, მათი მხრიდან თვითგასაჯაროება არ მომხდარა, რადგან შვებულების ადგილისა და დროის შესახებ ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ.<sup>125</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილებების გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ უკვე სხვა გადაწყვეტილებაში განიხილა **მესამე მხარის, კერძოდ, პარტნიორის მიერ თვითგასაჯაროების** შედეგები.<sup>126</sup> ძალიან მოკლედ, ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ ცნობილმა წამყვანმა ინტერვიუში ისაუბრა მისი „ინტერპერსონალური სინაზის“ გაცვლის ინტენსივობაზე. აღნიშნულის შესახებ პრესის სხვა ორგანოში გამოჩნდა პუბლიკაცია სათაურით „... სახელგანთქმული ქალბატონები სექსის მიმართ ინტერესს კარგავენ!“.

<sup>120</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 77; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 78.

<sup>121</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 120; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 81.

<sup>122</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 3960, juris Rn. 129; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 87; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 123/21 - MDR 2022, 1023, juris Rn. 58.

<sup>123</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 89 ff.

<sup>124</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 97 ff.

<sup>125</sup> BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 280/21 - WRP 2023, 396, juris Rn. 44 f.; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 32.

<sup>126</sup> BGH, Urteil vom 14. Dezember 2021 - VI ZR 403/19 - NJW-RR 2022, 419, juris Rn. 16.

წამყვანის პარტნიორის მიერ აღნიშნულის წინააღმდეგ დაწყებული სამართლებრივი პროცესის ფარგლებში, ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, სხვა საკითხებთან ერთად, წამყვანის თვითგასაჯაროებამ გავლენა მოახდინა თუ არა მისი პარტნიორის პირადი სფეროს დაცვაზე.

ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ განაცხადა, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, პარტნიორების (ქორწინების), არასრულწლოვანი შვილების, წარმომადგენლების ან უფლებამოსილი პირების ან დაინტერესებული პირის მიერ ნებაყოფლობითი თანაინიციატივის შემთხვევაში, მესამე პირის თვითგასაჯაროების შერაცხვა შეიძლება დასაშვებად ჩითვალოს.<sup>127</sup> თუმცა, მოცემულ საქმეში მან ასეთი შერაცხვის არსებობა უარყო, რადგან პარტნიორი არც თემის საჯარო განხილვას დათანხმდა და არც წამყვანს დაეხმარა თვითგასაჯაროების პროცესში.

ე) ასევე უნდა აღინიშნოს (განხილული გადაწყვეტილებების მიღმა), რომ აქ ნახსენები თემა უნდა გაიმიჯნოს **სიკვდილის შემდგომი პიროვნულობის უფლებებისგან**. აქ საუბარია არა დაღუპულთა პიროვნულობის უფლებებზე, არამედ გარდაცვლილის ხსოვნის დაცვაზე.

ფედერალური უმაღლესი სასამართლო იმგვარად აჯამებს არსებულ პრინციპებს, სხვა საკითხებთან ერთად, რომ მხოლოდ ცოცხალი ადამიანი შეიძლება იყოს პიროვნების ზოგადი

უფლების მატარებელი და, შესაბამისად, იგი გარდაცვალებით ქრება.<sup>128</sup> თუმცა, ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაიცვას ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული ღირსების უფლება სიკვდილის შემდგომაც.<sup>129</sup>

ამასთან, პიროვნების სიკვდილის შემდგომი უფლების დაცვა არ არის პიროვნების ზოგადი უფლების დამცავი ეფექტის იდენტური, არამედ იგი უკან იხევს.<sup>130</sup> ერთის მხრივ, დაცულია პატივისცემის ზოგადი მოთხოვნა, რომლის მეშვეობითაც გარდაცვლილი პირი დაცულია მისი სიკვდილის შემდგომი დაკნინების ან დამცირებისგან.<sup>131</sup> მეორეს მხრივ, დაცულია მორალური და სოციალური ღირებულება, რომელიც გარდაცვლილმა ადამიანმა შეიძინა თავისი ცხოვრებისეული მიღწევებით.<sup>132</sup> ამ მიზეზით, მისი ცხოვრებისეული მიღწევები და გარდაცვლილის პერსონა არ უნდა იყოს უხეშად დამახინჯებული.<sup>133</sup> გასათვალისწინებელია, რომ მიცვალებულის უფლებების დაცვის საჭიროება იკლებს მასზე ხსოვნის გაქრობასთან ერთად, ასე რომ, დროთა განმავლობაში მცირდება ინტერესი, რომ არ გაყალბდეს მისი ცხოვრებისეული სურათი.<sup>134</sup>

გარდაცვლილის უახლოეს ნათესავს შეუძლია, მოითხოვოს **სიკვდილის შემდგომი პიროვნულობის უფლებების დარღვევის გამო** დაცვის

<sup>127</sup> BGH, Urteil vom 12. Juni 2018 - VI ZR 284/17 - NJW 2018, 3509, juris Rn. 16; so auch BVerfG, Beschluss vom 21. August 2006 - 1 BvR 2606/04 - NJW 2006, 3406, juris Rn. 33, ნებაყოფლობით თანაინიციატივაზე.

<sup>128</sup> BGH, Teilurteil vom 29. November 2021 - VI ZR 248/18 - NJW 2022, 847, juris Rn. 18 ff.

<sup>129</sup> BVerfG, Beschluss vom 5. April 2001 - 1 BvR 932/94 - NJW 2001, 2957, juris Rn. 18; BGH, Teilurteil vom 29. November 2021 - VI ZR 248/18 - NJW 2022, 847, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 12. Juli 2018 - III ZR 183/17 - BGHZ 219, 243, juris Rn. 53; BGH, Beschluss vom 25. April 2018 - XII ZB 414/16 - NJW-RR 2018, 967; juris Rn. 19.

<sup>130</sup> BVerfG, Beschluss vom 24. Januar 2018 - 1 BvR 2465/13 - NJW 2018, 770, juris Rn. 20; BGH, Teilurteil vom 29. November 2021 - VI ZR 248/18 - NJW 2022, 847, juris Rn. 20.

<sup>131</sup> BVerfG, Beschluss vom 24. Januar 2018 - 1 BvR 2465/13 - NJW 2018, 770, juris Rn. 20; BGH, Teilurteil vom 29. November 2021 - VI ZR 248/18 - NJW 2022, 847, juris Rn. 20.

<sup>132</sup> BGH, Teilurteil vom 29. November 2021 - VI ZR 248/18 - NJW 2022, 847, juris Rn. 20; BGH; Urteil vom 16. September 2008 - VI ZR 244/07 - NJW 2009, 751, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 12. Juli 2018 - III ZR 183/17 - BGHZ 219, 243, juris Rn. 53.

<sup>133</sup> BGH, Teilurteil vom 29. November 2021 - VI ZR 248/18 - NJW 2022, 847, juris Rn. 20; შდრ. ასევე BVerfG, Beschluss vom 24. Januar 2018 - 1 BvR 2465/13 - NJW 2018, 770, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 1. Dezember 1999 - I ZR 49/97 - BGHZ 143, 214, juris Rn. 61; BGH, Urteil vom 8. Juni 1989 - I ZR 135/87 - BGHZ 107, 384, juris Rn. 31.

<sup>134</sup> BVerfG, Beschluss vom 24. Januar 2018 - 1 BvR 2465/13 - NJW 2018, 770, juris Rn. 20.

უფლებები ქმედების აკრძალვის და ცნობების უარყოფის მოთხოვნის სახით.<sup>135</sup>

## 2. პოლიციელის გამოსახულება:

რამდენიმე გადაწყვეტილებაში ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს მოუწია საკითხის განხილვა, რომ არაერთ პუბლიკაციაში და სოციალურ მედიაში თანდართულ სიტყვიერ ნაწილთან ერთად გავრცელდა იმ პოლიციელის ფოტოები, რომელიც მონაწილეობდა ნეონაციისტური ფესტივალის დაცვაში და ამ ოპერაციის დროს მის ფორმაზე გამოსახული იყო სიმბოლოები და კოდები, რომლებიც (ყოველ შემთხვევაში, ასევე) გამოიყენება მემარჯვენე ფრთაზე. ფოტოები პორტრეტის მსგავსად იყო შექმნილი და შესაძლებელი იყო პირის იდენტიფიცირება, ვინაობის დასახელების გარეშე სულ მცირე მის პროფესიულ და პირად გარემოში.<sup>136</sup> სამართლებრივ დავებში სადავო საკითხს წარმოადგენდა ის, იყო თუ არა აღნიშნული სიმბოლოები და კოდები გამოყენებული ექსკლუზიურად და მთლიანად მემარჯვენე ან უკიდურეს მემარჯვენე ბანაკში, თუ ისინი ასევე გამოიყენებოდა სხვა ჯგუფების მიერ. ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ ვერ დაადგინა აღნიშნული ფაქტი ამასთან დაკავშირებით, ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს, პოლიციელის სასარგებლოდ გასაჩივრების უფლების საფუძვლებიდან გამომდინარე, უნდა ჩაეთვალა, რომ სიმბოლოებს სხვა ჯგუფებიც იყენებდნენ.

ა) ამ გადაწყვეტილებებში ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დაადასტურა §§ 22, 23 KUG-ის გრადაციული დაცვის კონცეფცია, რომელიც უკვე წარმოდგენილი იყო შესავალში (I. 2. დ) გგ) (1)).<sup>137</sup>

სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის გაგრძელებისთვის, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ უპირველესად განაცხადა, რომ ფოტორეპორტაჟის საინფორმაციო შინაარსი უნდა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული სიტყვიერი ნაწილის გათვალისწინებით (იხ. I. 2. ა) გგ)).<sup>138</sup> გარდა ამისა, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ მიუთითა ინტერესთა დაბალანსების პრინციპებზე, რომლებიც უკვე არაერთხელ იყო წარმოდგენილი (იხ. I. 2. დ). მოცემულ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, თუ რომელ ცხოვრებისეულ სიტუაციაში მოხვდა მოსარჩელე და როგორ იქნა იგი გამოსახული.<sup>139</sup> დამატებით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მისი, როგორც საჯარო მოხელის, პიროვნულობის უფლებებში ჩარევა უფრო რთულია, როდესაც პუბლიკაცია მის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება, ვიდრე კერძო პირის შემთხვევაში.<sup>140</sup> ინტერესების შეწონადობისას ასევე გასათვალისწინებელი იყო ის, რომ ერთის მხრივ კარგი რეპუტაციის დაცვა პიროვნების ზოგადი უფლების ნაწილია<sup>141</sup> და რომ ფოტოების გამოქვეყნებისას პიროვნულობის უფლების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალური გამოსახულების

<sup>135</sup> BGH, Urteil vom 12. Juli 2018 - III ZR 183/17 - BGHZ 219, 243, juris Rn. 53; BGH, Urteil vom 5. Oktober 2006 - I ZR 277/03 - BGHZ 169, 193, juris Rn. 11.

<sup>136</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 1319/20 - VersR 2023, 188; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 1328/20 - openJur 2022, 22050; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196.

<sup>137</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 15 ff. ; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 11 ff.

<sup>138</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 16; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 29. Mai 2018 - VI ZR 56/17 - VersR 2018, 1136, juris Rn. 16.

<sup>139</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 16; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 29. September 2020 - VI ZR 449/19 - GRUR 2021, 106, juris Rn. 25.

<sup>140</sup> EGMR, Urteil vom 14. Januar 2014 in Sachen Lavriv v. Romania, Application no. 22231/05, Rn. 33 f.; EGMR, Urteil vom 17. Dezember 2004 in Sachen Pedersen and Baadsgaard v. Denmark, Application no. 49017/99 - NJW 2006, 1645, Rn. 80; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 16.

<sup>141</sup> EGMR, Urteil vom 7. Februar 2012 in Sachen Axel Springer AG v. Germany, Application no. 39954/08, NJW 2012, 1058, Rn. 177; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 16.

მეშვეობით მაღალი ხარისხის ჩარევის გამო.<sup>142</sup> მეორეს მხრივ, ინტერესების ანონვა ასევე უნდა მოიცავდეს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი, ვინც წინასწარ განჭვრეტადი გზით **საკუთარი საქციელით** თავის რეპუტაციას ეჭვქვეშ აყენებს, არ იმსახურებს დაცვას (მეტი ამის შესახებ I. 2. (ვ) ბბ)).<sup>143</sup>

ბ) ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ სხვაგვარად გადანყვიტა საკითხი, იყო თუ არა პუბლიკაციები კანონის შესაბამისი.

მან დასაშვებად მიიჩნია ის პუბლიკაციები, რომლებშიც სიტყვიერი წინადადებები ეხებოდა მემარჯვენე ფრთაზე გამოყენებული სიმბოლოებისა და კოდების მნიშვნელობას, მაგრამ რომლებშიც არ იყო დამტკიცებული, რომ შესაბამის სიმბოლოებს და კოდებს ექსკლუზიურად და სრულად ატარებდნენ უკიდურეს მემარჯვენე ბანაკში.<sup>144</sup> მეორეს მხრივ, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ის პუბლიკაცია მიიჩნია არაკანონიერად, რომელშიც იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული სიმბოლოები გამოიყენებოდა ექსკლუზიურად მემარჯვენე ან ექსტრემისტულ მემარჯვენე ბანაკში.<sup>145</sup> შესაბამისად, წარმოიქმნა ვითარება, როდესაც მიუკერძოებელ და გონიერ მკითხველს პუბლიკაციის სრული კონტექსტიდან გამომდინარე შეეძლო ამოეკითხა ცალსახა ფაქტობრივი მტკიცებები (აქ: შესაბამისი სიმბოლოები და კოდები გამოიყენება მხოლოდ მემარჯვენე ბანაკში; მოსარჩელე ატარებდა ასეთ სიმბოლოებს, უნიფორმაზე სამსახურებრივი დავალების დროს) და, თუნ-

დაც ცალსახად არ ყოფილიყო ნათქვამი, შესაბამისი დასკვნაც გამოეტანა (აქ, როგორც დასკვნა: და ამიტომ მოსარჩელეს აქვს მემარჯვენე ან მემარჯვენე ექსტრემისტული დამოკიდებულება).

გ) ეს დიფერენციაცია ნათლად აჩვენებს, რომ გამოსახულების პუბლიკაციის დასაშვებობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ სურათის დიზაინზე, არამედ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ზოგად კონტექსტში სიტყვიერი ნაწილით და პუბლიკაციის საერთო სათქმელით. ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ შესაბამისი პუბლიკაციის გადანყვიტა<sup>146</sup> და სხვადასხვა ობიექტური განმარტებების შინაარსი (იხ. II. 1. გ)) დაწვრილებით შემდეგნაირად დაასაბუთა:

ა.ა) VI ZR 22/21 პროცესში პუბლიკაციის **ობიექტური განმარტების შინაარსი**<sup>147</sup> იყო ის, რომ პოლიციელი ატარებდა დეტალურად აღწერილ სიმბოლოებს ნეონაციისტურ ფესტივალზე ჩატარებული ოპერაციის დროს და ეს აჩენს კითხვას - რომელზეც არ არის გაცემული პასუხი პუბლიკაციაში - თანაუგრძობდა თუ არა პოლიციელი მემარჯვენე ფრთას. ამრიგად, ამ პუბლიკაციაში საკითხი ეხებოდა ეჭვებს – რაც ნამოჭრილი საკითხის გააზრებასთან ერთად ავტომატურად დადგა დღის წესრიგში –, რომ მოსარჩელე შეიძლება მიეკუთვნებოდეს მემარჯვენე ექსტრემისტებს ან თანაუგრძობდეს მათ.

ამ ინფორმაციის შინაარსით, პუბლიკაცია გავლენას ახდენს პოლიციელის პიროვნულობის ზოგად უფლებაზე, რადგან ეს ემსახურება მისი

<sup>142</sup> შდრ. EGMR, Urteil vom 7. Februar 2012 in Sachen Hannover v. Germany No. 2, Application no. 40660/08 - NJW 2012, 1053, Rn. 103; EGMR, GRUR 2004, 1051 Rn. 59; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 16.

<sup>143</sup> EGMR, Entscheidung vom 27. November 2018 in Sachen Herman-Bischoff c. Allemagne, Application no. 28482/13 - AfP 2019, 142, Rn. 29; EGMR, Urteil vom 7. Februar 2012 in Sachen Axel Springer AG v. Germany, Application no. 39954/08, NJW 2012, 1058, Rn. 178; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 15 Rn. 18.

<sup>144</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 23 ff.; BGH, Urteil vom 8. November

2022 - VI ZR 1328/20 - openJur 2022, 22050, juris Rn. 11. ff.; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 1319/20 - VersR 2023, 188, juris Rn. 12 ff.

<sup>145</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 19 ff.

<sup>146</sup> სიმარტივისთვის, ქვემოთ იქნება განხილული მხოლოდ გადანყვიტა ფაილის ნომრებით VI ZR 22/21 და VI ZR 57/21.

<sup>147</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 27; BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21 - NJW 2022, 3496, juris Rn. 32; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 27. April 2021 - VI ZR 166/19 - NJW 2021, 3334 - juris Rn. 11.



კარგი რეპუტაციის, ისევე როგორც პროფესიული ღირსების დაცვას.<sup>148</sup> თუმცა, ინტერესების აუცილებელი შენონისას, პოლიციელის უფლებებმა პუბლიკაციის მნიშვნელოვანი საინფორმაციო ღირებულების გათვალისწინებით, აზრისა და პრესის თავისუფლების დაცვის შემდგომ მეორე ადგილზე უნდა გადაინაცვლოს.

როგორც ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ უფრო დეტალურად განმარტა, განსახილველ სტატიასი დასმული კითხვები **მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა** და საჯარო განხილვის საგანია. კერძოდ, პოლიციის ნეიტრალიტეტის, ობიექტურობისა და კონსტიტუციურობისადმი მოსახლეობის ნდობა მეტწილად დამოკიდებულია პოლიციის თანამშრომლების ქცევაზე და გარეგნობაზე. ამიტომ მათ ასევე უნდა გამოხატონ შინაგანი დამოკიდებულება გარე სამყაროს მიმართ, რომელიც ხასიათდება ნეიტრალიტეტით, დისტანციურობით და ობიექტურობით.<sup>149</sup> თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფორმაზე მიმაგრებული სხვადასხვა სიმბოლოსა და კოდის გამო წარმოიშობა ეჭვები პოლიციის თანამშრომლების აღნიშნულ დამოკიდებულებაზე, საზოგადოების ინტერესშია განხილოს ამ სიმბოლოების მნიშვნელობა და შესაბამისი პოლიციელის შინაგანი დამოკიდებულება, რომელმაც შესაძლოა გარეგნული გამოხატულება ჰპოვა.<sup>150</sup>

გარდა ამისა, ფედერალური უმაღლესი სასამართლო ხაზს უსვამს, რომ განსახილველი პუბლიკაცია არ ამტკიცებს, რომ პოლიციელს რეალურად აქვს მემარჯვენე ნაციონალისტური ან თუნდაც მემარჯვენე ექსტრემისტული შეხედულებები. თუმცა, მისი ქცევიდან გამომდინარე, პუბლიკაციაში დასმულია კითხვა მისი დამოკიდებულების შესახებ.<sup>151</sup> გარდა ამისა, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ პოლიციელმა მიზანმიმართულად მიიპყრო ყურადღება ისეთ სიტუაციაში, როდესაც

მოსალოდნელი იყო პრესისა და მესამე პირის ინტენსიური დაკვირვება და რომ მის ფორმაზე დამაგრებული სიმბოლოები მას გამოარჩევდა სხვა ერთნაირად ჩაცმული ადამიანებისგან. თუმცა, უნიფორმის დანიშნულება არის ზუსტად ის, რომ გამოხატოს იმ პირის ნეიტრალიტეტი ვინც მას ატარებს და იყოს, როგორც თვალსაჩინო ნიშანი იმისა, რომ მორიგე პოლიციელის ინდივიდუალობა მეორე პლანზეა საჯარო დაწესებულების მოთხოვნებთან შედარებით. პოლიციის ოფიცერმა მიზანმიმართულად უარყო ეს ნეიტრალიტეტი, მის ფორმაზე სიმბოლოების გამოიყენებით და აღნიშნულით მიზანმიმართულად უარყო მასთან დაკავშირებული შთაბეჭდილება პერსონალური ქმედებით, რითაც თავადვე წარმოქმნა პუბლიკაციაში დასმული კითხვები მისი დამოკიდებულების შესახებ.<sup>152</sup>

ამ ვითარებაში, ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მოსაზრებით, სტატიას არ აქვს რაიმე სტიგმატიზაციის ეფექტი. პუბლიკაციის გავრცელების დღიდან პოლიციელი შესაძლოა გამხდარიყო როგორც სოციალურ ქსელში, ასევე პირად სფეროსა და ქუჩაში შეურაცხყოფის, მუქარისა და გინების მსხვერპლი, თუმცა, ეს უნდა მიეწეროს მის ქცევას და არ აღემატება - თუნდაც მხოლოდ ხელყოფის სიმძიმისა და ინტენსივობის გამო - მისი პირადი ზოგადი უფლების შელახვის ზღვარს, რომელიც აღარ არის მისაღები.<sup>153</sup> მას შემდეგ, რაც ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ უარყო სტიგმატიზაციისა და დენონსაციის ეფექტი, მას აღარ მოუწია საქმის განხილვა იმის შესახებ, იყო თუ არა მესამე პირის რეაქციები განჭვრეტადი და შესაბამისად, პრესის ორგანოსადმი შერაცხვადი.

ბ.ბ) პარალელურ სამართალწარმოებაში ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ გამოიყენა იგივე პრინციპები, მაგრამ პუბლიკაცია ისე განმარტა, რომ მოხელე სტატიის საერთო

<sup>148</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 27; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 27. September 2016 - VI ZR 250/13 - NJW 2017, 482, juris Rn. 17 und 31; BGH, Urteil vom 26. Januar 2021 - VI ZR 437/19 - VersR 2021, 856 juris Rn. 18.

<sup>149</sup> შდრ. auch BVerwG, Urteil vom 14. Mai 2020 - 2 C 13/19 - BVerwGE 168, 129, juris Rn. 27.

<sup>150</sup> სრულად: BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 27 f.

<sup>151</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 33.

<sup>152</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 34.

<sup>153</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 22/21 - MDR 2023, 35, juris Rn. 35.

კონტექსტიდან გამომდინარე მემარჯვენე ან მემარჯვენე ექსტრემისტულ ბანაკს იყო მიკუთვნებული. (იხ. მეტი II. 2. ბ)).<sup>154</sup> ბრალდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სიმბოლოების ტარებაში, რომელსაც მხოლოდ მემარჯვენე ექსტრემისტები იყენებენ, ეჭვქვეშ აყენებს პერსონალურ შესაბამისობას პოლიციის პროფესიისთვის და შესაბამისად, მძიმეწონიან საკითხად წარმოდგება.

**3. პუბლიკაცია ე.წ. Pick-Up-Artist-ის შესახებ**

სხვა გადაწყვეტილებით, გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს უნდა განეხილა სტატია, რომელიც გამოქვეყნდა უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანოს ჟურნალში (AStA)<sup>155</sup> ე.წ. Pick-Up Artist-ის შესახებ.<sup>156</sup> Pick-Up Artist-ები არიან (ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენლები) პერსონები, რომლებიც ელიან სექსუალური ცდუნების უკეთეს შანსებს (ძირითადად ქალებისგან) სხვადასხვა ქცევისა და ფსიქოლოგიური მეთოდების მიზანმიმართული გამოყენების გზით.<sup>157</sup>

პროცესზე მოსარჩელე იყო აღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტი. დამატებით საქმიანობად კი ატარებდა სემინარებს სააგენტო „Casanova Coaching“-ისთვის, რომლის ვებ-გვერდზეც მისი სახელი და ფოტო იყო განთავსებული. 2014 წლის აპრილში, იგი გამოჩნდა სატელევიზიო გადაცემის დაახლოებით ხუთწუთიან მოკლემეტრაჟიან რეპორტაჟში სათაურით „კარი გახსენი და გაარკვიე? Pick-up Artist B. [მოსარჩელის სახელი] მიდის ქალზე სანადიროდ“.

2015 წელს, შესაბამისი უნივერსიტეტის „AStA-Zeitung-ში“ გამოქვეყნდა ორი სტატია „Pick-up Artist-ების“ შესახებ. პირველ სტატიაში მითითებული იყო მოსარჩელის სრული სახელი და ეხებოდა მის ნახევარ განაკვეთზე მუშაობას

სააგენტო „Casanova Coaching-ში“. მასში ასევე ნახსენები იყო მისი გვარის პირველი ასო და მითითებდა, რომ ის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. მეორე სტატიაში მოთავსებული იყო მონტაჟით მოსარჩელის სურათი, რომელშიც ნაჩვენები იყო თავი და სხეულის ზედა ნაწილები ნახევარპროფილში.

ა) ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ფოტორეპორტაჟის გავრცელების აკრძალვის მოთხოვნის შესახებ, რომელიც მოპასუხემ სასამართლო პროცესის დაწყებამდე წარადგინა, რომელიც ექვემდებარებოდა ჯარიმას.<sup>158</sup> რაც შეეხება სიტყვიერ ნაწილს, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ უპირველესად მითითა ის ფაქტი, რომ AStA საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახითაა ორგანიზებული და პუბლიკაციის გამოქვეყნებისას მოქმედებდა როგორც საჯარო დაწესებულება. შესაბამისად, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის ქმედების განხორციელების აკრძალვის შესახებ მოთხოვნა არ არის სამოქალაქო, არამედ არის საჯარო სამართლის ხასიათის.<sup>159</sup> აღნიშნულთან დაკავშირებული საკითხი ამ ეტაპზე უფრო დეტალურად არ იქნება განხილული, რადგან მას, საბოლოო ჯამში, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა პიროვნების ზოგადი უფლებების დაცვის სფეროსთვის, რომელიც აქ არის წარმოდგენილი.

ბ) ამასთან დაკავშირებით, ფედერალური უმაღლესი სასამართლო აცხადებს, რომ განსახილველი პუბლიკაციები ეხება მოსარჩელის პიროვნულობის უფლებას, რადგან მასში გაცნობის სტრატეგიები და ტექნიკა, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოდგენილია, როგორც სექსისტური, ასევე ქალთმობულე და, შემავიწროებელი ბუნებიდან გამომდინარე, როგორც „ძალადობრივი“ ხასიათის. აღნიშნული კი ვარგისია

<sup>154</sup> GH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 57/21 - GRUR 2023, 196, juris Rn. 23.

<sup>155</sup> სტუდენტების ინტერესების წარმოდგენა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და საზოგადოების წინაშე, როგორც ეს გათვალისწინებულია ფედერალური მინების უმაღლესი განათლების კანონებში.

<sup>156</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 65/21 - VersR 2023, 260, juris.

<sup>157</sup> nach Wikipedia zitiert: [https://de.wikipedia.org/wiki/Pick-Up\\_Artists](https://de.wikipedia.org/wiki/Pick-Up_Artists).

<sup>158</sup> აღნიშნულთან იხ. Fußnote 80.

<sup>159</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 65/21 - VersR 2023, 260, juris Rn. 13 ff.

იმისთვის, რომ მოსარჩელის, როგორც უნივერსიტეტის სტუდენტის **სოციალურ სტატუსსა და პროფესიული პატივზე**, როგორც ნახევარ განაკვეთზე კომუნიკაციის სტრატეგიების სფეროში დასაქმებულ დამატებითი პროფესიის წარმომადგენელზე, საზიანო გავლენა მოახდინოს და აისახოს მის საჯარო იმიჯზე.<sup>160</sup>

გ) ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ეს ჩარევა მიიჩნია პროპორციულად.

მან პუბლიკაციის **ლეგიტიმური მიზანი** იმაში დაინახა, რომ „Pick-up Artist“-ების ფენომენი კამპუსში მიმდევარი პროტაგონისტების „შეურაცხმყოფელი“ ქცევის გამო ვირუსული გახდა და, შესაბამისად, არსებობდა საზოგადოების მნიშვნელოვანი ინტერესი სტუდენტების შესაბამისად სენსიბილიზირების შესახებ. სტატიის კონცეფციის მიხედვით, ასევე აშკარა იყო ცალკეული აქტორებისა და მათი პროცედურების უფრო დეტალური წარმოდგენის სურვილი, რათა პუბლიკაცია არ ყოფილიყო მხოლოდ თეორიული.<sup>161</sup>

ფედერალური უმაღლესი სასამართლოს აზრით, საჯარო ინტერესი პუბლიკაციაზე, რომელიც ფენომენს არა მხოლოდ აბსტრაქტულად აღწერს, არამედ ასახავს უკვე მომხდარის ფორმით, ინტერესების შენონადობისას აღმატებულია.<sup>162</sup> საქმის რეალური პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ მოსარჩელე იდენტიფიცირებული უნდა ყოფილიყო და უნდა მიეღო სოციალური უკმაყოფილების მაღალი დონე, როდესაც მისი ქცევა საზოგადოებისთვის გახდებოდა ცნობილი.

ამ კონტექსტში, ფედერალური უმაღლესი სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სადავო სტატიები **ეფუძნება თავად მოსარჩელის მიერ შექმნილ ფაქტებს**, რადგან, სხვა საკითხებთან ერთად, ისინი შეიცავდნენ მის მიერ სატელევიზიო გამოსვლისას გამოყენებულ ფორმულირებებს და ფართო სატელევიზიო აუდიტორიისთვის მის მიერ ნაჩვენებ „Pick-up ტექნიკას“. შეფასების ნაწილებში სტატიები ინარჩუნებდნენ ობიექტურობისა და ზომიერების პრინციპს. სააპელაციო

სასამართლოს შეფასება იმის შესახებ, რომ სტატიები არ იყო დაკავშირებული რაიმე სტიგმატიზაციასთან, გარიყვასთან ან საპირისპირო ეფექტთან, არ არის გასაჩივრებული.

მოსარჩელეს მის სოციალურ სფეროში ჩარევისთვის ისე უნდა შეეხედა, რომ იგი, როგორც უნივერსიტეტის სტუდენტი, განსაკუთრებულ შემხებლობაში იმყოფებოდა გაზეთ AStA-ს მკითხველებთან და თავისი საქმიანობა, როგორც „Pick-up Artist“ ან როგორც „Motivations- und Datingcoach“ ადრე თავადვე გააცნო და აჩვენა ფართო აუდიტორიას. ამ **თვითგასაჯაროების** საშუალებით მოსარჩელე გაზეთ AStA-ს მკითხველთა ინტერესის სფეროში მოექცა. სააგენტო „Casanova Coaching-ში“ არასრულ განაკვეთზე მუშაობასთან და სააგენტოს მთავარ გვერდზე გამოჩენასთან კავშირის გამო, მოსარჩელეს უფრო მეტად შეიძლება დაკისრებოდა, მისი სამუშაოს შესახებ საჯარო დისკუსიის თმენა, ვიდრე დაევალებოდა ეს ისეთი პუბლიკაციების შემთხვევაში, რომლის საგანიც წმინდად მისი პირადი „ფლირტის მეთოდები“ იქნებოდა.<sup>163</sup>

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული საქმის განსაკუთრებული თავისებურებების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, გამართლებული იყო ფენომენის აღწერის შერწყმა მოსარჩელის აღწერასთან, რათა ამ გზით, სტატია სტუდენტებისთვის „გასაგებ ენაზე“ ყოფილიყო დანერგილი და ჰქონოდა მათზე ემოციური ზემოქმედება (იგულისხმება: „Pick-up Artist-ები ჩვენ შორის არიან“). ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ფენომენის „შორეული“, აბსტრაქტულ-განყენებული ცნებების მეშვეობით გამოცემის შემთხვევაში. თუმცა, „პერსონიფიკაცია“ დასაშვებია მხოლოდ იმიტომ, რომ მოსარჩელე საჯაროდ გამოვიდა, თავად დააფიქსირა ამ საკითხთან დაკავშირებით ღიად საუბრის მზაობა (სატელევიზიო გადაცემა, ინტერვიუები) და (როგორც უფრო დეტალურად არის განმარტებული გადანყვეტილებაში) კამპუსში წარმოიშვა მოცემულ ინფორმაციაზე განსაკუთრე-

<sup>160</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 65/21 - VersR 2023, 260, juris Rn. 22.

<sup>161</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 65/21 - VersR 2023, 260, juris Rn. 35.

<sup>162</sup> BGH, Urteil vom 8. November 2022 - VI ZR 65/21 - VersR 2023, 260, juris Rn. 35 ff.

<sup>163</sup> შდრ. auch BVerfG, Beschluss vom 6. November 2019 - 1 BvR 276/17 - BVerfGE 152, 216, juris Rn. 128.

ბული მოთხოვნა. თუმცა, როგორც ფედერალური უმაღლესი სასამართლო მიუთითებს, ფორმულირებით „ჯერ კიდევ“ და „საბოლოოდ“, სტატიების ზოგიერთ პასაჟში (აქ არ არის ციტირებული), სტატიამ მიიღო „გადაჭარბებულად“ ტენდენციური სახე მოსარჩელის პიროვნებასთან მიმართებით, ამ, ნაწილობრივ ძალიან „მკვეთრი“, ფორმულირების გამო, ის დაუახლოვდა წმინდა ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ზღვარს.

**4. სპეკულაცია სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ:**

შემდგომ გადაწყვეტილებაში, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, შეიძლება თუ არა და რა ფარგლებში, პრესის ორგანოში საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნების შესახებ სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ სპეკულირება.<sup>164</sup>

მოსარჩელე (შემდგომში ასევე: X) ცნობილია, როგორც კომიკოსი და ტელენამყვანი. ის და Y ერთდროულად ისვენებდნენ სამხრეთ აფრიკაში 2018 წლის იანვრის დასაწყისში, საიდანაც მათ ფოტოები გამოაქვეყნეს თავიანთ ინსტაგრამის პროფილებზე (თითოეულმა ცალ-ცალკე). Y არის სოციალურ მედიაში „სექსბლოგერი“ და სატელევიზიო შოუს მთავარი გმირი. 2018 წლის 15 იანვარს მოპასუხემ თავის მოქმედებებზე სრული სახელის მოხსენიებით გაავრცელა შემდეგი ინფორმაცია:

[X]: მას უყვარს სექსბლოგერი [Y]?...

საიდუმლო სიყვარული გამჟღავნდა! ოფიციალურად კომიკოსი [X] (28) მრავალი წლის განმავლობაში იყო მარტოხელა.

ამის მიუხედავად, 28 წლის მამაკაცის გარშემო არსებობს ჭორები, რომ მან პარტნიორი იპოვა. სიახლეები ეხება სექსბლოგერს [Y] (31). ...

ფოტოს გამო, შეუძლებელია მისი და [Y]-ის სასიყვარულო ურთიერთობის უარყოფა ...

ა) საკმაოდ ვრცელ გადაწყვეტილებაში, ფედერალური უმაღლესი სასამართლო თავდაპირველად აცხადებს, რომ **სასიყვარულო ურთიერთობის** შესახებ სპეკულაციების გამოქვეყნება, რომელიც დაინტერესებულ პირს არ სურს, წარმოადგენს პიროვნულობის ზოგადი უფლებების დაცულ სფეროში ჩარევას. გკ-ის 2 I, 1 I მუხლებით, კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული პირადი სფეროს პატივისცემა მოიცავს უფლებას, იყოს თავისთვის, ეკუთვნოდეს საკუთარ თვს და გამორიცხოს სხვების მიერ არასასურველი ყურადღება. პირადი სფეროს დაცვა მოიცავს - როგორც უკვე ახსნილია შესავალში (I. 2. ა) ა) (2)) - კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც, მათი ინფორმაციის შინაარსის გამო, როგორც წესი, კლასიფიცირებულნი არიან, როგორც „პირადი“.<sup>165</sup> შესაბამისად, პირადი სფერო მოიცავს ინფორმაციას სასიყვარულო ურთიერთობის არსებობის შესახებ, რომელიც დაინტერესებულ პირს - ნებისმიერი მიზეზის გამო - სურს, რომ საიდუმლოდ შეინახოს.<sup>166</sup>

**ინფორმაციის შინაარსის ამ პრივატულობის** გამო უმნიშვნელოა საკითხი, შეუძლია თუ არა პუბლიკაციას ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს X-ის სოციალურ სტატუსზე. ვინაიდან ინფორმაცია ეხება პირად სფეროს, ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი არის ის, თუ რამდენადაა გამართლებული აღნიშნული ინფორმაციისადმი საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესით.<sup>167</sup>

ბ) ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ მიიჩნია პიროვნულობის უფლებაში ჩარევა კა-

<sup>164</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409.

<sup>165</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 9; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR 2021, 52, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 14. Dezember 2021 - VI ZR 403/19 - NJW-RR 2022, 419, juris Rn. 14.

<sup>166</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 9; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 2.

Mai 2017 - VI ZR 262/16 - NJW-RR 2017, 1516, juris Rn. 19.

<sup>167</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 13; შდრ. auch BGH, Urteil vom 2. Mai 2017 - VI ZR 262/16 - NJW-RR 2017, 1516, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 14. Dezember 2021 - VI ZR 403/19 - NJW-RR 2022, 419, juris Rn. 19.

ნონიერად, რადგან ინტერესების შენონადობისას<sup>168</sup> ინფორმაციისადმი ინტერესი X-ის დაცვის ინტერესს აღემატებოდა.<sup>169</sup>

ინტერესთა დაბალანსების სამართლებრივი ამოსავალი ნერტილი არის ის, რომ მედიას (როგორც უკვე განიხილეთ I. 2. დ) გ) (2))) შეუძლია, აზრისა და პრესის თავისუფლების დაცვის მიზნით, **საკუთარი ჟურნალისტური კრიტიკების მიხედვით** გადამწყვიტოს, რას მიიჩნევს საზოგადოების ინტერესისთვის მნიშვნელოვანს და რას არა.<sup>170</sup> ამიტომ აზრისა და პრესის თავისუფლების დაცვა მოიცავს გასართობ ნაწილებსაც, როგორცაა, მაგალითად, გამოჩენილი ადამიანების პირადი და ყოველდღიური ცხოვრება. არარელევანტურია იმის გარკვევა, თუ რა ჟურნალისტური დონე აქვს ამ პუბლიკაციას.<sup>171</sup> კონსტიტუციის მე-5 მუხლით დაცული თავისუფლება ასევე მოიცავს პიროვნების ქცევისა და სოციალური ცხოვრების ასახვას და სპეკულირებას მისი პირადი და სოციალური წარმომავლობის შესახებ.<sup>172</sup>

თუმცა, პუბლიკაციის საგანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინტერესების შენონადობის ფარგლებში. ამ მხრივ, არსებობს შემდეგი **ურთიერთგანპირობებულობა:**

რაც უფრო დიდია ინფორმაციის ღირებულება საზოგადოებისთვის, მით უფრო მეტად იხევს უკან საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფის ინტერესთან იმ პირის დაცვის ინტერესი, რომლის შესახებაც ხდება ინფორმირება. და პირიქით, რაც უფრო დაბალია ინფორმაციის ღირებულება ფართო საზოგადოებისთვის, მით

უფრო მნიშვნელოვანია დაინტერესებული პირის პიროვნულობის უფლების დაცვა.<sup>173</sup> მაშასადამე, პირს, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობია, შეუძლია მოითხოვოს პირადი ცხოვრების განსაკუთრებული დაცვა, მაგრამ ვერ მოითხოვს იმავეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცნობილი პირი.<sup>174</sup> გამოჩენილი პიროვნების შემთხვევაში, პიროვნულობის უფლების დაცვას ვერ ექნება პრიორიტეტი მხოლოდ იმიტომ, რომ პუბლიკაცია (არც უტყუარი და არც ცილისმწამებლური) ეხება უბრალო წვრილმანებს და, შესაბამისად, არ შეუძლია რაიმე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.<sup>175</sup>

შენონადობისთვის ყოველთვის რელევანტურია პიროვნების ზოგადი უფლების ხელყოფის ინტენსივობა. იგი უნდა შეფასდეს მცირედად, როდესაც ის ეხება სწორ ფაქტებს, რომლებიც ან არარელევანტურია, ან მაქსიმუმ ზედაპირულად ეხება დაინტერესებულ პირს, მისი პიროვნული გარემოებების უფრო ღრმა შესწავლის, შეურაცხყოფის ან ცილისწამების გარეშე.<sup>176</sup>

გ) ამ პრინციპებზე დაყრდნობით, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ გადამწყვეტად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ - როგორც დეტალურად არის განმარტებული გადამწყვეტილებაში - საკუთარი ქცევით გამოიწვია საინფორმაციო ინტერესი მისი ურთიერთობის

<sup>168</sup> იხ. BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 22; weitere Darlegungen unter I. 2. d).

<sup>169</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 12.

<sup>170</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 14.

<sup>171</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 14; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 2. Mai 2017 - VI ZR 262/16 - NJW-RR 2017, 1516, juris Rn. 24; BGH, Urteil vom 7. Juli 2020 - VI ZR 250/19 - VersR 2021, 189, juris Rn. 13.

<sup>172</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 14; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 26. Oktober 2010 - VI ZR 230/08 - BGHZ 187, 200, juris Rn. 20.

<sup>173</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 15; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR 2021, 52, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 14. Dezember 2021 - VI ZR 403/19 - NJW-RR 2022, 419, juris Rn. 19; siehe auch unter I. 2. d).

<sup>174</sup> შდრ. auch BGH, Urteil vom 10. November 2020 - VI ZR 62/17 - VersR 2021, 52, juris Rn. 24; BGH, Urteil vom 14. Dezember 2021 - VI ZR 403/19 - NJW-RR 2022, 419, juris Rn. 19; იხ. ასევე: I. 2. d).

<sup>175</sup> შდრ. auch BGH, Urteil vom 26. Oktober 2010 - VI ZR 230/08 - BGHZ 187, 200, juris Rn. 11.

<sup>176</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 13; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 2. Mai 2017 - VI ZR 262/16 - NJW-RR 2017, 1516, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 14. Dezember 2021 - VI ZR 403/19 - NJW-RR 2022, 419, juris Rn. 19.

სტატუსის შესახებ.<sup>177</sup> წარსულში მან არაერთხელ ისაუბრა საჯაროდ მის წინა ურთიერთობებზე, მის იდეებსა და სურვილებზე შესაძლო პარტნიორთან დაკავშირებით და წინა პლანზე წამონია მარტოხელას სტატუსი. ამის შესახებ პუბლიკაციაშიც იყო ნაწილობრივი მინიშნება.<sup>178</sup>

გარდა ამისა, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელემ ინსტაგრამის ანგარიშზე დასვენების ფოტოების ჩვენებით უზრუნველყო მისი ცხოვრების სფეროებში ჩახედვის შესაძლებლობა, რომლებიც სხვაგვარად დახურული იქნებოდა საზოგადოებისთვის. ამით მან გამოიწვია ასახული მოვლენებისადმი ინტერესი და მათი უფრო დეტალურად შესწავლის სურვილი, მით უმეტეს, რომ Y-ს ინსტაგრამზე ამავე პერიოდში გამოქვეყნებულ შვებულების ფოტოებთან შედარებამ გამოავლინა გამოსახულ ლოკაციას შორის მსგავსება. ამან ბუნებრივად გააჩინა კითხვა, იმყოფებოდნენ თუ არა მოსარჩელე და Y ერთად შვებულებაში და როგორი იყო მათი ურთიერთობა. სურდათ თუ არა მოსარჩელეს და Y-ს სოციალურ მედიაში ე.წ. „მიმზიდველი კონტენტის“ გავრცელებით ყურადღების მიპყრობა, საბოლოო ჯამში გადამწყვეტი არ არის.<sup>179</sup>

გარდა ამისა, მოსარჩელე კომიკოსის როლში გამოჩენის დროს ეხება ურთიერთობის, გაცნობის და სექსის საკითხებს. მოსარჩელის მიერ Y-თან შესაძლო სასიყვარულო ურთიერთობისადმი გაჩენილი ინტერესისთვის, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ის გამოჩნდა სოციალურ მედიაში, როგორც „სექსბლოგერი“ და ამით ასევე საჯაროდ გააკეთა კომენტარი ურთიერთობის ასპექტებზე.<sup>180</sup>

შესაბამისად, მოსარჩელის პიროვნულობის უფლებაში ჩარევა არ იყო მძიმე. მართალია, მოსარჩელისა და Y-ს ურთიერთობის შესახებ სპეკულაცია მხოლოდ წერილმანი არ არის და მხოლოდ ზედაპირულად არ ეხება მოცემულ საკითხს, თუმცა პუბლიკაცია იმის შესახებ, თუ ვისთან შეიძლებოდა ყოფილიყო მოსარჩელე ურთიერთობაში, თავისთავად არ წარმოადგენს მის პირად ცხოვრებაში სერიოზულ ჩარევას.<sup>181</sup> მოსარჩელე ზოგადად ასევე არ ცდილობდა, საიდუმლოდ შეენახა თავისი ურთიერთობა<sup>182</sup> და, ასევე, საზოგადოების თვალში მის პირად ურთიერთობებთან დაკავშირებით - როგორც უფრო დეტალურად არის ახსნილი ზევით - შეენარჩუნებინა კონკრეტული იმიჯი.<sup>183</sup>

### 5. გაუსაჯაროებელი სასიყვარულო ურთიერთობისა და მისი დასასრულის შესახებ პუბლიკაცია:

სხვა სამართლებრივ დავაში გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს პასუხის გაცემა მოუწია მსგავს სამართლებრივ კითხვებზე.<sup>184</sup> ამ პროცესის განსაკუთრებული თავისებურება ის იყო, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი W იყო X-სთან სასიყვარულო ურთიერთობაში, რომელიც არ გახმაურებულა და ამ ურთიერთობის დასრულების შემდეგ მოპასუხემ გამოქვეყნა პუბლიკაცია, რომელშიც X-ის ახალი ურთიერთობის შესახებ იტყობინებოდა. W სახელით იყო დასახელებული, ხოლო X (სხვა პირადი გარემოებების მითითებით) სახელის დასახელების გარეშე იქნა მოხსენიებული, როგორც „ბერლინელი ადვოკატი, 52 წლის“.

ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ თავის გადანწყვეტილებას წინ ნაუმძღვარა შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები:<sup>185</sup>

<sup>177</sup> შდრ. auch BGH, Urteil vom 26. Oktober 2010 - VI ZR 230/08 - BGHZ 187, 200, juris Rn. 21 f., zur Teilnahme an einer Veranstaltung, bei der erkennbar mit einem großen öffentlichen Interesse zu rechnen war

<sup>178</sup> სრულად: BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 19 f.

<sup>179</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 21.

<sup>180</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 22.

<sup>181</sup> შდრ. auch BGH, Urteil vom 2. Mai 2017 - VI ZR 262/16 - NJW-RR 2017, 1516, juris Rn. 31.

<sup>182</sup> ამ მხრივ სიტუაცია განსხვავებულია BGH Urteil vom 2. Mai 2017 - VI ZR 262/16 - NJW-RR 2017, 1516, juris Rn. 31.

<sup>183</sup> BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 23.

<sup>184</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54 – juris.

<sup>185</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54 – juris.

1. გაუსაჯაროებელი სასიყვარულო ურთიერთობისა და მისი დასრულების შესახებ პუბლიკაცია წარმოადგენს ორივე მონაწილე პარტნიორის პირადი სფეროს ნაწილს. ამრიგად, აღნიშნული გავლენას ახდენს ორივე პარტნიორის პირად სფეროზე, რამდენადაც ისინი იდენტიფიცირებადნი არიან პოტენციური მკითხველისთვის. ამასთან, არ არის გადამწყვეტი ის გარემოება, შეუძლია თუ არა პუბლიკაციის ადრესატთა ყველა ან მნიშვნელოვან ნაწილს ან თუნდაც „საშუალო მკითხველს“ დაინტერესებული პირის იდენტიფიცირება. საკმარისია, რომ პუბლიკაციის საშუალებით, ინფორმაციამ დაინტერესებული პირის შესახებ მიაღწიოს იმ პირებთან, რომლებსაც სპეციფიკური ცოდნის საფუძველზე შეუძლიათ დაინტერესებული პირის ვინაობის ამოცნობა (მდრ. BVerfG, Kammerbeschluss vom 14. Juli 2004 - 1 BvR 263/03, NJW 2004, 3619, 3620).

2. პირადი სფეროს ხელშეწყობი ინფორმაციის კანონიერებისთვის ფუნდამენტურად საჭირო ლეგიტიმური საჯარო ინტერესი შეიძლება განპირობებული იყოს პუბლიკაციაში მოხსენიებული მხოლოდ ერთ-ერთი მონაწილის პიროვნებით, როდესაც ასეთი ინტერესი მხოლოდ და მხოლოდ მის მიმართ არსებობს (მდრ. Senatsurteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/21, AfP 2022, 429 Rn. 57). თუმცა, სხვა პირზე დაფუძნებული – ანუ, როდესაც ინტერესი „განპირობებულია“ სხვისი პიროვნებით – ინფორმაციის მიმართ საზოგადოების მხრიდან ინტერესის არსებობის წინაპირობაა, რომ აღნიშნული პუბლიკაცია დასაშვებია იყოს, ასევე, მეორე პირთან მიმართებითაც.

გადანწყვეტილების დეტალები:

უპირველეს ყოვლისა, ფედერალური უმაღლესი სასამართლო ადასტურებს ახლახან განხილულ პრინციპებს პირადი ცხოვრების სფეროს ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ.<sup>186</sup> ის ავსებს სასამართლო პრაქტიკას იმით, რომ სასიყვარულო ურთიერთობის დასასრული, ისევე,

როგორც დასაწყისი, მიეკუთვნება პირად სფეროს. შემდეგ ის განიხილავს იმ ფაქტს, რომ მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულს შეუძლია მიიღოს ზომები პიროვნულობის უფლების დარღვევის წინააღმდეგ. ამ კუთხით შინაარსობრივად შემდგომი მითითებები მოთავსებულია - II 1. ა)-თავის ქვეშ.

აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, W-სთან ურთიერთობის დასრულების შესახებ პუბლიკაცია პირდაპირ აისახება მოსარჩელის უფლებაზე, პატივი სცენ მის პირად სფეროს. ფედერალური უმაღლესი სასამართლოს აზრით, არ არის არსებითი, პუბლიკაციის ადრესატთა ყველა ან მნიშვნელოვან ნაწილს, ან თუნდაც „საშუალო მკითხველს“ შეუძლია თუ არა მისი, როგორც სტატიაში მოხსენიებული პირის იდენტიფიცირება. არამედ, საკმარისია, როდესაც პუბლიკაციის გზით ინფორმაცია სუბიექტის შესახებ მიაღწევს იმ პირებამდე, რომლებსაც სპეციალური ცოდნის საფუძველზე შეუძლიათ შესაბამისი სუბიექტის იდენტიფიცირება.<sup>187</sup> აღნიშნული სავარაუდოა განსახილველ საქმეში, რადგან W-სა და მოსარჩელეს შორის სასიყვარულო ურთიერთობა, მართალია, ადამიანთა შეზღუდული ჯგუფისთვის იყო ცნობილი, თუმცა სცილდებოდა მეგობრების უახლოეს წრეს. იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომ W და „ბერლინელი ადვოკატი, 52“ შვიდწლიანი ურთიერთობის შემდეგ დაშორდნენ, მოსარჩელის ვინაობის ამოცნობა ამ ადამიანებისთვის ადვილი იყო.<sup>188</sup>

ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ მიუთითა, რომ, მოსარჩელის პირადი სფეროს დაცვასა და მოპასუხის პრესის თავისუფლებას შორის აუცილებელი შენონადობის კონტექსტში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მოსარჩელის დაცვის ღირს ინტერესებს. ის ჯერ ადგენს ზოგად კრიტერიუმებს და შემდეგ აგრძელებს:

მოსარჩელის პირად სფეროში შეჭრა, რომელიც დაკავშირებულია უფლებაში ჩარევის პუბ-

<sup>186</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54, juris Rn. 15.

<sup>187</sup> მდრ. auch BVerfG, Beschluss vom 14. Juli 2004 - 1 BvR 263/03 - NJW 2004, 3619, juris unter II. b); BGH, Urteil vom 15. September 2015 - VI ZR 175/14 - BGHZ 206,

347, juris Rn. 28; BGH, Urteil vom 26. Mai 2009 - VI ZR 191/08 - NJW 2009, 3576, juris Rn. 9.

<sup>188</sup> სრულად: BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54, juris Rn. 18.

ლიკაციასთან, შეიძლება არ იყოს განსაკუთრებით მძიმე, რადგან მისი იდენტიფიცირება მხოლოდ იმ ადამიანებს შეეძლოთ, რომლებმაც ისედაც იცოდნენ მისი სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ W-სთან და ამ ჯგუფის ადამიანთა ნაწილისათვის, პუბლიკაციის გამოქვეყნების მომენტში, ასევე ცნობილი უნდა ყოფილიყო მათი დაშორების შესახებ. რაც შეეხება თავად მოსარჩელეს (რომელსაც საზოგადოება ნაკლებად იცნობდა), თავიდანვე არ არსებობს მასთან მიმართებით ინფორმაციის მიმართ კანონიერი საჯარო ინტერესი.<sup>189</sup>

თუმცა, ამ ტიპის შემთხვევებში, ინტერესთა შენონადობისას მედიის სასარგებლოდ ინფორმაციის მიმართ კანონიერი საჯარო ინტერესი შეიძლება გამომწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ გაშუქებისადმი ასეთი ინტერესი არსებობს (მხოლოდ) სხვა პირთან მიმართებაში, გარდა მოსარჩელისა, რომელსაც აღნიშნული პუბლიკაცია ასევე აუცილებლად ეხება.<sup>190</sup> თუ რომელი ურთიერთსაპირისპირო კანონიერი ინტერესი გადაწონის – მოსარჩელის, რომლის პირად სფეროსაც ეხება პუბლიკაცია, თუ მედიის ორგანოს – დამოკიდებულია შესაბამისი საქმის კონკრეტულ გარემოებებზე.

**ინფორმაციისადმი სხვა პირზე დაფუძნებული, ანუ, მეორე პირის (აქ: W) პიროვნებით „განპირობებული“ საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე** თანაშემსებლობაში მყოფი (აქ: მოსარჩელე) პიროვნების მიმართ ინტერესის არსებობისათვის სავალდებულოა, რომ ამ მეორე პირთან (აქ: W) მიმართებით პუბლიკაცია დასაშვები იყოს. თუ კონკრეტული პუბლიკაცია იმ პირთან მიმართებით, რომელთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმართაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, დაუშვებელია, შესაბამისად ანალოგიური მოქმედებს მეორე პირის მიმართაც, ვისაც

ეს პუბლიკაცია ასევე ეხება. განსახილველი საქმისთვის ეს ნიშნავს, რომ თუ W-სთან მიმართებით სადავო პუბლიკაცია დაუშვებელია, მოსარჩელესთან მიმართებითაც თავიდანვე არ შეიძლება არსებობდეს კანონიერი საჯარო ინტერესი.<sup>191</sup>

ამ წინაპირობაზე დაყრდნობით, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ შემდგომ განიხილა, არღვევდა თუ არა პუბლიკაცია W-ს პიროვნულობის უფლებებს. ის თავდაპირველად განმარტავს, რომ სასიყვარულო ურთიერთობის გამოქვეყნება, რომელიც ყოველთვის გასაიდუმლოებულია, ერევა W-ს პირად სფეროში.<sup>192</sup> ამიტომაც, ინტერესების აუცილებელი შენონვისას გდკ-ის 2 I, 1 I, კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული W-ს პიროვნულობის უფლების დაცვასა და კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მოპასუხის აზრის თავისუფლებას შორის W-ს სამართლებრივად დაცული ინტერესი გადაწონის.

განცხადება იმის შესახებ, რომ მისი შვიდწლიანი სასიყვარულო ურთიერთობა 52 წლის ბერლინელ ადვოკატთან დასრულდა, არ იჭრება მნიშვნელოვნად W-ს პირადულ სფეროში. თუმცა, მათი გრძელვადიანი ურთიერთობის დასასრულის გამჟღავნება, ამავდროულად, არ წარმოადგენს უბრალო ტრივიალურობას, არამედ იწვევს ღრმად ჩახედვას W-ს პირადი ცხოვრების გარემოებებში.<sup>193</sup> ახალი ურთიერთობის შესახებ პუბლიკაციასთან შედარებით, გრძელვადიანი ურთიერთობის დასრულების შესახებ პუბლიკაცია უფრო მძიმეა იმით, რომ პარტნიორთან დაშორება მკითხველთან მუდმივად ასოცირდება წარუმატებლობასთან, ანუ, შესაბამისი პირის პირად დამარცხებასთან. განსახილველ პუბლიკაციაში, აღნიშნული ასპექტი W-სთან მიმართებით ამკარად იყო განხილული კითხვის

<sup>189</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54, juris Rn. 28.

<sup>190</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54, juris Rn. 27 f.; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 17. Mai 2022 - VI ZR 141/2 NJW 2022, 3496, juris Rn. 57, II. 1.-ის ქვეშ განხილული არ არის.

<sup>191</sup> სრულად: BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54, juris Rn. 30.

<sup>192</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54, juris Rn. 32; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 2. August 2022 - VI ZR 26/21 - NJW-RR 2022, 1409, juris Rn. 9, განხილულია: II. 4.; BGH, Urteil vom 2. Mai 2017 - VI ZR 262/16 - NJW-RR 2017, 1516, juris Rn. 19.

<sup>193</sup> შდრ. ასევე ახალი, აქამდე საიდუმლო ურთიერთობის შესახებ პუბლიკაციაზე BGH, Urteil vom 2. Mai 2017 - VI ZR 262/16 - NJW-RR 2017, 1516, juris Rn. 31.



დასმით, თუ რატომ ვერ შეეძლო „ამ ქალმა სიყვარულის შენარჩუნება“ და „რატომ არ ჰქონდა მას [...] იღბალი მამაკაცებთან“.<sup>194</sup>

ამის საპირისპიროდ, საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი პუბლიკაციებზე W-ს და მისი დაშორების შესახებ კლასიფიცირებული უნდა იყოს, როგორც დაბალი. W არ არის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ადამიანი, რის გამოც გაზრდილი ინტერესი მისი პირადი ცხოვრების ასპექტების შესახებ ვერ გამართლდება დემოკრატიული გამჭვირვალობისა და კონტროლის თვალსაზრისით. მას, როგორც გამოჩენილ ადამიანს, შეუძლია შეასრულოს მისაბაძი პიროვნების ფუნქცია ფართო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი, მიმდევრებისთვის. თუმცა, ახალი ამბები იმის შესახებ, რომ მისი დიდი ხნის ურთიერთობა 52 წლის ადვოკატთან დასრულდა, უპირველეს ყოვლისა, აკმაყოფილებს მკითხველის ცნობისმოყვარეობას W-ის პირადი საქმეების მიმართ. წვლილი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, მაგალითად, რომ ცხოვრებით განებივრებული ადამიანებიც ასევე ეჯახებიან განშორებებს და როგორ უმკლავდებიან ისინი მას, პუბლიკაციაში შეუძლებელია თავიდანვე უარყოფილ იქნეს. თუმცა, წინა პლანზე არ არის წამოწეული ამ თემის ზოგადი განხილვა და არ არსებობს რაიმე დასკვნა საშუალო, არაცნობადი მკითხველისთვის. სტატიის აქცენტი უფრო მეტად არის გადატანილი პირადი ფაქტის გამჟღავნებაზე, რომ W-ს დიდი ხნის სასიყვარულო ურთიერთობა წარუმატებელი აღმოჩნდა. პუბლიკაცია, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს მკითხველის საჭიროებას, გაარკვიონ ფაქტები W-ს პირადი ცხოვრებიდან, რომლებიც აქამდე დაფარული იყო.<sup>195</sup>

შედეგად, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ საკმაოდ ფართოდ განიხილა საკითხი,

გაასაჯაროვა თუ არა W-მ წარსულში მისი პირადი ცხოვრების ფაქტები და რამდენად შეიძლება ამის საფუძველზე განსხვავებული შეფასების გაკეთება. საბოლოოდ ის ამას უარყოფს და, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს, რომ მისი პირადი ცხოვრების ფაქტების მსგავსი გასაჯაროება დიდი ხნის წინ მოხდა და რომ W-ს არ გაუასაჯაროებია მისი შვიდწლიანი ურთიერთობა მოსარჩელესთან.<sup>196</sup>

## 6. სისხლის სამართლის საქმეზე ეჭვებთან დაკავშირებული პუბლიკაცია, ფულადი კომპენსაცია:

2022 წელს მიღებული ორი გადაწყვეტილება ეხება პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებას, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.<sup>197</sup> ორი პროცესიდან ერთ-ერთი ასევე ეხებოდა ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობებს.

ა) ორივე გადაწყვეტილებაში გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დაადასტურა წინა სასამართლო პრაქტიკა ე.წ. **ეჭვებთან დაკავშირებულ პუბლიკაციასთან** მიმართებით.

ა.ა) ეჭვიმტანილის მაიდენტიფიცირებელი პუბლიკაცია მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის შესახებ არღვევს მისი პიროვნებისა და კარგი რეპუტაციის დაცვის უფლებას.<sup>198</sup> ის ასაჯაროებს მის შესაძლო არასწორ ქმედებებს და უარყოფით ქრილში წარმოაჩენს მის პიროვნებას მკითხველთა თვალში. ასევე ეჭვგარეშეა, რომ ეს ჩარევა - ინდივიდუალური შემთხვევის გარემოებიდან გამომდინარე - შეიძლება იყოს ძალიან ხანგრძლივი ეფექტის მქონე.

<sup>194</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54, juris Rn. 34.

<sup>195</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54, juris Rn. 34; შდრ. zum Ganzen auch BGH, Urteil vom 2. Mai 2017 - VI ZR 262/16 - NJW-RR 2017, 1516, juris Rn. 31.

<sup>196</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 237/21 - AfP 2023, 54, juris Rn. 35 ff.

<sup>197</sup> BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751 und BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559.

<sup>198</sup> BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris 17; შდრ. auch BGH, Urteil vom 17. Dezember 2019 - VI ZR 249/18 - VersR 2020, 567, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 1241/20 - NJW 2022, 940, juris Rn. 14.

ინტერესების ბალანსირებისას განსაკუთრებული მნიშვნელოვანია ის, რომ რეპუტაციის შემლახავი ფაქტობრივი განცხადებების შემთხვევაში, ურთიერთსაინააღმდეგო ინტერესების შენონადობისას, არსებითად განმსაზღვრელია ინფორმაციის ქეშმარიტება (იხ. I. 2. გ. ) გგ)). როგორც წესი, ქეშმარიტი ფაქტობრივი განცხადებების გავრცელება დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ, მაშინაც კი, როდესაც ისინი არახელსაყრელი არიან შესაბამისი პირისთვის, ამის საინააღმდეგოდ, მცდარი ფაქტების – არასოდეს.<sup>199</sup> მხოლოდ მიზანმიმართული მცდარი ფაქტობრივი განცხადებები და მათი უსწორობა გავრცელების მომენტში უცილობლად სცილდება გძკის 5 I მუხლის დაცვის ფარგლებს.<sup>200</sup> ყველა სხვა ფაქტობრივი განცხადება, რომელიც დაკავშირებულია მოსაზრებებთან, სარგებლობს ძირითადი უფლებების დაცვით, მაშინაც კი, თუ ისინი მოგვიანებით მცდარი აღმოჩნდება; ქეშმარიტება ინტერესთა შენონადობის ეტაპზე ხდება მნიშვნელოვანი.<sup>201</sup>

ამ პრინციპიდან გამომდინარე, მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის შესახებ პუბლიკაციის სპეციფიკური პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტების ორი დონე, პუბლიკაციის გამოქვეყნების მომენტში, ერთმანეთს ემთხვევა. ერთი მხრივ, ეს არის (ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივ) ქეშმარიტი ფაქტი იმდენად, რამდენადაც იგი იტყობინება სისხლის სამართლის პროცესის დაწყებისა და, შესაძლებელია, ასევე, მისი მიმდინარეობის შესახებ. მეორე მხრივ, დანაშაულებრივი ქმედება, რომელსაც ეფუძნება სისხლის სამართლის საქმე, არ არის განსაზღვრული სისხლის სამართლის პროცესის საბოლოო დასრულებამდე.<sup>202</sup> ეს ნიშნავს,

რომ მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის შესახებ პუბლიკაციაში, ძირითადად ინფორმაცია ქეშმარიტი ფაქტის შესახებ განუყოფლად არის დაკავშირებული ეჭვის შესახებ შეტყობინებასთან.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში არსებობს სხვადასხვა „ეჭვის დონე“, რომელიც გერმანიაში მერყეობს პროკურორის მიერ გამოძიების დაწყების უბრალო ეჭვებიდან (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილი; შდრ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლი), ბრალის წაყენებისთვის საკმარისი ეჭვსა (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი; შდრ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი) და მთავარი სხდომის გახსნისთვის (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლი) და პატიმრების ორდერის გაცემის გადაუდებელ ეჭვამდე (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამ მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გარკვეულწილად განსხვავებულად არის სტრუქტურირებული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისიც ასევე აღიარებს ეჭვის განსხვავებულ ინტენსივობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია (კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი) ადგენს პუბლიკაციის შინაარსის გარკვეულ შეზღუდვებს.

<sup>199</sup> BVerfG, Beschluss vom 9. November 2022 - 1 BvR 523/21 - NJW 2023, 510, juris Rn. 17; BVerfG, Beschluss vom 10. November 1998 - 1 BvR 1531/96 - BVerfGE 99, 185, juris Rn. 50; BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris 19; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 17. Dezember 2013 - VI ZR 211/12 - BGHZ 199, 237, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 17. Dezember 2019 - VI ZR 249/18 - VersR 2020, 567, juris Rn. 19; იხ. ასევე ქვემოთ I. 2. გ) გგ) ფედერალური უმაღლესი სასამართლოს გადაწყვე-

ტილება ნაწილობრივ ციტირებულია vom 16. Januar 2018 - VI ZR 498/16 - VersR 2018, 492, juris Rn. 38.  
<sup>200</sup> BVerfG, Beschluss vom 9. November 2022 - 1 BvR 523/21 - NJW 2023, 510, juris Rn. 17; BVerfG, Beschluss vom 10. November 1998 - 1 BvR 1531/96 - BVerfGE 99, 185, juris Rn. 52.  
<sup>201</sup> BVerfG, Beschluss vom 9. November 2022 - 1 BvR 523/21 - NJW 2023, 510, juris Rn. 17; BVerfG, Beschluss vom 10. November 1998 - 1 BvR 1531/96 - BVerfGE 99, 185, juris Rn. 52 und 53.  
<sup>202</sup> შდრ. ამასთან დაკავშირებით BGH, Urteil vom 16. Februar 2016 - VI ZR 367/15 - VersR 2016, 606, juris 23.

გარდა ამისა, **სწორი ინფორმაციის მიწოდებასაც** შეუძლია დაარღვიოს პიროვნულობის უფლება, თუ მას შეუძლია ზიანი მიაყენოს დაინტერესებულ პირს, რაც არაპროპორციულია სიმართლის გავრცელების ინტერესთან. ეს შეიძლება მოხდეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ განცხადებებს, სავარაუდოდ, ექნებათ მნიშვნელოვანი ფართო გავლენა და გამოიწვევენ დაინტერესებული პირის განსაკუთრებულ სტიგმატიზაციას, რის გამოც ისინი სოციალური გარიყულობისა და იზოლაციის საფრთხეს ქმნიან.<sup>203</sup> აშკარაა, რომ ეს საშიშროება უაღრესად დიდია სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ პუბლიკაციის შემთხვევაში.

ბ.ბ) მეორე მხრივ, პუბლიკაციის საგანსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციისადმი ინტერესისა და პიროვნულობის უფლების ურთიერთშეპირისპირებისას. დანაშაულები, ზოგადად, განეკუთვნება მიმდინარე ამბების ქრონიკას, რომლის შესახებ შეტყობინებაც მედიის საქმეა. შესაბამისად, სამართლებრივი ნეკრივის დარღვევა აყალიბებს საზოგადოების აღიარებულ ინტერესს, ჰქონდეს დანაშაულისა და დამნაშავის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია.<sup>204</sup>

გ.გ) თუმცა, პიროვნულობის უფლების შელახვა უნდა იყოს გადაცდომის სიმძიმისა და საზოგადოებისთვის მისი მნიშვნელობის პროპორციული. ეს გამართლებული საზოგადოებრივი ინტერესი მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო მეტად გამოირჩევა ქმედება ჩვეულებრივი კრიმინალისაგან მისი ჩადენის, სერიოზულობის ან სხვა განსაკუთრებული მახასიათებლების გამო.<sup>205</sup>

ამის მიხედვით, დამნაშავის იდენტიფიცირება დაუშვებელია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება წვრილმან დანაშაულს ან არასრულწლოვნებს.<sup>206</sup> თუმცა, ფართო საზოგადოების დაბალი ინტერესი მცირე გადაცდომის შესახებ პუბლიკაციებზე, ცალკეულ შემთხვევებში განსაკუთრებული მახასიათებლების - მაგალითად, დამნაშავის პიროვნების ან დანაშაულის ჩადენის გარემოებების გამო - შეიძლება გაიზარდოს იმდენად, რომ დამნაშავის შესახებ ინტერესმა მისი პიროვნულობის უფლების დაცვა გადაწონოს.<sup>207</sup> ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, ემსახურება თუ არა პუბლიკაცია მხოლოდ საზოგადოების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას, თუ ხელს უწყობს აზრის ჩამოყალიბებას დემოკრატიულ საზოგადოებაში, ანუ, ასრულებს თუ არა პრესა თავის ფუნქციას, როგორც „საზოგადოებრივი მცველი“.<sup>208</sup> შემდგომი დიფერენციაცია ეხება ე.წ. ეჭვის შესახებ პუბლიკაციისა და სასამართლო პროცესის შესახებ ცნობის პუბლიკაციის<sup>209</sup> გამოიჯვანას. ეს უკანასკნელი (ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ რბილი გადასვლისას), სულ მცირე, ტენდენციურად უფრო ნაკლებად ეხება სისხლის სამართლის დანაშაულის ქმედებისა და ბრალდებულის მიმართ არსებულ ეჭვს, არამედ წინა პლანზე დგას მთავარი სხდომის მსვლელობის აღწერა, სამართალწარმოების სტატუსის შესახებ ან სასამართლო გადაწყვეტილების ანუ საპროცესო ფაქტების შესახებ ცნობა.

მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის შესახებ პუბლიკაციის შემთხვევაში, (როგორც წესი) მიმდინარე პროცესის შესახებ სწორი ინ-

<sup>203</sup> BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris 19; შდრ. auch BGH, Urteil vom 17. Dezember 2013 - VI ZR 211/12 - BGHZ 199, 237, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 9. März 2021 - VI ZR 73/20 - NJW 2021, 1756, juris Rn. 23.

<sup>204</sup> BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 26; BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris 20; შდრ. auch BGH, Urteil vom 18. Dezember 2018 - VI ZR 439/17 - NJW 2019, 1881, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 30. Oktober 2012 - VI ZR 4/12 - NJW 2013, 229, juris Rn. 13.

<sup>205</sup> BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 26; BGH, Urteil vom 31. Mai 2022 -

VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris 20; შდრ. auch BGH, Urteil vom 18. Dezember 2018 - VI ZR 439/17 - NJW 2019, 1881, juris Rn. 13.

<sup>206</sup> BGH, Urteil vom 30. Oktober 2012 - VI ZR 4/12 - NJW 2013, 229, juris Rn. 13.

<sup>207</sup> BGH, Urteil vom 30. Oktober 2012 - VI ZR 4/12 - NJW 2013, 229, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 15. November 2005 - VI ZR 286/04 - NJW 2006, 599, juris Rn. 13 ff.

<sup>208</sup> BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris Rn. 21; შდრ. ასევე BGH, Urteil vom 18. Dezember 2018 - VI ZR 439/17 - NJW 2019, 188, 1, juris Rn. 14.

<sup>209</sup> შდრ. BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris Rn 23.

ფორმაცია ვერ განცალკევდება იმ დანაშაულებრივი ქმედებისგან, რომელსაც იგი ეფუძნება. ამიტომაც, ფედერალური უმაღლესი სასამართლო (როგორც წესი) ეყრდნობა პრინციპებს, რომლებსაც ის იყენებს იმ ფაქტობრივი განცხადებების გავრცელებისთვის, რომელთა ჭეშმარიტებაც ჯერ კიდევ დასადაგენია (იხ. I. 2. გ) ა.ა.) და II. 6. ა) ა.ა.).<sup>210</sup>

დ.დ) ამ ტიპის შემთხვევებისათვის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ შეიმუშავა შემდეგი ძირითადი პრინციპები:<sup>211</sup>

27-ე ველი: „ფაქტობრივი განცხადება, რომლის ჭეშმარიტება გაურკვეველია და რომელიც ეხება საზოგადოებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე საკითხს, არ შეიძლება, სენატის და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, აეკრძალოს იმ პირს, რომელიც, მას აყალიბებს ან ავრცელებს, მანამ, სანამ ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილება აუცილებლობად მიიჩნევა. (მუხ. გდკ-ის მე-5 მუხლი, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლი). აღნიშნული პრინციპი გულისხმობს იმას, რომ, განცხადების ჩამოყალიბებამდე ან გავრცელებამდე, საკმარისად გულდასმით უნდა იქნეს გამოკვლეული მისი ჭეშმარიტება. ჭეშმარიტების გულდასმით შესწავლის ვალდებულება გულისხმობს დაზუსტების შესაძლებლობებს. აღნიშნული მოთხოვნა, ზოგადად, უფრო მკაცრია მედიასთან მიმართ, ვიდრე კერძო პირებისათვის. აზრის თავისუფლების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, არ შეიძლება დაწესდეს ისეთი მოთხოვნები სამართლის თქმის ვალდებულებაზე, რომლებიც შეამცირებენ ძირითადი უფლების განხორციელების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, მით უფრო მაღალია მოთხოვნები, რაც უფრო სერიოზულად აზიანებს განცხადება პიროვნულობის უფლებას. თუმცა, გასათვალისწინებელია, ასეთი განცხადებების მიმართ საზოგადოების ინტერესიც (შდრ. BGH,

Urteil vom 16. Februar 2016 - VI ZR 367/15 - VersR 2016, 606, juris Rn. 22, 24; BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 1241/20 - NJW 2022, 940, juris Rn. 18; და იქ მითითებული ლიტერატურა).“

28-ე ველი: „ეს სტანდარტები ზოგადად ვრცელდება, აგრეთვე, მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის შესახებ პუბლიკაციაზეც, როდესაც ბრალდებულის მოხსენიება სახელობით ხდება. საქმის განხილვის ამ ეტაპზე ჯერ კიდევ უცნობია, ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა ის დანაშაული, რომელსაც მას ედავებიან. თუმცა, მედიის ერთ-ერთი ლეგიტიმური ამოცანაა, მცდარი ნაბიჯების გათვალისწინება - მათ შორის კონკრეტული ადამიანების შემთხვევაში. რაც შეეხება კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებულ უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომელიც გამომდინარეობს კანონის უზენაესობის პრინციპიდან, გასათვალისწინებელია საშიშროება, რომ საზოგადოება გამოძიების დაწყებას ბრალის დამტკიცებასთან აიგივებს და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან გამართლების შემთხვევაშიც კი, იმავე პოზიციაზე „რჩება“ (შდრ. BGH, Urteil vom 16. Februar 2016 - VI ZR 367/15 - VersR 2016, 606, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 1241/20 - NJW 2022, 940, juris Rn. 19; და იქ მითითებული ლიტერატურა).“

29-ე ველი „ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა მინიმალური მტკიცებულების არსებობა მაინც, რომელიც მიუთითებს ინფორმაციის სისწორეზე და ამით, პირველ ეტაპზე მაინც, „საჯარო ღირებულებას“ ანიჭებს მას. გარდა ამისა, პუბლიკაცია არ უნდა შეიცავდეს რაიმე წინასწარ ბრალდებას შესაბამისი პირის მიმართ; შესაბამისად, მან არ უნდა შექმნას არასწორი შთაბეჭდილება იმ რწმენით, რომ დაინტერესებული პირი უკვე დამნაშავეა იმ ქმედებისთვის, რომლის მიმართაც მას ბრალს სდებენ. გამოქვეყნებამდე სისტემატურად უნდა მიიღონ მხედველობაში

<sup>210</sup> BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 27; BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris 22; ეჭვების შესახებ პუბლიკაციაზე ზოგადად: BGH, Urteil vom 17. Dezember 2013 - VI ZR 211/12 - BGHZ 199, 237, juris Rn. 26.

<sup>211</sup> ამონარიდი BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris; შინაარსით მეტწილად იდენტურია BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris, ციტატები ოდნავ მოდიფიცირებულია.

დაინტერესებული პირის პოზიცია. საბოლოოდ, საქმე უნდა ეხებოდეს სერიოზული მნიშვნელობის საკითხს, რომლის შეტყობინებაც გამართლებულია ფართო საზოგადოების ინფორმაციის საჭიროებით (... BGH, Urteil vom 7. Dezember 1999 - VI ZR 51/99 - BGHZ 143, 199, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 17. Dezember 2013 - VI ZR 211/12 - BGHZ 199, 237, juris Rn. 26; BGH, Urteil vom 16. Februar 2016 - VI ZR 367/15 - VersR 2016, 606, juris Rn. 24; BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 1241/20 - NJW 2022, 940, juris Rn. 20 და იქ მითითებული ლიტერატურა).“

ე.ე) ე.წ. ეჭვის შესახებ პუბლიკაციის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზემოთ ნახსენებ ეჭვის დონეს.

**პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის** (თავდაპირველი ეჭვის) აუცილებელი ხარისხი განსაკუთრებით დაბალია, ასე რომ, მხოლოდ აღნიშნული არ იძლევა პუბლიკაციისთვის საკმარის ვარაუდს. ამიტომაც, პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყების დროს მედია ვალდებულია, იმოქმედოს განსაკუთრებით ფრთხილად და პატივი სცეს უდანაშაულობის პრეზუმფციას.<sup>212</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ საზოგადოებამ გააიგივოს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის წამოწყება ბრალის დამტკიცებასთან და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან გამართლების შემთხვევაში მაინც იმავე პოზიციაზე „დარჩეს“.<sup>213</sup>

ნაწილობრივ სხვა წესი მოქმედებს **გასაჯაროებული მთავარი სხდომის** საგანისა და შინაარსის შესახებ პუბლიკაციასთან დაკავშირებით. პრესის წარმომადგენლებს არა მხოლოდ

უფლება აქვთ, მიიღონ დაესწრონ საჯარო მთავარ სხდომას § 169 მუხლის I 1 GVG [სასამართლო პროცესის ორგანიზების შესახებ კანონი], არამედ გამოაქვეყნონ მთავარ სხდომაზე ჩანერილი ინფორმაცია თავიანთი ფუნქციის შესაბამისად.<sup>214</sup> როგორც წესი, პრესას შეუძლია გაავრცელოს ამ გზით მთავარ სხდომაზე მოპოვებული ინფორმაცია **კანონიერი ინტერესების დასაცავად**, ბრალდებების სისწორის შესახებ საკუთარი თუ ბრალდებულის პოზიციის დაფიქსირების ვალდებულების გარეშე.<sup>215</sup> ეს უკანასკნელი მით უფრო მისაღებია, რადგან მთავარი სხდომის პარალელურად ბრალდებულისგან ჩვენებების მიღება აფერხებს სისხლის სამართლის პროცესში არსებული ფაქტების გამოკვლევას.<sup>216</sup>

ე.ე) როგორც უკვე აღინიშნა (I. 3. ა)) სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა „**საჯაროს განცხადებების შედეგების აღმოფხვრის მოთხოვნა**“, როგორც, გსკ-ის § 1004 ანალოგიიდან წარმოებული, განგრძობადი ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა.<sup>217</sup> გსკ-ს § 1004-მუხლიდან (შესადარებელი სსკ-ის 161-ე მუხლი) ნაწარმოები ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის სამართლებრივი კონცეფცია მოითხოვს, რომ ფაქტის გავრცელებისთვის თავიდანვე არსებობდეს სამართლებრივი საფუძველი, ანუ სისხლის სამართლის პროცესის შესახებ პუბლიკაცია, საკმაო ეჭვიდან გამომდინარე, დასაშვები იყოს, თუმცა აღნიშნული ეჭვი შემდგომში (მაგ. გამამართლებელი განაჩენის ან საქმის წარმოების შეწყვეტის გამო) გაქარწყლდა, შექმნილი რეპუტაციული ზიანისაგან განსხვავებით.<sup>218</sup> მართალია, ასეთი მტკიცებები თავიდანვე არ სცილდება აზრის თავისუფლების დაცვის ფარგლებს (გძკ-ის 5 I 1)

<sup>212</sup> BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 34; BGH, Urteil vom 16. Februar 2016 - VI ZR 367/15 - VersR 2016, 606, juris Rn. 23 f.

<sup>213</sup> BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 28; შდრ. auch BGH, Urteil vom 30. Oktober 2012 - VI ZR 4/12 - NJW 2013, 229, juris Rn. 14.

<sup>214</sup> BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris Rn. 32.

<sup>215</sup> BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris Rn. 32 ; შდრ. auch EGMR, Urteil vom 2. Juni 2015 in Sachen Erla Hlynisdóttir v. Iceland (No. 3), Application no. 54145/10, Rn. 73; EGMR, Urteil vom 2.

Juni 2015 in Sachen Eerikäinen and others v. Finland vom 10. Februar 2009, Application no. 3514/02, Rn. 63 ff.

<sup>216</sup> დეტალურად: BGH, Urteil vom 31. Mai 2022 - VI ZR 95/21 - NJW-RR 2022, 1559, juris Rn. 33.

<sup>217</sup> BGH, Beschluss vom 19. Juli 2018 - IX ZB 10/18 - NJW 2018, 3254, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 18. November 2014 - VI ZR 76/14 - BGHZ 203, 239, juris Rn. 34 ff.; დამატებით ასევე: BVerfG, Beschluss vom 28. April 1997 - 1 BvR 765/97 - NJW 1997, 2589, juris Rn. 14.

<sup>218</sup> BGH, Urteil vom 18. November 2014 - VI ZR 76/14 - BGHZ 203, 239, juris Rn. 34.

(იხ. II. 6. ა) ა.ა)), თუმცა, ინტერესთა შენონადობისას, მას დაინტერესებული პირის ინტერესები გადანონის, ვინაიდან არ არსებობს თავდაპირველად მართლზომიერად გამოთქმული პოზიციის შენარჩუნების ლეგიტიმური ინტერესი, მისი სიმცდარის გამომზეურების შემდეგ.<sup>219</sup>

ვ.ვ) ზემოთ თქმულისაგან უნდა გავმიჯნოთ საკითხი, გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლიდან რამდენ ხნის განმავლობაშია დასაშვები სისხლის სამართლის პროცესის შესახებ ცნობების თავიდან და თავიდან გავრცელება და, გარკვეული პერიოდის შემდეგ, უნდა მოხდეს თუ არა პრესის ორგანოების ონლაინ არქივებში კანონიერად განთავსებული ინფორმაციის წაშლა.

ამ კუთხით, ეჭვგარეშეა, რომ **სისხლის სამართლის პროცესის დასრულებიდან დროის გასვლასთან ერთად** და, შესაბამის პერიოდში, საზოგადოების (ინფორმაციაზე) მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, დაინტერესებული პირის ინტერესია, რომ არ მოხდეს მისი არასწორი ქმედების ხელახალი აქტუალიზაცია და ხელი არ შეეშალოს მის რეინტეგრაციას.<sup>220</sup> თუ ქმედებას, რომელმაც გამოიწვია საჯარო ინტერესი, საზოგადოების მხრიდან სისხლის სამართლის პროცესის დამთვრებამდე მოჰყვა საჭირო რეაქცია და თუ საზოგადოება სათანადოდ იყო ინფორმირებული ამის შესახებ, დაინტერესებული პირის პირად სფეროში მუდმივი ან განმეორებითი ჩარევა არ შეიძლება იყოს გამართლებული.

თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს პიროვნებასთან დაკავშირებული მოვლენების მიმდინარე აღწერის სრულ იმუნიზაციას.<sup>221</sup> აქედან გამომდინარე, არ არსებობს ზოგადი მოთხოვნა იმისა, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ პერსონალიზებული პუბლიკაციები სისხლის სამართლის პროცესის შესახებ პრესის ორგანოების ონლაინ

არქივიდან წაიშალოს ან საზოგადოებისთვის მიუწვდომელი გახდეს. განსაკუთრებით, ისტორიული მნიშვნელობის სისხლის სამართლის პროცესის შემთხვევაში, საზოგადოებას აქვს დაცვის ღირსი ინტერესი, რომ შეძლოს, წარსული ისტორიული მოვლენების უცვლელი ორიგინალი მედიაცნობების მოკვლევა.<sup>222</sup> ეს ასევე ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ასეთი, წარსულის ქრონიკებთან დაკავშირებული, პუბლიკაციები შედარებით მარტივად მოკვლევადია თანამედროვე საძიებო სისტემების საშუალებით.<sup>223</sup>

ბ) 2022 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებაში ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ასევე მიუთითა მის წინა სასამართლო პრაქტიკაზე, პიროვნულობის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ფულადი კომპენსაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით (იხ. I. 3. გ)) და ეს პრინციპები შეაჯამა შემდეგნაირად:<sup>224</sup>

*„დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით... პიროვნების ზოგადი უფლების ბრალეული დარღვევა იწვევს ფულადი კომპენსაციის მოთხოვნას, თუ ჩარევა სერიოზულია და ზიანის გამოსწორება სხვაგვარად შეუძლებელია. მოხდა თუ არა პიროვნულობის უფლების ისეთი სერიოზული დარღვევა, რომ აუცილებელია ფულადი კომპენსაციის გადახდა, შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ინდივიდუალური შემთხვევის ყველა გარემოების საფუძველზე. კერძოდ, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ჩარევის მნიშვნელობა და მასშტაბი, ანუ, პუბლიკაციის გავრცელების არეალი, დაზარალებული მხარის ინტერესების ან რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის მდგრადობა და განგძობადობა, მოქმედი პირის ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები, მისი მოტივი და მისი ბრალეულობის ხარისხი (შდრ. BGH, Urteil vom 24. November 2009 - VI*

<sup>219</sup> BGH, Urteil vom 18. November 2014 - VI ZR 76/14 - BGHZ 203, 239, juris Rn. 35; BGH, Urteil 22. April 2008 - VI ZR 83/07 - BGHZ 176, 175, juris Rn. 34 f.

<sup>220</sup> BGH, Urteil vom 30. Oktober 2012 - VI ZR 4/12 - NJW 2013, 229, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 8. Mai 2012 - VI ZR 217/08 - NJW 2012, 2197, juris Rn. 40; საფუძვლიანად: BVerfG, Urteil vom 5. Juni 1973 - 1 BvR 536/72 - BVerfGE 35, 202, juris unter IV.

<sup>221</sup> BGH, Urteil vom 18. Dezember 2018 - VI ZR 439/17 - NJW 2019, 1881, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 13.

November 2012 - VI ZR 330/11 - VersR 2013, 114 juris Rn. 13.

<sup>222</sup> BGH, Urteil vom 13. November 2012 - VI ZR 330/11 - VersR 2013, 114, juris Rn. 18.

<sup>223</sup> BGH, Urteil vom 13. November 2012 - VI ZR 330/11 - VersR 2013, 114, juris Rn. 20.

<sup>224</sup> BGH, Urteil vom 22. Februar 2022 - VI ZR 1175/20 - NJW 2022, 1751, juris Rn. 44, ციტატები ოდნავ შეცვლილია.

ZR 219/08 - BGHZ 183, 227, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 17. Dezember 2013 - VI ZR 211/12 - BGHZ 199, 237, juris Rn. 38; BGH, Urteil vom 21. April 2015 - VI ZR 245/14 - VersR 2015, 898, juris Rn. 33). ფულადი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება შეიძლება ასევე განისაზღვროს იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნულობის უფლება ირღვევა ფაქტის მტკიცებით, რომელიც ამკარად არ შეესაბამება სიმართლეს და ზიანს აყენებს რეპუტაციას. თუმცა, ამ შემთხვევაში, ხელყოფის სიმძიმის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული იმის შესაძლებლობა, რომ მაინკრიმინირებელი მტკიცება შეიძლება იყოს ჭეშმარიტი. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს მიღებული ფულადი კომპენსაციის სპეციალურ ფუნქციას პიროვნულობის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს როგორც დაზარალებული მხარის დაკმაყოფილებას, განხორციელებული ჩარევის

გამო, ასევე, მისი არსებობა ობიექტურად გამართლებულია იმ იდეით, რომ პიროვნულობის უფლება მძიმე ჩარევის შემდეგ დარჩებოდა საკმარისი დაცვის გარეშე. გარდა ამისა, ფულადი კომპენსაცია მიზნად ისახავს პრევენციას (შდრ. BGH, Urteil vom 17. Dezember 2013 - VI ZR 211/12 - BGHZ 199, 237, juris Rn. 38 და იქ მითითებული ლიტერატურა). საქმის გარემოებების აუცილებელი საერთო შეფასებისას გათვალისწინებულია ასევე ქმედების განხორციელების აკრძალვის შესახებ გადანყვეტილება. გადანყვეტილებას და მასთან დაკავშირებულ სააღსრულებო ღონისძიებებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნაზე და საექვოობისას გამორიცხონ კიდევ იგი (შდრ. BGH, Urteil vom 15. September 2015 - VI ZR 175/14 - BGHZ 206, 347, juris Rn. 38; BGH, Urteil vom 24. Mai 2016 - VI ZR 496/15 - VersR 2016, 1001, juris Rn. 9; ასევე იქ მითითებული ლიტერატურა).“

# თანაამსრულებლობა და თანამონაწილეობა ყაჩაღობის მაგალითზე

თემურ ცქიტიშვილი

ასისტენტი-პროფესორი, სამართლის დოქტორი, თსუ,

თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

## 1. შესავალი

წინამდებარე წერილში განხილვის საგანს წარმოადგენს ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის პრობლემა, ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნა ყაჩაღობის მაგალითზე. კერძოდ კი, ყაჩაღობის დროს დარაჯად მდგომი პირის ქმედების კვალიფიკაცია, დასახელებულ შემთხვევაში საქმე ეხება თანამონაწილეობას (დახმარებას) თუ თანაამსრულებლობას. პრობლემის გადაჭრა ეფუძნება როგორც ქართულ, ისე გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოთქმულ შეხედულებებს. სტატიაში წარმოდგენილია საკითხის ავტორისეული გადანწყვეტა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით.

## 2. ყაჩაღობის თანაამსრულებელი და თანამონაწილე

ყაჩაღობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთპიროვნული ამსრულებლობით, ისე თანაამსრულებლობით და თანამონაწილეობით. თანაამსრულებელი იქნება ის, ვინც ყაჩაღობის შემადგენლობის რომელიმე ნიშანს ახორციელებს. თანაამსრულებელი შეიძლება სხვა ამსრულებელთან ერთად თავდასხმაში მონაწილეობდეს. მაგალითად, ერთი ამსრულებელი მუქარას ახორციელებს, ხოლო მეორე სხვის ნივთს ეუფლება.

ვინაიდან ნივთის დაუფლება ყაჩაღობის შემადგენლობის მიღმა დგას, ჩნდება კითხვა, არის

თუ არა თანაამსრულებლობისთვის საკმარისი სხვისი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით?

მიუხედავად იმისა, რომ ნივთის დაუფლება არ არის ყაჩაღობის შემადგენლობის ნიშანი, მაინც თანაამსრულებლად უნდა ვცნოთ ის, ვინც ერთ-ერთი ამსრულებლის მიერ მუქარის ან ძალადობის განხორციელებისას ეუფლება მსხვერპლის ნივთს. გასათვალისწინებელია ის, რომ ქართული სსკ-ის 179-ე მუხლის თანახმად ნივთის დაუფლება არ არის ყაჩაღობის შემადგენლობის ნიშანი, მაგრამ წარმოადგენს თავდასხმის შემდგომ ეტაპს და ფაქტობრივად ყაჩაღობის დასრულების შემადგენელ რგოლს.

ყაჩაღობა წარმოადგენს შენადგენ დაწაფულს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შემადგენლობა რამდენიმე ნაწილისგან შედგება, რომლებიც ცალკე აღებული, დამოუკიდებელ შემადგენლობას აფუძნებენ. ყაჩაღობა გულისხმობს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას და თავდასხმას სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მუქარა სსკ-ში ცალკე შემადგენლობის სახით არის გათვალისწინებული (151-ე მუხ.). სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის და მუქარის გარეშე, ცალკე აღებული, ძარცვის შემადგენლობას აფუძნებს (178-ე მუხ.), ხოლო ორივე ქმედება ერთობლიობაში გვაძლევს ყაჩაღობის შემადგენლობას. ამგვარად, ყაჩაღობის დროს ერთ-ერთი თანაამსრულებელი შეიძლება ახორციელებდეს



სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას, მაგალითად, როცა მოქმედი პირი დაზარალებულს დანას ჩასცემს, ხოლო მეორე – საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას, კერძოდ, დაზარალებულს საათს ხსნის მაჯიდან<sup>1</sup>.

როცა სულ მცირე ორი ამსრულებელი მონაწილეობს ყაჩაღობაში, სახეზეა ჯგუფური ყაჩაღობა. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა ჯგუფისთვის აუცილებელი პირობა, რომ სახეზე იყოს, სულ მცირე, ორი ამსრულებელი, რომელსაც პასუხისმგებლობა დაეკისრება, სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოა.

ერთი მოსაზრებით, ჯგუფურობისთვის აუცილებელია ორი ამსრულებელი მაინც, მაგრამ საკმარისია აქედან თუნდაც ერთი იყოს ისეთი, ვისაც პასუხისმგებლობა დაეკისრება. ამავე შეხედულებით, ჯგუფურობისთვის საკმარისად მიიჩნევა ერთი ამსრულებელი და ერთი თანამონაწილე<sup>2</sup>. ხოლო მეორე შეხედულებით, ჯგუფურობის აუცილებელი პირობაა სახეზე იყოს სულ მცირე ორი ბრალუნარიანი ამსრულებელი<sup>3</sup>.

ჯგუფური ყაჩაღობის დროს არ არის აუცილებელი ჯგუფის ყველა წევრი აქტიური ფორმით ახორციელებდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას. საკმარისია თუნდაც ერთი ამსრულებლის ასეთი აქტიური ფორმით ქმედება, მაგრამ მეორე ამსრულებელი უნდა ასრულებდეს ისეთ ქმედებას, რაც ქმედების შემადგენლობის ნაწილობრივ განხორციელებას გაუტოლდება. ეს შეიძლება იყოს მუქარა კონკლუდენტური ფორმით, ამსრულებლის გვერდით დგო-

მით<sup>4</sup>. თუ თანამსრულებლობა ნივთის დაუფლებით განხორციელდა, გასათვალისწინებელია, როდის მოხდება დაუფლება, ვინაიდან, თუ ძალადობა ან ძალადობის მუქარა დასრულებული იყო და ამის შემდგომ შემოუერთდა მეორე სუბიექტი თავიდან მოქმედ ამსრულებელს, მისი ქმედება ყაჩაღობად ვერ დაკვალიფიცირდება.

სუბიექტური თეორიის მიხედვით ყაჩაღობის თანამსრულებელი შეიძლება ისიც იყოს, ვინც არ ახორციელებს ძალადობით ქმედებას და მუქარის ან ძალადობის განხორციელებისას შემთხვევის ადგილზე არ იმყოფება. თუმცა, საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ გამომდინარეობს ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან.

ამსრულებლის გვერდით დგომა ყოველთვის არ არის საკმარისი თანამსრულებლობისთვის. ამსრულებლის გვერდით დგომა თანამსრულებლობას მაშინ აფუძნებს, თუ კონკლუდენტურად მაინც ახორციელებს მუქარას.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიძლება ჯგუფის წევრი არ ახორციელებდეს ძალადობას, მაგრამ თუ ძალადობით ნივთის დაუფლება მოცული იყო მისი განზრახვით, მასაც პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ძალადობით ყაჩაღობისთვის<sup>5</sup>. თუმცა, ავტორის მოსაზრება ეფუძნება იმ შეხედულებას, რომლითაც ჯგუფური დანაშაულისთვის აუცილებელ წინაპირობად არ მიიჩნევა სულ მცირე ორი ამსრულებლის მოქმედება.

შეიძლება ჯგუფის წევრი (თანამსრულებელი) ძალადობას არ ახორციელებდეს, მაგრამ ასეთ დროს აუცილებელია მისი ქმედება ქმედების შემადგენლობის სხვა ნიშანს მოიცავდეს. მაგალითად, ახორციელებდეს მუქარას, რაც

<sup>1</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 142.

<sup>2</sup> გამყრელიძე თ., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 289; ნაჭყებია გ., ნიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2016, გვ. 328; ებრაელიძე თ., ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის, ნიგნში: სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, თინათინ წერეთლის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2006, გვ. 132.

<sup>3</sup> თოდუა ნ., ნიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2019, გვ. 466.

<sup>4</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., ნიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, თბ., 2019, გვ. 494, 496.

<sup>5</sup> ებრაელიძე თ., ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის, ნიგნში: სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, თინათინ წერეთლის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2006, გვ. 132.

ფსიქიკური ძალადობის გამოხატულებას წარმოადგენს. თუ დანაშაულის ადგილზე მყოფი პირი ქმედების შემადგენლობის არცერთ ნიშანს არ ახორციელებს, ის შეიძლება ვცნოთ არა ჯგუფის წევრად, თანამსრულებლად, არამედ თანამონაწილედ (მაგალითად, დამხმარე), ხოლო თუ მის გარდა სახეზეა ორი ამსრულებელი, მას როგორც თანამონაწილეს, პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ჯგუფურ ყაჩაღობაში თანამონაწილეობისთვის. მოცემულ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციისას არ გამოირიცხება მითითება იმ ნორმაზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯგუფური ყაჩაღობისთვის, მაგრამ ამავდროულად უნდა მოხდეს მითითება თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ნორმაზე (სსკ-ის 25-ე მუხ.), რაც იმის დასტური იქნება, რომ აღნიშნული პირი ისჯება ჯგუფური ყაჩაღობისთვის არა როგორც ჯგუფის წევრი, თანამსრულებელი, არამედ როგორც ჯგუფურ დანაშაულში თანამონაწილე.

ყაჩაღობაში თანამსრულებლობა შესაძლებელია დანაშაულის ფორმალურად განხორციელებამდე. ყაჩაღობის შემადგენლობის ფორმალურად განხორციელების შემდეგ თანამსრულებლობა, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, გამოირიცხება და მოგვიანებით შემოერთებულმა პირმა პასუხი უნდა აგოს არა ყაჩაღობაში თანამსრულებლობისთვის, არამედ ძარცვისთვის (178-ე მუხ.)<sup>6</sup>. ყაჩაღობის ფორმალურად განხორციელების შემდეგ თანამსრულებლობა იმიტომ გამოირიცხება, რომ ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის ან ასეთი ძალადობის მუქარის განხორციელება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ პირმა მონაწილეობა არ მიიღო აღნიშნული (ქმედების შემადგენლობის) ნიშნის განხორციელებაში, ვერ იქნება მიჩნეული თანამსრულებლად<sup>7</sup>.

ყაჩაღობის შემადგენლობის ფორმალურად განხორციელების შემდეგ სუქცესიური თანამსრულებლობა შეიძლება დაგუშვათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თავდასხმა გრძელდება და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან მუქარა არ არის დასრულებული თანამსრულებლის შემოერთების დროს.

ჯგუფური ყაჩაღობა უნდა გაიმიჯნოს ბანდიტიზმისგან (224-ე მუხ.), რომელიც ასევე ჯგუფის მოქმედებას გულისხმობს. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ბანდა მყარი შეიარაღებული ჯგუფია, განსხვავებით ყაჩაღობის დროს არსებული ჯგუფისგან. ჯგუფის სიმყარე იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფი შექმნილია არაერთჯერადი ქმედების განსახორციელებლად, არამედ რამოდენიმე ქმედების ჩასადენად. გარდა ამისა, ბანდა არის შეიარაღებული ჯგუფი, მაგრამ მხედველობაში მიიღება ისიც, თუ როგორი იარაღითაა ჯგუფი შეიარაღებული<sup>8</sup>. რამოდენიმე (ერთზე მეტი) დანაშაულის ჩასადენად შეიძლება შექმნილი იყოს ორგანიზებული ჯგუფიც, თუმცა, ორგანიზებული ჯგუფისთვის ის არ წარმოადგენს აუცილებელ ნიშანს. ორგანიზებული ჯგუფი მაშინაც არ გამოირიცხება, როცა ჯგუფს მხოლოდ ერთი დანაშაულის ჩადენა აქვს გადაწყვეტილი (27-ე მუხ. მე-3 ნაწილი). თუ ბანდა შეიარაღებული ჯგუფია, ყაჩაღობის დროს ჯგუფი შეიძლება არც იყოს შეიარაღებული.

თანამონაწილეობა შესაძლებელია დანაშაულის იურიდიულად დამთავრების შემდეგაც, მაგრამ მოგვიანებით შემოერთებული თანამონაწილე პასუხს აგებს მხოლოდ იმ ნაწილში, რომლის განხორციელებაშიც მიიღო მონაწილეობა<sup>9</sup>. დამხმარეს მხოლოდ ის ქმედება შეერაცხება, რომლის განხორციელებაშიც მიიღო მონაწილეობა. მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ ქმედებისთვის, რომლის განხორციელებაშიც

<sup>6</sup> მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., დასახ. ნაშრ., გვ. 169, 171; ნერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 143-144.

<sup>7</sup> დანაშაულის ფორმალურად განხორციელების შემდეგ სუქცესიური თანამსრულებლობა შესაძლებელია დენად დანაშაულზე. იხ. ცქიტიშვილი თ., რეცენზია: ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების

ცალკეული ფორმები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2019, #1, გვ. 69-70.

<sup>8</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 35.

<sup>9</sup> მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 14.

მონაწილეობა არ მიუღია. თუ თავდასხმის განხორციელების შემდეგ შემთხვევით გამოვლილი პირი ყაჩაღს დაეხმარება ნივთის დაუფლებაში, იგი პასუხს აგებს მხოლოდ ძარცვისთვის და არა ყაჩაღობისთვის<sup>10</sup>. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, თავდასხმის განხორციელების მხოლოდ მოწონება განზრახვას ყაჩაღური თავდასხმის მიმართ ვერ დააფუძნებს<sup>11</sup>. თუმცა, რამდენად მართებულია თავდასხმის მხოლოდ მოწონებაზე ვისაუბროთ და თანამონაწილეობის განზრახვა გამოვრიცხოთ, როცა სუქცესიური თანამონაწილე დანაშაულს უერთდება ქმედების შემადგენლობის ფორმალურად განხორციელების შემდგომ, მაგრამ თავდასხმის ჯერ კიდევ მიმდინარეობის ეტაპზე?

თუ ქართული სსკ-ი (27-ე მუხ. და 179-ე მუხ. მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი) უშვებს ყაჩაღობაში სუქცესიური თანამსრულებლობის შესაძლებლობას (თავდასხმის დასრულებამდე), არ იქნებოდა მართებული გამოგვერიცხა სუქცესიური თანამონაწილეობა (დახმარება). იქ სადაც სუქცესიური თანამსრულებლობაა შესაძლებელი, მით უფრო შესაძლებელი უნდა იყოს სუქცესიური თანამონაწილეობა (ვინრო გაგებით).

თ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ ყაჩაღობის ამსრულებლისთვის ქონების დაუფლებასა და დაუფლებული ქონების დამალვაში დახმარება მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს ყაჩაღობაში თანამონაწილეობად, დახმარებად, თუ ასეთი დახმარება ამსრულებლისთვის წინასწარ იყო შეპირებული, ხოლო თუ წინასწარ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია და მეორე პირი შემთხვევის ადგილზე შემთხვევით აღმოჩნდა, როდესაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა განხორციელებული (დამთავრებული) იყო, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება როგორც სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულში (ყაჩაღობაში) თანამონაწილეობა და დაისჯება იმ დანაშაულისთვის,

რომლის შესრულებასაც ხელი შეუწყო: აშკარა დაუფლებისას - ძარცვისთვის, ფარული დაუფლებისას - ქურდობისთვის, წინასწარი შეთანხმების გარეშე დანაშაულის, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაპოვნი საგნების დამალვისას - დანაშაულის დაფარვისთვის<sup>12</sup>.

ყაჩაღობაში თანამონაწილეობა შესაძლებელია როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით. უმოქმედობით თანამონაწილეობას, დახმარებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს გარანტიის მხრიდან<sup>13</sup>. მაგალითად, როცა ქმარმა იცის, რომ ცოლი უნდა დააყაჩაღონ და ამის შესახებ არ ატყობინებს არც ცოლს და არც სამართალდამცავ ორგანოებს, რითაც ხელს უწყობს ყაჩაღობის ამსრულებლებს<sup>14</sup>. ყაჩაღობის ამსრულებელმა შეიძლება ამის შესახებ არც იცოდეს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის თანამონაწილეობას, ვინაიდან თანამონაწილეობა არ მოითხოვს ურთიერთცოდნას<sup>15</sup>. ზოგადად დანაშაულის შეუტყობინებლობა ვერ ჩაითვლება დახმარებად, თუ არ არსებობს სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა მოქმედებასთან დაკავშირებით<sup>16</sup>. უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობის არსებობა. აღნიშნული წინაპირობა უნდა არსებობდეს არა მხოლოდ უმოქმედობით დანაშაულის ამსრულებლობისას, არამედ ასევე დახმარების დროსაც.

მაშინ, როცა გარანტიორის მიერ დაგეგმილი ყაჩაღობის შესახებ მსხვერპლისთვის ან სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეუტყობინებლობა ყაჩაღობაში დახმარებად კვალიფიცირდება, არაგარანტიორის უმოქმედობა დაკვალიფიცირდება არა როგორც ყაჩაღობაში თანამონაწილეობა, არამედ 376-ე მუხლით (დანაშაულის შეუტყობინებლობა).

<sup>10</sup> მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., იქვე, გვ. 242.

<sup>11</sup> მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., იქვე, გვ. 246.

<sup>12</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 198.

<sup>13</sup> ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, ქართულად თარგმნა ზ. არსენიშვილმა, რედაქტორი ი. დვალიძე, 2010, გვ. 334, ველის ნომერი 582.

<sup>14</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 338.

<sup>15</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 63-64; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 335.

<sup>16</sup> წერეთელი თ., დასახ. ნაშრ., გვ. 180-182.

### 3. თანამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნა ყაჩაღობის დროს

ყაჩაღობის დასჯადობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ყაჩაღობაში თანამსრულებლობის და დახმარების ერთმანეთისგან გამიჯვნა. როგორც ცნობილია, დამხმარეა ის, ვინც ქმნის პირობებს დანაშაულის ჩასადენად. ეს შეიძლება გამოიხატოს ყაჩაღობის ამსრულებლისთვის იარაღის გადაცემაში, ავტომანქანის თხოვებაში, რომლითაც ამსრულებელი შემთხვევის ადგილამდე უნდა მივიდეს, წინასწარ შეპირებაში, რომ გაასაღებს ყაჩაღობის შედეგად მოპოვებულ საქონელს და სხვა.

საკამათო საკითხად მიიჩნევა იმ პირის ქმედების კვალიფიკაცია, ვინც ყაჩაღობის დროს კარებთან დგას და ბინაში შესულ ამსრულებელს გარეთ ელოდება. თუ გარეთ მდგომი პირი მუქარას გარედან ახორციელებს და წვლილი შეაქვს დაზარალებულის ნების პარალიზებაში, გარეთ მდგომი პირი თანამსრულებლად უნდა ვცნოთ, მაგრამ მაშინ, როცა გარეთ მდგომი ასეთ მოქმედებას არ ასრულებს და მხოლოდ დარაჯის ფუნქციას ითავსებს, ჩნდება კითხვა, საქმე გვაქვს თანამსრულებელთან თუ დამხმარესთან? ერთ-ერთი შეხედულებით, რომელსაც მ. ტურავა გამოთქვამს, აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა თანამსრულებელი. ავტორი საკითხის ამგვარად გადანყვეტის საფუძვლად ფუნქციონალურ თეორიას მიიჩნევს. დარაჯად მდგომი პირი მ. ტურავას შეხედულებით ფუნქციონალური თანამსრულებელია. დარაჯად მდგომი პირის დამხმარედ მიჩნევა, ავტორის თვალსაზრისით, მხოლოდ ფორმალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით არის შესაძლებელი, რომელიც მისივე თქმით, მოძველებულია. სსკ-ის 22-ე მუხლის მიხედვით, ამსრულებელი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანა-

შაული, არამედ ასევე ისიც, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში. დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობს ის პირიც, ვინც დანაშაულის ჩადენის უშუალო პროცესში ხელს უწყობს ამსრულებელს და უადვილებს მას ქმედების შემადგენლობის განხორციელებას<sup>17</sup>.

ყაჩაღობის დროს დარაჯად მდგომი პირის თანამსრულებლად მიჩნევას მხარს უჭერს ასევე ა. ოხანაშვილიც, რომელიც იზიარებს გორის რაიონული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას, სადაც ყაჩაღობის თანამსრულებლად ცნეს პირები, რომლებიც ოქროულობის მაღაზიაში შესულ თავდამსხმელს, წინასწარ შემუშავებული ერთობლივი გეგმის შესაბამისად, მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე ელოდებოდნენ, რათა არავინ შეეშვათ მაღაზიაში და, საჭიროების შემთხვევაში, მაღაზიაში შესული თავდამსხმელისთვის შეეტყობინებინათ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ<sup>18</sup>. თუმცა, ა. ოხანაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ მეთვალყურედ მდგომი პირის ქმედების კვალიფიკაციის საკითხი ყოველთვის ერთნაირად კი არ უნდა გადანყვედეს, არამედ დიფერენცირებულად, კონკრეტულ შემთხვევათა გათვალისწინებით<sup>19</sup>. დასახელებული ავტორი თანამსრულებლობის საკითხის გადანყვეტას მხარს უჭერს არა თითოეული პირის წვლილის განცალკევებულად შეფასებით, არამედ მხოლოდ მათ ერთმანეთთან კავშირში, განხორციელებული ქმედების ფუნქციური მნიშვნელობის გათვალისწინებით<sup>20</sup>.

ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ბინაში უკანონო შეღწევით ჯგუფური ყაჩაღობის დროს არ არის აუცილებელი ყველა თანამსრულებელი შევიდეს ბინაში<sup>21</sup>, მაგრამ არ აკონკრეტებს, რას ეფუძნება საკითხის ასეთი გადანყვეტა ან საკითხი ყოველთვის უნდა გადანყვედეს თუ არა ერთნაირად.

მეორე მოსაზრებით, დარაჯად მდგომის დროს დამხმარე-თანამონაწილეობასთან გვაქვს

<sup>17</sup> ტურავა მ., სისლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 336-337.

<sup>18</sup> ოხანაშვილი ა., თანამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით, წიგნში: გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 279, 260, 280.

<sup>19</sup> ოხანაშვილი ა., დასახ. ნაშრ., გვ. 276.

<sup>20</sup> ოხანაშვილი ა., დასახ. ნაშრ., გვ. 274, 280.

<sup>21</sup> კვარაცხელია რ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 205.

საქმე და თანამსრულებლობა გამოირიცხება<sup>22</sup>. ამავე მოსაზრებას გამოთქვამს პატივცემული იუბილარი<sup>23</sup>. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულია არა მხოლოდ ქართულ, არამედ აგრეთვე გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც<sup>24</sup>. თუ საკითხი გადაწყდა პირველი შეხედულების მიხედვით, მოხდება თანამსრულებლის ცნების გაფართოება. საქართველოს სსკ-ის მიხედვით, თანამსრულებელია ის, ვინც სხვასთან (თანამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში. დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობა, მეორე შეხედულების მიხედვით, განიმარტება, როგორც ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში უშუალო მონაწილეობა. ყაჩაღობის დროს გარეთ, ბინის კართან მდგომი პირი ასეთ ფუნქციას ყოველთვის არ ითავსებს.

როდესაც ვმსჯელობთ იმაზე, თანამსრულებელია თუ დამხმარე ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობის დროს გარეთ, ბინის კართან მდგომი პირი, უნდა გავითვალისწინოთ, ვინ არის დამხმარე და რა ფუნქციას ასრულებს ის დანაშაულის განხორციელების დროს. თუ გვექნება პასუხი აღნიშნულ კითხვაზე, არ გავგიჭირდება სწორი სამართლებრივი შეფასება იმ პირის ქმედებისა, რომელიც ბინაში შეღწევით ყაჩაღობის დროს კართან იდგა დარაჯად.

დახმარება, როგორც აღნიშნული სიტყვაც

მიუთითებს, გულისხმობს დანაშაულის ჩადენაში წვლილის შეტანას. იმას, ვინც ეხმარება ამსრულებელს, წვლილი შეაქვს დანაშაულის ჩადენაში. გერმანულ სისხლის სამართალში მოცემული დეფინიციის თანახმად, დანაშაულში ასეთ წვლილის შეტანასთან გვაქვს საქმე, როცა ხორციელდება ქმედება, რომელიც ამსრულებლის ძირითად ქმედებას შესაძლოს ხდის, ამარტივებს ან ამსრულებლის მიერ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას აძლიერებს. საკამათოდ მიიჩნევა საკითხი იმის შესახებ, დამხმარე არის თუ არა ის პირი, რომლის ქმედების გარეშეც ამსრულებელი დანაშაულის ჩადენას მაინც შეძლებდა<sup>25</sup>. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ავტორი, როგორც თვითონ აღნიშნავს, თანამსრულებლობის და დამხმარის გამიჯვნასთან დაკავშირებით ეყრდნობა ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორიას<sup>26</sup>. ანალოგიური მიდგომა იკვეთება ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ავტორთა ერთი ნაწილის მხრიდან, როცა თანამსრულებლად მიიჩნევენ იმას, ვინც დანაშაულის განხორციელება-არგანხორციელების საკითხს წყვეტს, ქმედებაზე ფუნქციურად ბატონობს<sup>27</sup>, მაგრამ დარაჯს არ მიაკუთვნებენ ასეთ ფიგურას და თვლიან არა

<sup>22</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 135-137; თოდუა ნ., ნიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2019, გვ. 452; სულაქველიძე დ., ქმედებაზე ბატონობა და დანაშაულში თანამონაწილეობა, ნიგნში: ტურავა მ., (რედ.) სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 207; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 153. ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხის დასახელებული ნაშრომი კარგად მიუთითებს იმაზე, რომ ავტორი თანამსრულებლობის და დახმარების გამიჯვნასთან დაკავშირებით იზიარებს ქმედებაზე ბატონობის თეორიას, ხოლო დარაჯად მდგომ პირს მიიჩნევს არა თანამსრულებლად, არამედ დამხმარედ. შესაბამისად, არ არის გასაზიარებელი ის მოსაზრება, რომ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი თითქოს ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორიას მხარს უჭერდეს. იხ. ოხანაშვილი ა., თანამსრულებლობის

დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით, ნიგნში: გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 259, მე-15 სქოლიო.

<sup>23</sup> გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 280.

<sup>24</sup> Heinrich B., *Strafrecht*, AT, 5. Aufl., Stuttgart, 2019, S. 586, Rn. 1320.

<sup>25</sup> Heinrich B., *ebenda*. არ შეიძლება უარვეთ იმ პირის დამხმარის სახით დანაშაულში მონაწილეობა, ვინც ასრულებს ისეთ ქმედებას, რომლის გარეშეც ამსრულებელი დანაშაულის ჩადენას მაინც შეძლებდა. მაგალითად, კიბის თხოვება სხვის ბინაში შესასვლელად. თუ აღნიშნულ ქმედებას დახმარებად არ მივიჩნევდით, მეტად შევზღუდავდით დამხმარის ცნებას.

<sup>26</sup> Heinrich B., *ebenda*, S. 528, Rn. 1222.

<sup>27</sup> სულაქველიძე დ., ქმედებაზე ბატონობა და დანაშაულში თანამონაწილეობა, ნიგნში: ტურავა მ., (რედ.) სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 203.

თანამსრულებლად, არამედ დამხმარედ<sup>28</sup>. ავტორის მოსაზრებით, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული თანამსრულებლობის და დახმარების ერთმანეთში აღრევა, თანამსრულებლობის და დახმარების გასამიჯნად უნდა იქნას გამოყენებული ქმედებაზე ბატონობის მკაცრი თეორია, უნდა მოხდეს ქმედებაზე ბატონობის შეზღუდულად განმარტება და მისი მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა<sup>29</sup>.

საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლში (მე-3 ნაწილი) მოცემულია დამხმარის მოკლე განმარტება, რომლის თანახმადაც, დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყობს დანაშაულის ჩადენას. ასეთი ხელშეწყობა სხვადასხვა ქმედებით შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ 24-ე მუხლში არ არის მოცემული იმ ქმედებათა თუნდაც სანიმუშო ჩამონათვალი, რომელიც მიიჩნევა დანაშაულის ჩადენაში ხელშეწყობად.

ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, დამხმარეა ის, ვინც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას იარაღის ან საშუალების მიწოდებით, **დაბრკოლების აცილებით**, რჩევა-დარიგებით, განხრახვის განმტკიცებით, დაპირებით, რომ აღმოუჩენს დახმარებას დანაშაულის ჩადენის შემდეგ ან სხვა საშუალებით<sup>30</sup>.

ყაჩაღობის დროს გარეთ ბინის კართან მდგომი პირი, თუ მან ამსრულებელს ტელეფონით უნდა შეატყობინოს საექვო პირის გამოჩენის შესახებ, დამხმარედ უნდა ვცნოთ სწორედ ზემოთ მოცემული დეფინიციის გათვალისწინებით, ვინაიდან ბინის კართან მდგომი პირი, მოცემულ შემთხვევაში ამსრულებელს აძლევს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების შესაძლებლობას, დაბრკოლებას აცილებს თავიდან (დაბრკოლების აცილების ერთ-ერთი სახე)<sup>31</sup>, რითაც ქმნის ამსრულებლის ქმედების განხორციელების პირობას და წვლილი შეაქვს დანაშაულის განხორციელებაში. მართალია, მისი ქმედება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მაგალითად, კიბის თხოვება სხვის ბინაში (სახლში)

მართლსაწინააღმდეგოდ შესაძლებელია, რაც ასევე დანაშაულში დახმარებას წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად გარკვეული სხვაობისა, დანაშაულში წვლილის შეტანის ხარისხობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით, ის მაინც არ უტოლდება თანამსრულებლობას. მაშასადამე, და რაჯად მდგომი პირის მიჩნევა დამხმარედ, შეიძლება დასაბუთდეს როგორც ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის, ისე ქმედებაზე ბატონობის თეორიის მიხედვით.

ბინის კართან მდგომი პირი მაშინ შეითავსებს თანამსრულებლის ფუნქციას, თუ მან ბინაში შიგნით შესვლის გარეშე შეძლო ქმედების შემადგენლობის ნიშნის განხორციელება. როგორცაა, მაგალითად, მუქარა, რაც ახდენს ბინაში მყოფი დაზარალებულის ნების პარალიზებას.

მაშინ, როცა ბინაში შეღწევით ყაჩაღობის დროს კართან მდგომი დარაჯის ქმედების კვალიფიკაციის საკითხი განვიხილეთ, ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს იმ პირის ქმედება, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს ამსრულებელთან სივრცობრივად უფრო ახლოს იმყოფება, არის ამსრულებლის ძირითადი ქმედების მიმდინარეობის ადგილას, ამსრულებლის გვერდით. მაშასადამე, დგას არა ბინის კართან დარაჯად, არამედ იმყოფება ბინაში ამსრულებლის გვერდით. დანაშაულის ადგილზე უბრალოდ ყოფნის სწორი სამართლებრივი შეფასებისთვის, როგორც *კ. როქსინი* მიუთითებს, აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა გავლენა მოახდინა მან დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე და უშუალოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელებაზე. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ყაჩაღობის შემთხვევაში დანაშაულის ადგილზე უბრალოდ ყოფნა მიიჩნია ფსიქიკურ მზრუნველობად და დანაშაულის ადგილზე მყოფი პირი დასაჯა როგორც დამხმარე. მოგვიანებით მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ეს

<sup>28</sup> *სულაქველიძე დ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

<sup>29</sup> *სულაქველიძე დ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 210.

<sup>30</sup> *ნერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 176.

<sup>31</sup> *ნერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 179; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 153.

იმას გულისხმობს, რომ მოქმედების გარეშე შემთხვევის ადგილზე უბრალოდ ყოფნა შეიძლება დახმარებად დაკვალიფიცირდეს, თუ ეს ამსრულებელს უსაფრთხოების განცდას განუმტკიცებს<sup>32</sup>, რაც ფსიქიკურ დახმარებას წარმოადგენს. როქსინი განმარტავს, რომ აქ საჭიროა ერთი მითითება, რომ ამას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როცა „თანყოფნა“ (**Dabeistehen**) განიმარტება კონტექსტუალურად, რომ მანამდე უმოქმედოდ დანაშაულის ადგილზე მყოფს საჭიროების შემთხვევაში ამსრულებლის სასარგებლოდ შეეძლო ზომების მიღება. რაც მეტად მნიშვნელოვანია, აღნიშნული ქმედება მიიჩნევა პოტენციურ თანამსრულებლობად ანუ ისეთ შემთხვევად, როცა ქმედებას აქვს თანამსრულებლობაში გადაზრდის პოტენცია და ამცირებს მსხვერპლის მიერ თავდაცვის შესაძლებლობას<sup>33</sup>. დანაშაულის ადგილზე უმოქმედოდ ყოფნა მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დასჯად დახმარებად, თუ ის ამსრულებელს დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების მოტივაციას უქმნის<sup>34</sup>. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთ დროს ქმედების დასჯადობისთვის მნიშვნელოვან პირობად განიხილავენ გარანტორულ მოვალეობას, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ დანაშაულის განხორციელების დროს ამსრულებელთან ერთად დანაშაულის ადგილზე უბრალოდ ყოფნა, არის უმოქმედობა, ხოლო უმოქმედობის დასჯადობა გარანტორულ მოვალეობას მოითხოვს<sup>35</sup>.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დამნაშავის გვერდით ყოფნა შემთხვევის ადგილზე ყოველთვის არ წარმოადგენს უბრალო უმოქმედობას, რომლის დასჯადობისთვის აუცილებელ პირობად მიჩნეული იქნებოდა გარანტორული მოვალეობის არსებობა. მაგალი-

თად, როცა ყაჩაღობის დროს ყაჩაღობის ამსრულებლის გვერდით თანამზრახველი იმყოფება, როცა ამსრულებელი ძალადობას ან მუქარას ახორციელებს, შეიძლება საკითხი განხილულ იქნას თანამსრულებლობის თვალსაზრისით. მით უფრო დასაშვებია შეიძლება იყოს საკითხის ასეთი გადაწყვეტა, როცა ამსრულებლის გვერდით მყოფი პირი შეიარაღებულია და ეს აღქმადია დაზარალებულისთვის. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება მუქარას კონკლუდენტური ფორმით. დარაჯად მდგომი არ უნდა მივიჩნიოთ სრულიად უმოქმედოდ მყოფ პირად, მაგრამ ამის მიუხედავად, კარებთან მხოლოდ დარაჯად დგომა მაინც ვერ იქნება საკმარისი ყაჩაღობის თანამსრულებლობისთვის, თუ ის დარაჯად, გარეთ კარებთან დგომის დროს არ ასრულებს ყაჩაღობის შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს (მუქარას). თუ დარაჯად დგომა არ არის უბრალო უმოქმედობა, ამსრულებლის გვერდით დგომა, როცა ის ამსრულებელს დანაშაულის გაგრძელების მოტივს უქმნის, საკამათოა, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს უბრალო უმოქმედობად.

როქსინი, ერთი მხრივ, დანაშაულის განხორციელების ადგილზე ყოფნას მიიჩნევს თანამსრულებლობის აუცილებელ პირობად, ვინაიდან ქმედებაზე ბატონობა თუ თანაბატონობა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმას, ვინც დანაშაულის ადგილზე იმყოფება<sup>36</sup>, მაგრამ, მეორე მხრივ, დანაშაულის ადგილზე ყოფნის ყველა შემთხვევას არ მიიჩნევს თანამსრულებლობად და ქმედებას აკვალიფიცირებს როგორც დახმარებას (თანამონანილეობა ვინრო გაგებით), იმის გათვალისწინებით, თუ რა ფუნქციას ასრულებდა დანაშაულის ადგილზე მყოფი პირი. უფრო მეტიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დანაშაულის ადგილზე ყოფნა ცალკეულ შემთხვევებში,

<sup>32</sup> გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულთან დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრებაც არის გამოთქმული, რომ ვინაიდან ასეთი შინაგანი ზეგავლენის მიზეზობრიობა არ არის დადგენადი მტკიცების თვალსაზრისით, ამგვარად მისი დასჯადობა *in dubio pro reo* პრინციპის უგულვებლყოფით, დახმარების მცდელობებსაც მოიცავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. *Roxin C., Strafrecht, AT, Band II, Besondere Erscheinungsformen der Straftat, München 2003, S. 202, §26 Rn. 208.*

როქსინი მიუთითებს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ამსრულებლის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა ძალიან კარგად შეიძლება დადგინდეს. იხ. იქვე.

<sup>33</sup> *Roxin C., Strafrecht, AT, Band II, Besondere Erscheinungsformen der Straftat, München 2003, S. 200, §26 Rn. 204.*

<sup>34</sup> *Roxin C., ebenda, S. 201, §26 Rn. 205.*

<sup>35</sup> *Roxin C., ebenda, S. 201, §26 Rn. 205.*

<sup>36</sup> *Roxin C., ebenda, S. 81-82, §25 Rn. 198.*

როქსინის თვალსაზრისით, საკმარისი არ არის არა მხოლოდ თანაამსრულებლობისთვის, არამედ დახმარებისთვისაც, თუ დანაშაულის ადგილზე მყოფს არ შეუძლია ამსრულებელს შეუქმნას დაწყებული დანაშაულის გაგრძელების მოტივი.

როქსინის მოძღვრების მიხედვით, თუ დანაშაულის ამსრულებელი მოკრივე ბ-ს წაიყვანს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩასადენად იმისთვის, რომ მესაკუთრისგან დაიცვას, რომც არ მოუხდეს ბ-ს ასეთი საქმის განხორციელება, მაინც თანაამსრულებლად უნდა იქნას ცნობილი, ვინაიდან დანაშაულებრივი გეგმისთვის და მისი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი იყო მისი პოზიცია. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ საკითხს იგი ქურდობასთან მიმართებით განიხილავს<sup>37</sup>, ხოლო ქურდობა გერმანული სამართლის მიხედვით ამკარა ხასიათის ქმედებასაც მოიცავს.

როქსინის თანახმად, თუ პირი დგას დარაჯად და ეს მნიშვნელოვანია საქმის ვითარებისთვის, თანაამსრულებლობა არ გამოირიცხება, მაშინაც, როცა დარაჯად მდგომს არ მოუწევს დაცვა მესაკუთრისგან. როქსინის მიხედვით, დარაჯად დგომა დახმარებად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, როცა ეს დანაშაულის დაგეგმვისას პრაქტიკულად უმნიშვნელოდ გამოიყურება<sup>38</sup>.

როგორც მოცემული მსჯელობიდან ირკვევა, როქსინის თეორიით, გადამწყვეტია არა უბრალოდ დარაჯად დგომა, არამედ იმის გათვალისწინება, თუ რა ფუნქციას ასრულებს იგი. იმისთვის, რომ დარაჯად მდგომი თანაამსრულებლად იქნას მიჩნეული, მისი ქმედება უნდა შეფასდეს როგორც მნიშვნელოვანი ნვლილი დანაშაულის განხორციელებაში. დანაშაულის განხორციელებაში შეტანილი ნვლილის მნიშვნელობა კი ფასდება *ex ante* და არა *ex post*. ქმედების მნიშვნელოვანი ფუნქცია მაშინ არ არის სახეზე, როდესაც დანაშაულში მონაწილეობა არ მიიჩნევა აუცილებლად<sup>39</sup>.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მომხრეები ჰყავს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც დარაჯად დგომა შეიძლება მიჩნეულ იქნას დანაშაულის თანაამსრულებლობად მაშინ, როცა დარაჯად მდგომი ამსრულებელს ეხმარება იმაში, რომ თავისი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება შეძლოს ხელის შეშლის გარეშე, რაც მიუთითებს დანაშაულის განხორციელებაში მის მნიშვნელოვან ფუნქციაზე, რომელიც დანაშაულებრივი გეგმითაც იყო გათვალისწინებული. თუმცა, სასამართლო პრაქტიკას დარაჯად დგომის შემთხვევაზე არ გააჩნია ერთიანი მოსაზრება და უბრალოდ დარაჯად მდგომი დამხმარედ მიიჩნევა მაშინ, როცა საქმე ეხება სუპერმარკეტში განხორციელებულ ქმედებას, როცა სხვა პირები სუპერმარკეტში შეიჭრებიან, ამტვრევენ სიგნალიზაციის მოწყობილებას, რომელსაც დამცავი ფუნქცია აქვს და ხსნიან სეიფს<sup>40</sup>. როგორც ჩანს, დანაშაულის განხორციელებაში შეტანილი ნვლილის და განხორციელებული ქმედების ფუნქციის შეფასებისას ითვალისწინებენ თვითონ დანაშაულის ბუნებას და ქმედების შემადგენლობის ნიშნებსაც.

ქმედებაზე ბატონობის მკაცრი თეორიის მიხედვით ყაჩაღობაში თანაამსრულებლობისთვის საჭიროა ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, რაც როქსინის თქმით ქმედებაზე ბატონობის პრინციპიდან გამომდინარეობს. თანაბატონობა შეუძლია მას, ვინც ქმედების განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, ვინც დანაშაულის მომზადებაში შეიტანს მნიშვნელოვან ნვლილს, მაგრამ შემდგომ დანაშაულის განხორციელებას სხვას მიანდობს ხელიდან უშვებს ქმედებაზე ბატონობას<sup>41</sup>. როქსინი თანაამსრულებლობის შესაძლებლობას უშვებს მაშინაც, როცა ბოროტმოქმედი დანაშაულის ადგილზე არ იმყოფება. თანაამსრულებლობისთვის აუცილებელ კრიტერიუმად არ მიაჩნია დანაშაულის ადგილზე ყოფნა<sup>42</sup>. დანაშაულის ჩადენაში მნიშვნელოვანი ნვლილი

<sup>37</sup> Roxin C., ebenda, S. 87-88, §25 Rn. 212.

<sup>38</sup> Roxin C., ebenda, S. 87-88, §25 Rn. 212.

<sup>39</sup> Roxin C., ebenda, S. 87, §25 Rn. 212.

<sup>40</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 62, §2 Rn. 75.

<sup>41</sup> Roxin C., ebenda, S. 81, §25 Rn. 198.

<sup>42</sup> ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს შუნემანიც. Schünemann B., in: LK, 12. Aufl., 2007, §25 Rn. 184.



შეიძლება შეტანილ იქნას დისტანციურადაც. ასეთ ფიგურად როქსინს მიაჩნია ის, ვინც დანაშაულის მსვლელობის დროს ტელეფონით იძლევა მითითებებს. თუ ბოროტმოქმედი დანაშაულის განხორციელების დროს არ მონაწილეობს მოვლენების განვითარებაში, როქსინს ასეთი პირის თანამსრულებლად მიჩნევა შეუძლებლად მიაჩნია. თუმცა, ასეთი პირის დასჯა მას დასაშვებად მიაჩნია შუალობითი ამსრულებლის სახით<sup>43</sup>. როქსინის თვალსაზრისით ბანდის ხელმძღვანელი, რომელიც დანაშაულის მომზადებაში იღებს მონაწილეობას და არა უშუალოდ ქმედების განხორციელებაში, შეიძლება დაისაჯოს შუალობითი ამსრულებლის სახით ორგანიზაციული ბატონობის თვალსაზრისით. თუ შეფი დანაშაულის განხორციელებას „დირიჟორობს“ საქმე ეხება თანამსრულებლობას, მაშინაც, როცა ის დანაშაულის ადგილზე არ იმყოფება<sup>44</sup>.

ბ. შუნემანის მიხედვით, ვინაიდან ამსრულებლობა ქმედების შემადგენლობის განხორციელებას გულისხმობს, შეიძლება თანამსრულებელი ის იყოს, ვინც ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებაზე თანაბატონობას ახორციელებს. ვინც მხოლოდ დანაშაულის მომზადებაში მონაწილეობს, მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მოვლენების განვითარებაზე, მაგრამ არ შეუძლია ბატონობის განხორციელება<sup>45</sup>.

ჰერცბერგის მიხედვით, თანამსრულებელია ის, ვისაც დანაშაულის განხორციელებაში წვლილი შეაქვს დანაშაულის განხორციელების დაწყების სტადიაზე ანუ მცდელობის ეტაპზე ან დანაშაულის დასრულებაში. ამასთან ერთად თანამსრულებლობისთვის აუცილებელია აღნიშნული ქმედების განხორციელება პარტნიორულად (სხვა ამსრულებელთან ერთად)<sup>46</sup>.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ როქსინის შეხედულება თანამსრულებელზე სრულად ვერ იქნება გამოყენებული მოქმედი

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ვინაიდან, ქართული სისხლის სამართლის თანახმად, ის ვინც დანაშაულებრივი დაჯგუფების ხელმძღვანელია და ქმნის პირობებს დანაშაულის ჩასადენად დანაშაულის მომზადების სტადიაზე ან დანაშაულის მსვლელობის დროს ტელეფონით გასცემს მითითებებს, ისჯება არა როგორც ამსრულებელი, არამედ როგორც ორგანიზატორი - თანამონაწილე (სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რომელსაც გერმანული სისხლის სამართალი არ იცნობს.

სუბიექტური თეორიის მიხედვით, თანამსრულებელი შეიძლება იყოს დანაშაულის ის მონაწილეც, რომელიც შემთხვევის ადგილზე ძალადობით ქმედებას არ ახორციელებდა და მის განხორციელებას არც ესწრებოდა. აღნიშნული შეხედულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სუბიექტურ მომენტს, იმას, რომ არსებობს საერთო ნება დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. აღნიშნული თეორია თანამსრულებლობის და თანამონაწილეობისთვის (დახმარება) მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიიჩნევს იმას, მოქმედ პირს ქმედების განხორციელება სურდა თავისთვის, თუ სხვისთვის<sup>47</sup>. თანამსრულებლობისთვის სუბიექტური მომენტი მნიშვნელოვანია, ვინაიდან თანამსრულებლობა, როგორც წესი, ერთიანი განზრახვით მოქმედებას გულისხმობს, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ობიექტურ მომენტს. კერძოდ, რამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დანაშაულის განხორციელებაში, რა სახის მოქმედებით, დანაშაულის რომელ ეტაპზე. მხოლოდ სუბიექტურ მომენტზე დაყრდნობით ყაჩაღობის თანამსრულებელი და თანამონაწილე ერთმანეთისგან ვერ გაიმიჯნება, ვინაიდან შეკვეთით დანაშაულის ამსრულებელს შეიძლება დანაშაული თავისად არ მიაჩნდეს, იმის გამო, რომ იგი მხოლოდ შეკვეთის ამსრულებელია. მაგრამ ამის საფუძველზე შეუძლებელია ყაჩაღობაში

<sup>43</sup> Roxin C., ebenda, S. 82, §25 Rn. 200.

<sup>44</sup> Roxin C., ebenda, S. 86-87, §25 Rn. 210.

<sup>45</sup> Schünemann B., in: LK, 12. Aufl., 2007, §25 Rn. 182. დანაშაულის მომზადების სტადიაზე მონაწილეობით დანაშაულში თანამსრულებლობას გამოიციხავენ

ასევე სხვა ავტორებიც. Bottke W., Mittäterschaft bei gemeinsam fahrlässiger oder leichtfertiger Erfolgserwirkung, GA 2001, S. 472.

<sup>46</sup> Herzberg R.D., Täterschaft, Mittäterschaft und Akzessorität der Teilnahme, ZStW 1987, S. 58.

<sup>47</sup> BGHSt 28, S. 348.

თანამსრულებლობა გამოვრიცხვით, როცა მოქმედი პირი დანაშაულის ჩადენის ადგილზე იმყოფებოდა და თვითონ უშუალოდ მონაწილეობდა ძალადობითი ქმედების განხორციელებაში.

ერთ-ერთი შეხედულებით, თანამსრულებლობისთვის საკმარისი შეიძლება იყოს დანაშაულის მომზადების სტადიაში მონაწილეობა<sup>48</sup>, თუ ის ქმედების განმახორციელებელი თანამსრულებლის გადაწყვეტილებას განამტკიცებს. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, ბანდის შეფიც თანამსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, გაუმართლებელია მისი მიჩნევა წამქეზებლად<sup>49</sup>. ბანდის შეფიცის მიჩნევა წამქეზებლად მართლაც გაუმართლებელია, მაგრამ ასევე საკამათო შეიძლება იყოს თანამსრულებლად იმ პირის მიჩნევა, რომელსაც დანაშაულის ჩადენაში წვლილი შეაქვს არა ქმედების შემადგენლობის განხორციელების, არამედ დანაშაულის მომზადების სტადიაზე. მოცემულ შემთხვევაში ისევ დანაშაულის ორგანიზატორზე (თანამონაწილეზე) შეიძლება ვისაუბროთ საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის თანახმად.

კ. ქიული დანაშაულის მომზადების და დაგეგმვის ორგანიზაციულ წვლილს და დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დროს ფიზიკური მონაწილეობით წვლილის შეტანას თანაბარი რანგის მქონე ქმედებებზე განიხილავს და ორივე შემთხვევაში თანამსრულებლობაზე მიუთითებს. დანაშაულის მომზადების დროს განხორციელებულ ქმედებას თანამსრულებლობისთვის არასაკმარისად მხოლოდ მაშინ მიიჩნევს, როდესაც განხორციელებული ქმედება უმნიშვნელო წვლილს წარმოადგენს<sup>50</sup>. თუმცა, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით მოცემული მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან დანაშაულის დაგეგ-

მვის და ქმედების შემადგენლობის განხორციელების დროს შესრულებულ ქმედებათა მიჩნევა თანაბარი რანგის ქმედებებზე, წაშლიდა ზღვარს ორგანიზატორობასა (თანამონაწილეობას) და თანამსრულებლობას შორის. აღნიშნული განსხვავება არ გამოვრიცხავს ამსრულებლის თუ თანამსრულებლის მონაწილეობას დანაშაულის დაგეგმვის პროცესში. თუმცა, ეს მაინც ვერ იქნება მიჩნეული საკმარისი წინაპირობად თანამსრულებლობისთვის.

თუ ყაჩაღობის დროს ბინის კართან დარაჯად მდგომი გარედან დანაშაულის განხორციელებას ხელმძღვანელობს, ის მხოლოდ დარაჯის ფუნქციას არ ასრულებს და ითავსებს დანაშაულის ორგანიზატორის ფუნქციას, შესაბამისად, ქართული მოქმედი სსკ-ის 24-ე მუხლის მიხედვით უნდა დაისაჯოს, როგორც ორგანიზატორი<sup>51</sup>. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმას, ბინაში შიგნით მოქმედი ამსრულებელი ქურდობის შემადგენლობას ახორციელებს, თუ ყაჩაღობას. ორივე შემთხვევაში გარედან ამსრულებლობისთვის მიუთითებების მიმცემი, ქართული სსკ-ის შესაბამისად, ორგანიზატორი იქნება და არა დამხმარე ან თანამსრულებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თანამსრულებლად მიიჩნევა პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილზე არ იმყოფება და ხელმძღვანელობს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას. აღნიშნული მოსაზრების ავტორის თქმით, საკითხის ასეთ გადაწყვეტას ამყარებს საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილი<sup>52</sup>.

ა. ოხანაშვილის თვალსაზრისით, დანაშაულის ხელმძღვანელი როგორც დანაშაულის თანავტორი თანამედროვე სისხლის სამართალში თანამსრულებლობად მიიჩნევა, რაც ფუნქცი-

<sup>48</sup> Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 463, §17 Rn. 14.

<sup>49</sup> Wessels/Beulke/Satzger, Strafrecht, AT, 49. Aufl., 2019, Rn. 823; Heinrich B., Strafrecht, AT, 6. Aufl., 2019, S. 531, Rn. 1228; Kühl K., Strafrecht, AT, 8. Aufl., 2017, S. 806, §20 Rn. 110.

<sup>50</sup> Kühl K., Strafrecht, AT, 8. Aufl., 2017, S. 806, §20 Rn. 110.

<sup>51</sup> მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 154-155.

<sup>52</sup> ოხანაშვილი ა., თანამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით, წიგნში: გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 277-278.

ონალური თანამსრულებლობის მოძღვრებიდან გამომდინარეობს და რომლის შესაბამისად შესაძლებელია განიმარტოს თანამსრულებლობაზე ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემული რეგულირება. ავტორი დანაშაულში დისტანციური მონაწილეობის ორ შემთხვევას გამოყოფს: ერთი, როცა ხელმძღვანელობა ხდება შორი მანძილიდან, დისტანციურად და მეორე, როცა ხელმძღვანელობა ხდება დანაშაულის მიმდინარეობის ადგილზე<sup>53</sup>.

როგორც ჩანს, ავტორი ანგარიშს არ უწევს ორგანიზატორის საკანონმდებლო დეფინიციას, რომელიც მოცემულია საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომლის თანახმადაც, ის, ვინც ხელმძღვანელობს დანაშაულის განხორციელებას, არის ორგანიზატორი და არა ამსრულებელი. ორგანიზატორი შეიძლება ამსრულებლის ფუნქციასაც ითავსებდეს, ისევე როგორც წამქეზებლის ან დამხმარის, მაგრამ ამისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ დანაშაულის ხელმძღვანელობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი საშიშროებით შეიძლება არ ჩამოუვარდებოდეს დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა ქმედებებს. 25-ე მუხლის მე-3 ნაწილში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ თუ ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე დანაშაულის თანამსრულებლის ფუნქციას ითავსებდნენ, 25-ე მუხლზე მითითება არ არის საჭირო ქმედების კვალიფიკაციის დროს, რაც იმით არის განპირობებული, რომ ამსრულებელი დანაშაულის ცენტრალური ფიგურაა, გარდა ამისა, სსკ-ის კერძო ნაწილის ნორმები ამსრულებელზეა გაანგარიშებული და ქმედების კვალიფიკაციის დროს საჭირო არ არის თანამონაწილეობის ნორმაზე მითითება, იგი თანამონაწილის ფუნქციას რომც ითავსებდეს. დანაშაულის ხელმძღვანელის, მაშასადამე, დანაშაულის ორგანიზატორის მიჩნევა თანამსრულებლად შესაძლებელია გერმანული და არა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. საკითხი იმის შესახებ, ხომ არ არის საჭირო ორგანიზატორის

ქმედების დასჯადობასთან დაკავშირებით ცვლილებები ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, მოითხოვს დამატებით სამეცნიერო დისკუსიას და დაფიქრებას. აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ ორგანიზატორს ყოველთვის დანაშაულში თანამონაწილედ არც ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა მიიჩნევს და ითვალისწინებს ისეთ შემადგენლობებს, სადაც ფაქტობრივად ორგანიზატორი სამართლებრივად ამსრულებლადაა წარმოდგენილი (სსკ-ის 223-ე მუხ. 1-ლი ნაწილი, 224-ე მუხ. 1-ლი ნაწილი, 225-ე მუხ. 1-ლი ნაწილი).

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ამსრულებლის და დამხმარის გასამიჯნად უნდა იქნას გათვალისწინებული დროის ფაქტორი. კერძოდ, ის, ვინც მოქმედებს დანაშაულის (ქმედების შემადგენლობის) განხორციელების დროს, არის თანამსრულებელი და არა დამხმარე. აღნიშნული მოსაზრების გაზიარებისას დარაჯად მდგომი პირი უნდა გვეცნო თანამსრულებლად, მაგრამ ეს შეხედულება სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში<sup>54</sup>. დამხმარე შეიძლება მოქმედებდეს როგორც დანაშაულის ჩადენამდე, ისე დანაშაულის ჩადენის დროსაც<sup>55</sup>. ყაჩაღობაში, და ზოგადად დანაშაულში, თანამსრულებლის და დამხმარის გამიჯვნისთვის საკმარისი კრიტერიუმად არ შეიძლება ვცნოთ მხოლოდ დროის ფაქტორი.

#### 4. დასკვნა

საკითხის განხილვის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ დარაჯად მდგომი პირის ქმედების კვალიფიკაცია ყოველთვის არ შეიძლება ერთნაირად გადაწყდეს და მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნას გათვალისწინებული ის, თუ რა როლს და ფუნქციას ასრულებდა დარაჯად მდგომი დანაშაულის ჩადენის დროს, მისი

<sup>53</sup> Okhanashvili A., Die Strafbarkeit des Organisationstäters und des Organisators in Deutschland und Georgien, Baden-Baden, 2021, S. 410. ასევე იხილეთ ამავე გვერდზე 2309-ე სქოლიო.

<sup>54</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 135-136.

<sup>55</sup> წერეთელი თ., დასახ. ნაშრ., გვ. 177.

ქმედება ხომ არ შეიცავდა ქმედების შემადგენ-  
ლობის ნიშნებს, ვინაიდან თანაამსრულებლო-

ბისთვის იგი წარმოადგენს აუცილებელ ობიექ-  
ტურ ნინაპირობას.

# სამართლებრივი სიკეთე ნარკოტიკული დანაშაულისას

თემურ ცქიტიშვილი

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი, თსუ,

თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

## 1. შესავალი

ქმედების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი სამართლებრივი სიკეთეა. სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემაღენლობის მიზანია დაიცვას სამართლებრივი სიკეთე. ნორმა, რომელიც სამართლებრივი სიკეთის დაცვისკენ არ არის მიმართული, არალეგიტიმურია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სისხლის სამართალს ეხება, ვინაიდან აღნიშნული დარგი უკიდურესი საშუალებაა სახელმწიფოს ხელში<sup>1</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც საუბარია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციაზე, კითხვა, რაც პირველ რიგში დაისმის, არის შემდეგი: ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობით სახელმწიფომ რომელი სამართლებრივი სიკეთე შეიძლება დაიცვას და აღნიშნული სიკეთის დასაცავად რამდენად აუცილებელია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დასჯადობა?

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში თავები, როგორც წესი, ისეა ფორმულირებული, რომ მათი სახელწოდებიდან, უმეტეს შემთხვევაში, მკაფიოდ იკვეთება დასაცავი სამართლებრივი სიკეთე. მაგალითად, „დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ“, „დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ“ და ა. შ. მაგრამ,

არის ისეთი თავებიც, რომლებიც სამართლებრივ სიკეთეზე არ მიუთითებენ. კერძოდ, „სატრანსპორტო დანაშაული“, „ნარკოტიკული დანაშაული“ და სხვა. ვინაიდან ეს უკანასკნელი თავები სამართლებრივ სიკეთეზე არაფერს მიუთითებენ, სამართლებრივი სიკეთის საკითხი ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავ სიკეთეზე. წინამდებარე სტატიაში მიმოხილული იქნება აღნიშნული შეხედულებები და ნაჩვენები იქნება ის საფრთხეც, რომელიც სამართლებრივ სიკეთედ „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ მიჩნევასთან არის დაკავშირებული.

## 2. ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთე

სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ნარკოტიკული დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მოსახლეობის ზნეობრივი და ფიზიკური ჯანმრთელობა<sup>2</sup>. ხოლო, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაზე აღნიშნულია, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული სხვა ქმედებებისგან განსხვავებით, აღნიშნული ქმედებისგან დასაცავი სიკეთეა არა მოსახლეობის (ე.ი. განუსაზღვრელ პირთა წრის), არამედ კონკრეტული პირის

<sup>1</sup> ცქიტიშვილი თ., სამართლებრივი სიკეთის დაცვა, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი, „სამართლის ჟურნალი“, 2014, 1, გვ. 357-382; ტურავა მ., სისხლის სამართალი, როგორც სოციალური წესრიგის დაცვის უკანასკნელი საშუალება (კონსტიტუციური და

სისხლისსამართლებრივი ასპექტები), წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 88-114.

<sup>2</sup> თოდუა ნ., წიგნში: ლეკვიშვილი / თოდუა / მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ. 17.

ფიზიკური და ზნეობრივი ჯანმრთელობა. თუმცა, ავტორი იმასაც მიუთითებს, რომ გაუმართლებელია სსკ-ში მსგავსი ხელოვნურად შექმნილი დანაშაულების არსებობა<sup>3</sup>. ვინაიდან ნარკოტიკული საშუალების მოხმარება და ნარკომანია აზიანებს არა სხვის, არამედ მომხმარებლის ჯანმრთელობას, არ არსებობს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების კრიმინალიზაციის საფუძველი, მაგრამ ეს არ ნიშნავს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე სახელმწიფოს მიერ ადამიანებისთვის სრული თავისუფლების მიცემის მიზანშეწონილობას. ამიტომ, ავტორის თვალსაზრისით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება უნდა ინვესტირდეს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რაც თანაზომიერი საშუალება იქნება ნარკომანიის გავრცელების თავიდან ასაცილებლად<sup>4</sup>.

არა მხოლოდ ქართულ, არამედ გერმანულ დოგმატიკაში<sup>5</sup>, აგრეთვე იტალიურ სისხლის სამართალსა და მართლმსაჯულებაში, ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავ სიკეთედ მიიჩნევა როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ისე საზოგადოებრივი უსაფრთხოება და წესრიგი, რომელსაც ხელყოფს ნარკოდამოკიდებული პირებისგან მომდინარე კრიმინოგენული იმპულსები, აგრეთვე ორგანიზებული დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია ნარკობაზართან. ასევე მხედველობაში მიიღება ახალი თაობის დაცვა<sup>6</sup>. თუმცა, ავტორი აკრიტიკებს სამართლებრივი სიკეთის ასეთ გაგებას და მას მიუღებლად მიიჩნევს. ავტორის კრიტიკის საგანს შეადგენს ის, რომ „საზოგადოებრივი წესრიგი“, რომელიც ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავ სიკეთედაა მიჩნეული, წარმოადგენს ბუნდოვან, ყოვლისმომცველ ცნებას, რომელიც განსაზღვრულობის პრინციპს არ შეესაბამება. ის იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სისხლისსამართლებრივი ჩარევა დასაბუთდეს ყველაფრის მიმართ, რაც უწესრიგობად იქნება განსაზღვრული<sup>7</sup>.

„საზოგადოებრივი წესრიგი“ ხასიათდება ბუნდოვანი კონტურებით. იგი ერთდროულად მოიცავს სხეულებრივ ხელშეუხებლობას, სიცოცხლის და საკუთრების უსაფრთხოებას და ა. შ. ის არის უფრო მეტად სამართლებრივ სიკეთეთა პრედიკატი, ვიდრე ერთი სამართლებრივი სიკეთე<sup>8</sup>. ავტორი პრობლემურად მიიჩნევს სამართლებრივ სიკეთედ „საზოგადოებრივი“ ჯანმრთელობის განხილვას, ვინაიდან მისი თვალსაზრისით, იგი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ერთი ან რამოდენიმე ადამიანის ჯანმრთელობა. მაშასადამე, ავტორის თვალსაზრისით, ნარკოტიკული დანაშაულისგან დაცვის ღირს, ლეგიტიმურ სიკეთედ რჩება ჯანმრთელობა<sup>9</sup> (მაგრამ არა „საზოგადოებრივი“).

მ. შალიკაშვილის თვალსაზრისით, ნარკოტიკული დანაშაული არა მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის, არამედ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგაც არის მიმართული<sup>10</sup>. ავტორი ყურადღებას ამახვილებს არა მოსახლეობის, არამედ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე.

ვინაიდან ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული ქმედებებისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთეზე განსხვავებული მიდგომაა, უმჯობესია თავიდანვე სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებით მსჯელობა ორი მიმართულებით წარიმართოს: 1) რეალურად რა სახის სიკეთის ხელყოფა ხდება ნარკოტიკული საშუალების მოხმარებით და 2) ზოგადად ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავ სიკეთეს რა წარმოადგენს.

### 3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია ნარკოტიკული საშუალების შექმნისგან, მოხმარებისგან და გასაღებისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთეზე

მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს

<sup>3</sup> თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 118.

<sup>4</sup> თოდუა ნ., გოგშელიძე რ., ნარკოტიკული დანაშაული, თბ., 2004, გვ. 8-9.

<sup>5</sup> Malek K., Betäubungsmittelstrafrecht, 4. Auflage, München 2014, S. 11, Kap. 2., Rn. 2.

<sup>6</sup> Cavaliere A., Ansätze zur Kritik des Drogenstrafrechts – aus einer italienischen Perspektive, Roxin-FS, zum 80. Geburtstag, Band 2., 2011, S. 1731.

<sup>7</sup> Cavaliere A., ebenda, S. 1731.

<sup>8</sup> Cavaliere A., ebenda, S. 1732.

<sup>9</sup> Cavaliere A., ebenda, S. 1732.

<sup>10</sup> შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, თბ., 2017, გვ. 173.

2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებაში ერთმანეთისგანაა გამიჯნული სიკეთე, რომელსაც მარიხუანის მოხმარება ხელყოფს და სიკეთე, რომელსაც საფრთხეს უქმნის მარიხუანის ბრუნვა. თუ მარიხუანის მოხმარება მომხმარებლის ჯანმრთელობას ვნებს, მარიხუანის უკანონო ბრუნვა ადამიანთა ჯანმრთელობას და საზოგადოებრივ წესრიგს უქმნის საფრთხეს. ამდენად, მარიხუანის ბრუნვის რეგულირება სწორედ დასახელებული სიკეთის დაცვას ემსახურება. რაც შეეხება მარიხუანის მოხმარებას, მისი აკრძალვა მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვას შეიძლება ხელს უწყობდეს, მაგრამ მისი ეფექტი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვაზე არ ამოიწურება მხოლოდ უშუალოდ მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვით<sup>11</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ნარკოტიკული საშუალების შემძენი, გამსაღებელთან ერთად, ქმნის „საბაზრო მოთხოვნას“, რაც ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. მომხმარებელი, გამსაღებელთან შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ხელს უწყობს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვას, რომლის პრევენციაც სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს<sup>12</sup>.

ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება შეუძლებელია მისი შეძენის გარეშე. იმისთვის რომ ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელმა ნარკოტიკი მოიხმაროს, აუცილებელია, რომ მომხმარებლის ხელში მოხვდეს. ამდენად ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას წინ უძღვის მისი შეძენა ან დამზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების, მათ შორის მარიხუანის, მოხმარების აკრძალვა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნის მისაღწევ გამოსადეგ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ქმედება ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ სხვა ქმედებებთან

შედარებით ნაკლებად საფრთხის შემქმნელია საჯარო ინტერესებისათვის<sup>13</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოცემული მსჯელობა იმაზე მიუთითებს, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების, მათ შორის მარიხუანის, მოხმარება არა უშუალოდ, არამედ ირიბად მაინც ქმნის საფრთხეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის, კოლექტიური სიკეთისთვის, რაც ნარკოტიკულ ნივთიერებაზე „საბაზრო მოთხოვნის“ გაზრდაში მდგომარეობს. მოხმარება-მიწოდების კანონიდან გამომდინარე, თუ არ არის მოთხოვნა (მომხმარება), აზრს დაკარგავს მიწოდებაც (დამზადება).

#### 4. ნარკოტიკის შედეგად სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი

ლიტერატურაში კანაფის მოხმარებასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი იწვევს ეიფორიის და განტვირთვის დროებით ეფექტს. შიზოფრენიულ გამოვლენებთან მისი კავშირი არ დასტურდება. მიუთითებენ კოორდინაციასთან დაკავშირებული სირთულეების გამოწვევაზე. რაც შეეხება სიკვდილიანობის შემთხვევებთან ნარკოტიკების და კერძოდ, კანაფის მოხმარების დაკავშირებას, ამ თვალსაზრისით, 30 ევროპული ქვეყნიდან მხოლოდ ფინეთი სახელდება. თუმცა, დადგენილი არ არის კანაფის მომხმარებელთა სიკვდილიანობის შემთხვევებში ლეტალური შედეგი გამოიწვია მხოლოდ კანაფის მოხმარებამ, თუ კანაფთან ერთად სხვა ნარკოტიკულმა საშუალებებმაც. უფრო სავარაუდოდ მიიჩნევენ მეორე შემთხვევას<sup>14</sup>.

ლიტერატურაში მიუთითებენ კანაფის ხშირი მოხმარების ჯანმრთელობისთვის საშიშ შედეგებზე. თუმცა, ამასთან ერთად ერთმანეთისგან მიჯნავენ კანაფის და მძიმე ნარკოტიკის მოხმარებით გამოწვეულ საფრთხეს<sup>15</sup>.

ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი პრობლემების მკვლევარები აღნიშნავენ, რომ

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება (ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), პუნქტი 17.

<sup>12</sup> პუნქტი 18.

<sup>13</sup> პუნქტი 19.

<sup>14</sup> *Cavaliere A., Ansätze zur Kritik des Drogenstrafrechts – aus einer italienischen Perspektive, Roxin-FS, zum 80. Geburtstag, Band 2., 2011, S. 1735.*

<sup>15</sup> *Cavaliere A., ebenda, S. 1736.*

ალკოჰოლის და თამბაქოს ხშირი მოხმარება ჯანმრთელობისთვის უფრო საშიში შეიძლება იყოს, ვიდრე კანაფის. ალკოჰოლის მოხმარება ინვეეს საყლაპავის და ღვიძლის კიბოს, ციროზს<sup>16</sup>. თუმცა, ლიტერატურაში სანინააღმდეგო მოსაზრებაც არის გამოთქმული, რომლითაც გაკრიტიკებულია მარიხუანის მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებისთვის მიკუთვნება. აღნიშნული შეხედულებით, მარიხუანის მოხმარება მიჩნეულია როგორც მომხმარებლისთვის, ისე გარშემო მყოფთათვის სერიოზული საფრთხის შემქმნელ ქმედებად<sup>17</sup>.

## 5. „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ დაცვაზე, როგორც ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველზე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები

### 5.1. მოსახლეობის ჯანმრთელობა როგორც უნივერსალური სიკეთე

უნივერსალური სამართლებრივი სიკეთე რამდენადაც ინდივიდუალურ ინტერესებს ემსახურება, ჩნდება კითხვა, სამართლებრივი სიკეთის ასეთი გაგება რამდენად შეესაბამება მოქმედ სისხლის სამართალს ნარკოტიკული დანაშაულების დასჯადობასთან დაკავშირებით. გერმანულ დოგმატიკაში გაბატონებული მოსაზრებით, ნარკოტიკული დანაშაულების დასჯის მიზანია „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ („Volksgesundheit“) დაცვა, რომელიც ცალკეულ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვით არ ამოიწურება, არამედ მიმართულია მთელი მოსახლეობისკენ<sup>18</sup>.

მოსახლეობის ჯანმრთელობის როგორც კოლექტიური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიუთითებენ იმას, რომ მოსახლეობის სხეულზე (Volksgesundheit) როგორც ცალკეულ ინდივიდთა სხეულის ჯამზე საუბარი

შესაძლებელია მეტაფორული თვალსაზრისით. გარდა ამისა, მიუთითებენ იმაზეც, რომ მოსახლეობა არ წარმოადგენს ორგანულ ერთიანობას დამოუკიდებელი სხეულით, რომელიც შეიძლება ავად ან ჯანმრთელად იყოს<sup>19</sup>.

ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების შექმნის მოტივად მიიჩნევა არა ცალკეულ ადამიანთა ჯანმრთელობის, არამედ მთელი საზოგადოების დაცვა იმ საფრთხისგან, რომელიც ნარკოტიკული დანაშაულებიდან მომდინარეობს<sup>20</sup>. მოსახლეობის ჯანმრთელობა უფრო მეტად მიიჩნევა, ვიდრე მოსახლეობის ყველა წევრის ფიზიკური ჯანმრთელობის ჯამი. ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სიკეთე უნივერსალურ სიკეთედ ისევეა მიჩნეული, როგორც სატრანსპორტო დანაშაულებში. შესაბამისად, აღნიშნული დანაშაული არ განიხილება ისეთ დანაშაულად, სადაც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება იქნებოდა საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა<sup>21</sup>.

კ. ვებერი გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სიკეთედ მიიჩნევა ცალკეულ პირთა და მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობას, აგრეთვე სოციალურ თანაცხოვრებას, რომელიც დაცულია სოციალურად საზიანო ზეგავლენისგან, ახალგაზრდობის დაცვის და ორგანიზებული დანაშაულისგან დაცვის თვალსაზრისით<sup>22</sup>. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო მარიხუანის ფლობის დასჯადობის ლეგიტიმურ მიზნად ასევე განიხილავდა ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისგან დაცვას. არათანაზომიერი ჩარევის აკრძალვა არ აწესებს იმის ვალდებულებას, რომ ნარკოტიკების ფლობასთან დაკავშირებით დამნაშავის მოტივაცია გაითვალისწინოს<sup>23</sup>. გენერალურპრევენციული თვალსაზრისით გამართლებულია, რომ ქმედების შემადგენლობებმა მოიცვას ყველა ის

<sup>16</sup> Cavaliere A., ebenda, S. 1736.

<sup>17</sup> გაბიანი ა., ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი ბინადრები, თბ., 2012, გვ. 25-26.

<sup>18</sup> Pasedach Ch., Verantwortungsbereiche wider Volksgesundheit, Berlin, 2012, S. 146; Patzak, in: Körner/Patzak/Volkmer, Betäubungsmittelgesetz, 9. Auflage, München 2019, S. 437, §29, Teil 4, Rn. 1.

<sup>19</sup> Rigopoulou M., Grenzen des Paternalismus im Strafrecht, Berlin, 2013, S. 145.

<sup>20</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 146-147.

<sup>21</sup> Beulke/Schröder, Abgabe von Rauschgift und bewußte Selbstgefährdung, NSTZ 1991, S. 394.

<sup>22</sup> Weber K., BtMG, Kommentar, 5. Auflage, München 2017, S. 47-48, §1 Rn. 3.

<sup>23</sup> „Das Übermassverbot verpflichtet nicht dazu, die Motivation des Täters durch eine engere Begriffsbestimmung des Besitzes von Betäubungsmitteln zu berücksichtigen“. ixileT: NSTZ 1997, S. 498.



ქმედება, რომელიც კანაფის პროდუქტების არანებადართული მიმოქცევის საფრთხეს ქმნის. მხოლოდ პოლიცია ვერ უზრუნველყოფს იმ საფრთხის თავიდან აცილებას, რაც დაკავშირებულია ნარკოტიკების არაკონტროლირებადი ბაზრის მონაწილეთა მიერ ნარკოტიკული საშუალების ფლობასთან და ნარკოტიკების გავრცელების შესაძლებლობასთან<sup>24</sup>.

საზოგადოების სამართლებრივი სიკეთე (უნივერსალური სამართლებრივი სიკეთე) წარმოადგენს დაუსრულებელი დისკუსიის საგანს. თუმცა, გერმანელი მეცნიერი *კ. როქსინი* მიუთითებს, რომ კრიტიკა ეხება არა საზოგადოების სამართლებრივ სიკეთეს, არამედ მხოლოდ ცნების გამოყენებას. ასეთი (კრიტიკის ღირსი) გამოყენება მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების სამართლებრივი სიკეთის ზოგადი ბუნდოვანი დეფინიციის კონსტრუირება ხდება იქ, სადაც დაცვის ღირსი ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას საერთოდ არ აქვს ადგილი. როცა ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართალი სამართლებრივ სიკეთედ „მოსახლეობის ჯანმრთელობას“ მიიჩნევს, შეიძლება დასჯადობა განხორციელდეს იქ, სადაც ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის არც დაზიანება და არც მისთვის საფრთხის შექმნა მომხდარა. ვინაიდან რეალურად „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ არ არსებობს<sup>25</sup>.

ნარკოდანაშაულების დასჯადობის მიზანთან და ლეგიტიმაციის საფუძველთან დაკავშირებით საყურადღებოა გერმანული კანონმდებლობის განმარტებით ბარათში გამოთქმული მოსაზრება, რომელსაც თუ გავითვალისწინებთ, კანონმდებლობის მიზნად მიჩნეულია საზოგადოების და მისი ცალკეული წევრებისთვის დიდი საფრთხის აცილება. საქმე ეხება ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების დაცვას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისგან, ინდივიდუალობის, თავისუფლების ხელყოფისაგან. აგრეთვე საქმე ეხება ოჯახის სიმტკიცის დაცვას, რომელსაც ნარკომანია საფრთხეს უქმნის. გარდა ამისა, საქმე

ეხება იმას, რომ საზოგადოების ფუნქციონირების უნარს საფრთხე არ უნდა შეექმნას. მაშასადამე, ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთე უფრო ვრცელია, ვიდრე ცალკეულ ადამიანის ჯანმრთელობა ან სულაც მრავალი ადამიანის ჯანმრთელობა ერთად აღებული<sup>26</sup>.

ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთე განიხილება როგორც სხვადასხვა ინტერესების კრებითი ცნება, სადაც არ არსებობს კონკრეტიზებადი სამართლებრივი სიკეთე. თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობა სამართლებრივ სიკეთედ იქნა მიჩნეული, პრინციპულად შეიძლება ყველა ქმედება, რომელიც სოციალურად საზიანოა სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგნად იქცეს. ამგვარად, სამართლებრივი სიკეთე კარგავს სისხლის სამართლის ლეგიტიმაციის პოტენციას. სამართლებრივ სახელმწიფოში თითოეული სამართლებრივი სიკეთე საზოგადოების ფუნქციონირების უნარის დაცვას ემსახურება. აღნიშნული სიკეთის უკონტურობის (კონტურის არარსებობის) გათვალისწინებით, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის შემოფარგვლა და კონკრეტიზაცია, სამართლებრივი სიკეთის, თვალსაზრისით სისტემურად შეუძლებელად მიიჩნევა<sup>27</sup>.

ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავი სამართლებრივ სიკეთედ ასევე ასახელებენ საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და სახელმწიფო წესრიგს<sup>28</sup>. ნარკოტიკული დანაშაულებისგან საზოგადოებრივი უსაფრთხოების და სახელმწიფო წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით საინტერესოა ქართული სსკ-ის პოზიცია. ქართულ სსკ-ში ნარკოტიკული დანაშაულების თავი მოქცეულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში, რის გამოც შეიძლება ითქვას, რომ ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობაც აღნიშნულ სიკეთეს მიიჩნევს ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავ ერთ-ერთ სიკეთედ, ვინაიდან სსკ-ში თავებად და კარებად დაყოფა სწორედ სამართლებრივი სიკეთის მიხედვით

<sup>24</sup> NStZ 1997, S. 498.

<sup>25</sup> Roxin, Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, München, 2006, S. 17, §2 Rn. 10.

<sup>26</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 147.

<sup>27</sup> Rigopoulou M., Grenzen des Paternalismus im Strafrecht, Berlin, 2013, S. 148.

<sup>28</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 147.

ხდება. საყურადღებოა ის, რომ აღნიშნულ კარში ცალკე არის გამოყოფილი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავი, რომელიც ნარკოტიკული დანაშაულების თავისგან გამიჯნულია, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავ ერთ-ერთ სიკეთედ მიჩნეულ იქნას მოსახლეობის ჯანმრთელობა. ის, რომ ნარკოტიკული დანაშაულები ცალკე თავად იქნა გამოყოფილი, განპირობებულია მისი სფეროებით, იმით, რომ მისი საგანი, უმეტესად, ნარკოტიკული საშუალებაა. თუმცა, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში ნარკოტიკული დანაშაულების თავის ცალკე გამოყოფა იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ დანაშაულთა მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებითაა ახსნილი<sup>29</sup>.

ვინაიდან ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავ სიკეთედ მოსახლეობის ჯანმრთელობა განიხილება, საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნის გამო სისხლისსამართლებრივი დასჯადობის პრინციპიც ვერ იქნება გამოყენებული ქმედების გასამართლებლად, ისევე როგორც ვენერიულ დაავადებათა გავრცელების შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში პარტნიორის თანხმობა ვერ გამოორიცხავს დასჯადობას, ვინაიდან დასჯადობის მიზნად მიიჩნევა არა იმდენად იმ ადამიანის დაცვა, რომელსაც დაავადებით ინფიცირების საფრთხე ექმნება, არამედ უფრო მეტად ვენერიულ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილება<sup>30</sup>. საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა ვერ დაედება საფუძვლად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვინაიდან სისხლის სამართლით დასჯადია არა საკუთარი, არამედ სხვისი სიკეთისთვის საფრთხის შექმნა და ხელყოფა. საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა სისხლის სამართალში განიხილება ობიექტური შერაცხვის გამომრიცხავ გარემოებად.

## 5.2. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია „მოსახლეობის ჯანმრთელობაზე“ როგორც სამართლებრივ სიკეთეზე

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოც კანაფთან დაკავშირებით მიღებულ გადანწყვეტილებაში „როგორც ცალკეული ადამიანის, ისე მთლიანად მოსახლეობის ჯანმრთელობას“, ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთედ ასახელებს<sup>31</sup>. რაც შეეხება „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ ცნების არსს, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო მასში არა მხოლოდ ცალკეულ პირთა ჯანმრთელობას, არამედ სოციალური თანაცხოვრების ფორმასაც მოიაზრებს<sup>32</sup>.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადანწყვეტილებით დაადასტურა „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ როგორც სამართლებრივი სიკეთის ექსტენსიური ინტერპრეტაციის არსებობის ტენდენციები. დაცული უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრის სხეულებრივი ჯანმრთელობა ერთიანობაში, გარდა ამისა, საზოგადოების წევრთა თანაცხოვრება. ცალკეულ მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვა არის თანამდევნი მიზანი (ბეილლუფიგეს ძიელ). ცალკეულ პირთა ჯანმრთელობა საზოგადოების ჯანმრთელობის შემადგენელ ნაწილად განისაზღვრება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა საზოგადოების ფუნქციონირებისთვის. ამის უკან დგას თვალსაზრისი, რომ სახელმწიფოს და საზოგადოების შემადგენლობა დამოკიდებულია ჯანმრთელ მოქალაქეებზე. ამიტომ იგი დაცული უნდა იყოს იმ საფრთხეებისგან, რომელიც მას ემუქრება მართლშეგნების ან გადანწყვეტილების მიღებისა და განჭვრეტის უნარის ცვლილებით მის მოქალაქეებზე ნარკოტიკების ზეგავლენის, განსაკუთრებით, ამით გამონეული მოტივაციის დაქვეითების შედეგად. ცალკეულ მოქალაქეთა ჯანმრთელობის გვერდით, საქმე ეხება ახალგაზრდობის და ოჯახის, ისევე როგორც სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური სტაბილურობის დაცვას, ამასთან ერთად საზოგადოების ფუნქციონირებას. მიზანი არის ნარკოტიკებისგან

<sup>29</sup> თოდუა ნ., გოგშელიძე რ., ნარკოტიკული დანაშაული, თბ., 2004, გვ. 3.

<sup>30</sup> Rigopoulou M., Grenzen des Paternalismus im Strafrecht, Berlin, 2013, S. 146.

<sup>31</sup> BVerfGE 90, 145 (174). miTiTebulia: Pasedach Ch., ebenda, S. 148.

<sup>32</sup> BVerfGE 90, 145 (174). miTiTebulia: Pasedach Ch., ebenda, S. 148.

თავისუფალი იდეალური ტიპის საზოგადოების შექმნა და დაცვა, რომელიც თავისუფალია ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის და მასზე დამოკიდებული სხვა შედეგებისგან<sup>33</sup>.

### 5.3. კონსტიტუციურსამართლებრივი კრიტიკა სამართლებრივ სიკეთედ „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ მიჩნევის წინააღმდეგ

კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ მიჩნევა სამართლებრივი სიკეთედ, სხვადასხვა მოსაზრებით მიიჩნევა მიუღებლად. გასათვალისწინებელია რამდენად ემსახურება ეს სიკეთე ცალკეულ პირთა ინტერესებს. არ გამოირიცხება კლასიკური სამართლებრივი სიკეთეების გვერდით, როგორცაა, სიცოცხლე, სხეულებრივი ხელშეუხებლობა და თავისუფლება, ახალი სამართლებრივი სიკეთეების დამკვიდრება. სისხლის სამართალმაც უნდა აუწყოს ფეხი საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებს და ახალ საფრთხეებს. ამგვარად საზოგადოებრივი ცვლილებები აისახება დღევანდელ ე. წ. „რისკის საზოგადოებაში“ („ლისიკოგესელსცჰაფტ“), სადაც ადამიანები თვითგანადგურების ინდუსტრიულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული გადანყვეტილებებით ყველა სხვის სიცოცხლეს უპირისპირდებიან. თანამედროვე საზოგადოება დალდასმულია ახალი ატომური, ქიმიური, ეკოლოგიური, გენტიქნოლოგიური საფრთხეებით და რისკებით, რომლებიც საზიანო შედეგებს იწვევენ, თუმცა ადამიანთა ქმედებით, გადანყვეტილებითაა გამონვეული. თანამედროვე სისხლის სამართალმა არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვოს მსხვერპლთან მიმართებით სამართლებრივ-ლიბერალური პრინციპები. ლიტერატურაში მიუთითებენ ამგვარი მიდგომით სამართლებრივი სიკეთის კონცეფციის განვრცობაზე, რაც შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს განსაზღვრულობის კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპთან<sup>34</sup>. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, სამართლებრივ სიკეთედ უნდა მიიჩნეოდეს არა აბსტრაქცია, არამედ ის, რაც კონკრეტული სახით არსებობს და ხასიათდება იმ თვისებებით, რომლის გამოც მისი

ხელყოფა ან მის მიმართ საფრთხის შექმნაც შესაძლებელია. ასეთი სიკეთის მიმართ ხელყოფის და საფრთხის შექმნაც ექვემდებარება დადგენას და შეფასებას.

### 6. ნარკოტიკული დანაშაულის, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დასჯადობის კონსტიტუციურობის საკითხი

„მოსახლეობის ჯანმრთელობის“ სამართლებრივი სიკეთის დაცვა ხდება ისეთი ტიპის დელიქტით, როგორცაა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივი სიკეთის დაცვას ხელყოფამდე, წინაშე სტადიაზე. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტზე ყურადღების შეჩერება იწვევს სისხლისსამართლებრივ დასჯადობის წინაპირობების შემცირებასაც, ვინაიდან იგი დაკავშირებულია მხოლოდ განსაზღვრულ ქმედებასთან, რომლის ინკრიმინირებაც კანონმდებელმა მოახდინა, რომელიც ტიპურად საფრთხის პოტენციას შეიცავს. ისინი არ მოითხოვენ შედეგის დადგომას და აქედან გამომდინარე მიზეზობრივი კავშირის დადგენას. ხელყოფის ან კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილება მხოლოდ საკანონმდებლო მიზანია და არა ქმედების შემადგენლობის ნიშანი<sup>35</sup>.

ერთ-ერთი შეხედულებით, ქმედების სისხლის სამართლის და ბრალის პრინციპის მიხედვით, ასეთი სახის დელიქტების კონსტრუქცია უკიდურესად საეჭვოდ მიიჩნევა. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ ქმედების სისხლის სამართლის მიხედვით, სასჯელის მოქმედება დამოკიდებულია მხოლოდ ქმედების შემადგენლობაში აღწერილი ქმედების განხორციელებაზე. შეუძლებელია მოქმედი პირის პიროვნულობა და ცხოვრების წესი იყოს დასჯადი. ნარკოტიკულ დანაშაულთა შემადგენლობები უმეტესად არ მოითხოვს საზიანო შედეგის დადგომას და საფუძვლად უდევს ქმედების მხოლოდ ზოგადი საშიშროება, რის გამოც ხდება საზღვრების გადანევა დამნაშავის სისხლის სამართლისკენ<sup>36</sup>. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დასჯადობა, თუმცა, მხედველობაშია მისაღები

<sup>33</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 149.

<sup>34</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 149-150.

<sup>35</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 150-151.

<sup>36</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 151.

ნარკოტიკული საშუალების სახეობა, მისი გავლენა მომხმარებელზე და აღნიშნულის მიხედვით, მის ირგვლივ მყოფ პირებზე.

ზემოთ აღნიშნულის ანალოგიურად ჩნდება კითხვა ასეთ ქმედებათა კრიმინალიზაციის ტექნიკის არსებობის გამართლებასთან დაკავშირებით, პრინციპის „არავითარი სასჯელი ბრალის გარეშე“ გათვალისწინებით, რომელიც გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და მოითხოვს, რომ სასჯელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს უფრო მაღალი დამნაშავეის ბრალთან მიმართებით. აქ ჩნდება მორიგი კითხვა, ბრალეული გაკიცხვა როგორ შეიძლება გამართლდეს, როცა საფრთხე, რომლის თავიდან აცილება სასჯელის მუქარით უნდა მომხდარიყო, არ რეალიზდება და საერთოდ არც შეეძლო რეალიზებულიყო<sup>37</sup>.

მაშინ როცა ავტორთა ერთი ნაწილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობის ლეგიტიმაციას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ავტორთა მეორე ნაწილი, აღნიშნული ტიპის დელიქტების სისხლისსამართლებრივ დასჯადობას კონსტიტუციის შესაბამისად თვლის. კონსტიტუციურად და ლეგიტიმურად მიიჩნია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობა იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომაც<sup>38</sup>. შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური პოზიციაა გატარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანიშნულებებში, რომელიც მიიღო მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით. მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო მარიხუანის მოხმარების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა, ხოლო მოგვიანებით, ზოგადად, სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ მეორე მხრივ, დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით მიღებულ გადანიშნულებებში არ არის არაკონსტიტუციურად მიჩნეული ზოგადად, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობა.

როდესაც საუბარია ნარკოტიკულ დანაშაულზე, როგორც აბსტრაქტული საფრთხის

დელიქტზე, მხედველობაშია საფრთხის შექმნა ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის, მაგრამ ჩნდება კითხვა, კანაფის მოხმარება რამდენად შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს მომხმარებლის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას?

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, ერთჯერადი მოხმარებისთვის განკუთვნილი ოდენობით კანაფის მოხმარებას და გადატანას არ შეუძლია ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა. მას არ შეუძლია იმაზე მეტი, რაც ერთ ჭიქა ვისკის ან ერთ ღერ სიგარეტს. (აბსტრაქტული) საფრთხე შეიძლება შექმნას ხშირმა მოხმარებამ<sup>39</sup>. ანალოგიურის თქმა შეუძლებელია ყველა ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით. მაგალითად, კოკაინმა და ჰეროინმა სასიკვდილო შედეგი შეიძლება პირველივე მიღებაზე გამოიწვიოს. ეს არის დამოკიდებული დოზირებაზე, მიღების ფორმაზე და ინდივიდუალურ თავისებურებებზე. ნარკოტიკული საშუალების მიღება ზოგჯერ დაკავშირებულია გარკვეულ საფრთხესთან, როგორცაა შიდსი, ჰეპატიტი<sup>40</sup>, გარდა იმისა, რომ გარკვეული სახის ნარკოტიკული საშუალების მიღება ისედაც ქმნის საფრთხეს ჯანმრთელობისთვის.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების და უნივერსალური სამართლებრივი სიკეთის კონცეფციის საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართალი არ იქნება კანონმდებლის ულტიმა რატიო<sup>41</sup>. აღნიშნული საკითხი მართლაც საყურადღებოა, ვინაიდან სისხლის სამართალი სახელმწიფოს ხელში უკიდურეს საშუალებას წარმოადგენს, მაგრამ რამდენად შეიძლება სისხლის სამართალს უკიდურესი საშუალება ეწოდოს მაშინ, როცა სასჯელის შესაფარდებლად საკმარისია ისეთი ქმედების განხორციელება, რომელსაც სინამდვილეში არ გამოუწვევია საზიანო შედეგი და არ შეუქმნია რეალური საფრთხე? მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი არ მოითხოვს რეალური საფრთხის შექმნას ან საზიანო შედეგის გამოწვევას, მისი კრიმინალიზაცია მაინც მიზანშეწონილია, ვინაიდან საქმე ეხება ისეთ

<sup>37</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 151.

<sup>38</sup> *Cavaliere A.*, *Ansätze zur Kritik des Drogenstrafrechts – aus einer italienischen Perspektive*, Roxin-FS, zum 80. Geburtstag, Band 2., 2011, S. 1738.

<sup>39</sup> *Cavaliere A.*, ebenda, S. 1738.

<sup>40</sup> *Cavaliere A.*, ebenda, S. 1739.

<sup>41</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 152.

ქმედებას, რომელსაც ტიპურად შეუძლია საზიანო შედეგის გამოწვევა. შესაბამისად, როდესაც კანონმდებელი აყალიბებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობას, უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად შეუძლია სამართლებრივი სიკეთისთვის გენერალიზებულად საფრთხის შექმნა იმ ქმედებას, რომლის კრიმინალიზებაც ხდება.

### 7. ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობა და პატერნალისტურად მოტივირებული დასჯადობის საფრთხე

ლიტერატურაში გამოთქვამენ ეჭვს, რომ ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთე შეიძლება სახელმწიფოს ხელში წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს პატერნალისტურად მოტივირებული მიზნების რეალიზაციისთვის. დამაზიანებელი ქმედებისგან მოქალაქეთა დაცვა ხდება მათი ნების სანაღმდეგოდ. ამდენად, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართალი ქმნის საფრთხეს „პატერნალისტურად მოტივირებული სამართლის“ დაშვებასთან დაკავშირებით. ლიბერალური სახელმწიფოს კონსტიტუციური გაგების საფუძველზე, რომელიც ცალკეულ პირთა ავტონომიიდან გამომდინარეობს, ასეთი მიდგომა შეიძლება კრიტიკულად შეფასდეს<sup>42</sup>.

ბევრი ადამიანი საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს: არასწორი კვების რეჟიმით, მოწვეით, ალკოჰოლით და არაჯანსაღი ცხოვრებით, ავტომანქანის სწრაფი ტარებით ან საფრთხის შემცველი სპორტით. ასეთი ქმედებები არ წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი აკრძალვის საგანს, ვინაიდან სისხლის სამართლის ამოცანაა თავიდან იქნას აცილებული სხვა პირის დაზიანება მისი ნების წინააღმდეგ. რაც შეეხება საკუთარი ნებით დაზიანებას, იგი არის არა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, არამედ პირადი თვითრეალიზაციის ნაწილი და ის სახელმწიფოს არ ეხება<sup>43</sup>.

საერთაშორისო სამართლებრივ თეორიაში საკამათოა სახელმწიფო პატერნალიზმი ანუ

სასჯელით ადამიანის დაცვა საკუთარი თავისგან რამდენად დასაშვებია. თუმცა, სამართლებრივი სიკეთის დაცვასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის შემოფარგვლა შეიძლება დასაშვები იყოს დაზარალებულის პიროვნული ავტონომიის ნაკლებობის (სულიერი დაავადების, იძულების, შეცდომის ან სხვა მსგავს) შემთხვევაში ან ახალგაზრდობის დაცვის მიზნით, რაც ეფუძნება შეზღუდულ პირად პასუხისმგებლობას<sup>44</sup>. როდესაც ადამიანი თავისუფალი ნების გამოხატვისთვის და თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებისთვის უნაროა, სახელმწიფო ვალდებულია ასეთი ადამიანი დაიცვას არა მხოლოდ სხვისი ხელყოფისგან, არამედ საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნისგანაც.

განსაკუთრებით საკამათო საკითხია მსუბუქი ნარკოტიკების შეძენა და ფლობა. როცა სრული პასუხისმგებლობის მქონე სრულწლოვანი მცირე ოდენობით ჰაშიშს მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით ფლობს, არავის არ აზიანებს საკუთარი თავის გარდა. მაშასადამე, სახეზე არ არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, ამიტომ დასჯის საფუძველი საკამათოდ მიიჩნევა<sup>45</sup>.

მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარება არ აზიანებს ჯანმრთელობას, ისევე როგორც ალკოჰოლი და სიგარეტი, არ ინვეს არც დამოკიდებულებას და არ წარმოადგენს უფრო მძიმე ნარკოტიკზე გადასვლის კარიბჭეს, ამდენად დასჯის საფუძველი არ არის მკაფიო<sup>46</sup>.

ქ. *პასედახი*ც სვამს კითხვას, შეიძლება თუ არა „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ ხელყოფა მცირე მოცულობით კანაფის ფლობით. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მხოლოდ ერთი პირის ასეთ ქმედებას არ შეუძლია მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელყოფის გამოწვევა. მხოლოდ ერთ ადამიანს შეაქვს მცირე წვლილი ასეთი საზიანო შედეგის გამოწვევაში. ეს არის ის თვალსაზრისი, რომელიც საფუძველად უდევს ე.წ. კუმულაციურ დელიქტებს. ავტორი დასჯადობის ასეთ დასაბუთებაში თანაზომიერების ფარგლების დარღვევის საფრთხეს ხედავს<sup>47</sup>.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ 1994 წლის გადანყვეტილებით უმნიშვნელო

<sup>42</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 152.

<sup>43</sup> *Roxin, Claus*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, München, 2006, S. 23-24, §2 Rn. 32.

<sup>44</sup> *Roxin, Claus*, ebenda, S. 24, §2 Rn. 33.

<sup>45</sup> *Roxin, Claus*, ebenda, S. 24, §2 Rn. 34.

<sup>46</sup> *Roxin, Claus*, ebenda, S. 24-25, §2 Rn. 35.

<sup>47</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 152.

(ნაკლები მნიშვნელობის ანუ იგულისხმება მცირე მოცულობის) შემთხვევები ჩათვალა ისეთად, როცა უნდა მოხდეს სასჯელისაგან გათავისუფლება<sup>48</sup>.

### 8. „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ როგორც სამართლებრივი სიკეთის მიმართება განსაზღვრულობის კონსტიტუციურ პრინციპთან

სასჯელის განსაზღვრულობის ლეგიტიმაციის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას მაშინ, როცა საქმე უნივერსალურ სამართლებრივ სიკეთეს ეხება. ასეთი საკანონმდებლო პრაქტიკა არ მოქმედებს მხოლოდ ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით, არამედ ასევე სამართლის იმ სფეროში, სადაც მიზეზობრიობა რთული დასადგენია. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ საექიმო და პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ სფეროებს<sup>49</sup>.

განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევა მძიმე კონსტიტუციურსამართლებრივ დარღვევას წარმოადგენს. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დასჯადობის კონსტიტუციურობისთვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად აკმაყოფილებს დასახელებულ მოთხოვნას.

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ ცნება არის უკიდურესად ბუნდოვანი და განუსაზღვრელი. ამდენად იგი იძლევა მაღალი დოზით განვრცობითი სამოსამართლო განმარტების შესაძლებლობას. ამიტომ *ქ. პასედახის* თვალსაზრისით, დასჯადობა არ შეესაბამება განსაზღვრულობის კონსტიტუციურ პრინციპს და მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, გასცდეს სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ფარგლებს. მაშინ როცა სისხლისსამართლებრივი დასჯადობა არსებითად და არაგანჭვრეტადად მოსამართლის კონკრეტულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, თავისუფლების საგარანტიო ფუნქციას, რომელიც სისხლის სამართალს კონსტიტუციის მიხედვით აქვს, კარგავს. სისხლის სამართალი სახელმწიფოს ხელში იქცევა მართვის მოქნილ ინსტრუმენტად<sup>50</sup>.

### 9. „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ როგორც სამართლებრივ სიკეთეთა კუმულაცია

განვრცობითი სამოსამართლო განმარტების მაგალითს გვანვდის გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „კანაფთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება“, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს ჯანმრთელობის ვიწრო გაგების გვერდით, საზოგადოების ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური საფუძვლები ნარკოტიკული დანაშაულებისგან დაცულ სიკეთეთა წრეს მიაკუთვნოს, რითაც „მოსახლეობის ჯანმრთელობისგან“ „ჰიპერსიკეთის“ კონსტრუირება მოახდინა. ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთის ასეთი განმარტებით დასაბამი მიეცა შემდგომში სამართლებრივი სიკეთეების განვრცობით ინტერპრეტაციას. ფაქტობრივად, ერთი მხრივ, შესაძლებელია ახალი სიკეთის შემოტანა, ხოლო მეორე მხრივ, სისხლის სამართლის ნორმის მიჩნევა ისეთად, რომელიც სხვადასხვა სიკეთის დაცვას ემსახურება. დაუშვებელია სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეთა კუმულაციით, რომლებიც თავისთავად არასაკმარისად მიიჩნევა სისხლისსამართლებრივი დასჯადობის დასაბამუთებლად, სისხლისსამართლებრივი დასჯადობის სფეროების განვრცობა. ასეთ დროს სამართლებრივი სიკეთეები არ ასრულებენ სისხლის სამართლის შემოფარგვლის (შემოსაზღვრის) ამოცანას. სამართლებრივი სიკეთის ამგვარი გაგება მოქალაქეთა საზიანოდ ქმნის არსებით სამართლებრივ საფრთხეს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის პრევენციული მიზანი შეუძლებელია განხორციელდეს: დაშინება ვერ მიიღწევა, როცა დასჯადი ქმედების ფარგლები დადგენილი არ არის<sup>51</sup>. იმისთვის რომ პრევენციის მიზანი ეფექტურად იქნას მიღწეული დაკონკრეტებული უნდა იყოს თუ რომელ სიკეთეს იცავს მოქმედი სამართლის ნორმა და ქმედების დასჯადობის ფარგლებიც განსაზღვრული უნდა იყოს.

<sup>48</sup> BVerfGE 90, 145-226 (1994). miTiTebulia: *Roxin, Claus*, ebenda, S. 25, §2 Rn. 36.

<sup>49</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 151.

<sup>50</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 152.

<sup>51</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 153.

## 10. „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ როგორც დამოუკიდებელი ცალკეული სიკეთე

ლიტერატურაში საუბარია „მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, როგორც ცალკეულ, არაკუმულაციურ სიკეთეზე, რომელიც არ არის ინდივიდუალური სიკეთე, არამედ იგი არის უნივერსალური სიკეთე, თუმცა არ შედგება სხვადასხვა ინდივიდუალური ინტერესებისგან<sup>52</sup>.

სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეთა კუმულაცია როგორც „ჰიპერ-სამართლებრივი სიკეთე“ არ მიიჩნევა დასაშვებ ბაზისად, რის საფუძველზეც „მოსახლეობის ჯანმრთელობის“, როგორც სამართლებრივი სიკეთის, არსებობის გამართლება იქნებოდა დასაშვები. ამდენად ავტორები უშვებენ იმის შესაძლებლობას, რომ „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ მიჩნეულ იქნას დამოუკიდებელ „ცალკეულ უნივერსალურ სიკეთედ“. აღნიშნული საკითხი წარმოშობს კითხვას სამართლებრივი სიკეთის მატარებელთან დაკავშირებით. „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ მოითხოვს შესაბამის სუბიექტს, რომელიც ჯანმრთელად ან ავად შეიძლება იყოს. მაგრამ როგორ შეიძლება ხალხს ასეთი ფიზიკური თვისება ჰქონდეს? მას არ გააჩნია დამოუკიდებელი სხეული და ორგანიზმი.<sup>53</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ მეტაფორული თვალსაზრისით უნდა იქნას გაგებული და სახელმწიფოს ფუნქციონირების და მისი სტრუქტურის თანაბრად უნდა იქნას დაყენებული. ხელი უნდა შეეწყოს სახელმწიფოს ფუნქციონირების დაცვას და არ უნდა შეექმნას საფრთხე. მონესრიგებული და მშვიდობიანი საზოგადოებრივი თანაცხოვრება მოითხოვს სოციალურ სტრუქტურას და კომუნიკაციის ველს, რომლებიც ცალკეულ პირთა თავისუფალი განვითარების ძირითად პირობებს მიეკუთვნება. თუმცა, საზოგადოების ფუნქციონირების უნარი ისე როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობა საკუთრივ, არის ბევრად უფრო ბუნდოვანი. გარდა ამისა, ვინ წყვეტს, სახელმწიფოს ფუნქციონირების უნარი რის მიხედვითაა შემოფარგლული და ამდენად „როდისაა ხალხი ავად“? პასუხი ყოველთვის

დამოკიდებულია განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე და ამიტომ დიდად არის იდეოლოგიზებული. ამ დასაბუთებით ბევრი ქმედება პენალიზებულია იმის მიხედვით, თუ რამდენად მავნეა (საზიანოა) იგი საზოგადოებრივი თანაცხოვრებისთვის. მოსახლეობის ჯანმრთელობის ინტერპრეტაცია იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა საზოგადოებრივი თვალსაზრისი სახელმწიფოს და ადამიანების საქროებებთან დაკავშირებით. ნაციონალ-სოციალისტების დროში „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ ცნება ემსახურებოდა ეუგენური და რასისტული წარმოდგენების რეალიზებას, რის გამოც, პრობლემატურად მიიჩნევა ამ სამართლებრივ სიკეთეზე დაყრდნობა<sup>54</sup>.

ზემოაღნიშნულ იდეოლოგიურ განწყობას აჩვენებს განსაკუთრებით ლეგალურ ნარკოტიკთან, ალკოჰოლთან და ნიკოტინთან დამოკიდებულების შედარება. დასახელებულ ნივთიერებებს შეუძლიათ ჯანმრთელობის დაზიანების და მათზე დამოკიდებულების გამოწვევა და აღნიშნულიდან გამომდინარე საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივად და კულტურულად აღიარება მოიპოვა თვალსაზრისმა, რომ სრული აკრძალვა მათზე არ უნდა გავრცელდეს<sup>55</sup>. ამაზე მეტყველებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი (2017 წლის 30 ნოემბრის და 2018 წლის 30 ივლისის) გადაწყვეტილებებიც, რომლითაც მოხდა მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაცია და შემდგომ ლეგალიზაცია.

სახელმწიფომ არ შეიძლება განსაზღვრული მორალური წარმოდგენები გაატაროს, თუ ცხადად არ არსებობს ნამდვილი სამართლებრივი სიკეთე. ამგვარი რამ (იგულისხმება სახელმწიფოს მიერ მორალური წარმოდგენების გატარება ნამდვილი სიკეთის გარეშე) ლიბერალურ სახელმწიფოში პოლიტიკურად დაუშვებელია<sup>56</sup>.

<sup>52</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 153, Fuss. 550.

<sup>53</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 153.

<sup>54</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 154.

<sup>55</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 154.

<sup>56</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 154.

## 11. არარეალური აბსტრაქტულობის დაცვის ობიექტი როგორც სამართლებრივი სიკეთე?

კ. როქსინის თვალსაზრისით, არარეალური აბსტრაქტულობის დაცვის ობიექტი არ არის სამართლებრივი სიკეთე (შცპუტზობჟეკტე ვონ უნგრეიფბარერ ობსტრაკტჰეიტ სინდ კეინე ლეცჰტსგტერ). იგი არალეგიტიმურად თვლის აბსტრაქცია სამართლებრივ სიკეთედ განიშარტოს, როცა სინამდვილეში, რეალურად საქმე ეხება ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეებს. ეს პირველ რიგში ეხება „მოსახლეობის ჯანმრთელობას“ როგორც ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავ სიკეთეს. ვინაიდან „ხალხს“ რეალურად სხეული არ გააჩნია, ამდენად „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით არ შეიძლება არსებობდეს. შეუძლებელია სასჯელის მუქარა მიმართული იყოს ფიქტიური სამართლებრივი სიკეთის დაცვისკენ. რეალურად შეიძლება იგულისხმებოდეს მოსახლეობას მიკუთვნებული მრავალი ცალკეული ადამიანის ჯანმრთელობა<sup>57</sup>. მსგავს არამკაფიო სამართლებრივ სიკეთედ მიიჩნევა ასევე „საჯარო მშვიდობა“<sup>58</sup>.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით მხედველობაში მისაღები ერთადერთი სამართლებრივი სიკეთე შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალური ჯანმრთელობა, ვინაიდან მოსახლეობის ჯანმრთელობა იკუმშება (ეფუძნება) მრავალი ცალკეული ადამიანის ჯანმრთელობად და ამიტომ საბოლოო ეფექტი არის უშინაარსო („ინჰალტსლერ“). ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, მრავალი ცალკეული ადამიანის ჯანმრთელობის ჯამი არ შეიძლება ერთ უნივერსალურ სიკეთედ გამოცხადდეს. სხვაგვარი გაგებით, „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ უნივერსალური სიკეთის დაცვა თვითმიზნად ცხადდება და ამდენად რომელიღაც საზოგადოებრივი მდგომარეობის დაცვა ხდება, რაც ვლინდება იმაში, რომ ნარკოდამოკიდებულება უპირველესად და უმთავრესად აზიანებს მომხმარებელს და აქედან გამომდინარე საზოგადოებაზე

ახდენს გავლენას. მოცემულ შემთხვევაში უნივერსალური სამართლებრივი სიკეთის კონსტრუქცია არა მხოლოდ არასაჭიროა, არამედ დაუშვებელიც, ვინაიდან უნივერსალური სიკეთის ხელყოფა მაშინაც იქნებოდა სახეზე, როცა ინდივიდუალური სიკეთის ხელყოფა სრულადაც არ არის წარმოდგენილი. ლიბერალური სახელმწიფოს კონცეფციის შესაბამისად, სახელმწიფოს სურს ლეგიტიმაცია პიროვნებისგან დამოუკიდებლად, თუმცა უნივერსალური სამართლებრივი სიკეთე უფლებამოსილებას იძენს, როცა იგი ცალკეულ პირთა არსებობის საჭიროებებისთვის არის სარგებლის მომტანი, მაშასადამე, როცა ინდივიდუალურ სიკეთეებს ემსახურებიან. „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ სამართლებრივ სიკეთეს არ შეუძლია ლეგიტიმური არსებობის მოთხოვნა სახელმწიფოს იმ გაგების მიხედვით, რომლის შესაბამისად, „სახელმწიფო არსებობს ადამიანებისთვის და არა ადამიანები სახელმწიფოსთვის“<sup>59</sup>.

## 12. დასკვნა

ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავ სიკეთესთან დაკავშირებით დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ დასაცავ სიკეთედ „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ მიჩნევა, გარკვეულწილად, პრობლემატურია, ვინაიდან არ არის კონკრეტული შინაარსის მქონე და არ იძლევა სისხლისსამართლებრივ დასჯადობის ფარგლების შემოსაზღვრის შესაძლებლობას, რაც განსაზღვრულობის კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპთანაც შეიძლება არ იყოს შესაბამისობაში. სისხლისსამართლებრივი დაცვის სიკეთედ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ მიჩნევა ასევე შეიცავს იმის საფრთხეს, რომ სისხლისსამართლებრივად დასჯადად ქმედება გამოცხადდეს იდეოლოგიურ-ფილოსოფიური თვალთახედვებიდან გამომდინარე, რის მწარე გამოცდილებასაც იძლევა ნაციონალ-სოციალისტების მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელიც თანამედროვე ლიბერალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს ეწინააღმდეგება. ზოგჯერ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ დაცვის აუცილებლობით არის დასაბუთებული ისეთი ქმედების

<sup>57</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, München, 2006, S. 28, §2 Rn. 46.

<sup>58</sup> Roxin C., ebenda, S. 28, §2 Rn. 47.

<sup>59</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 158.



დასჯადობა, რომელიც დასაშვებადაც მიიჩნევა ადამიანის მოქმედების თავისუფლებიდან თუ პირადი განვითარების უფლებიდან გამომდინარე და რომლის დასჯადობაც წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციურ მოთხოვნებთან.

აღნიშნულის დადასტურებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი გადანყვეტილებები მარჩხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციასთან დაკავშირებით.

## სასამართლო პრაქტიკა

### ► 1 – 4/2023

#### სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა

1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება.

3. ეფექტიანი სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას, გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტიანად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილება.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სუსგ № ას-645-2021

სსკ-ის 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილი

სსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი

სსკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი

#### I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მეუღლის მიმართ და მოითხოვა ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების თანამესაკუ-

თრედ ცნობა. აღნიშნული სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა, მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება. სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო სარჩელი წარმოებაში და მიუთითა სსკ-ის 369-ე მუხლზე, იმავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის პირველ ნაწილზე, მე-60 და 61-ე მუხლებზე. მოსარჩელეს 2021 წლის 6 აპრილს ჩაჰპარდა სასამართლოს გადაწყვეტილება. მისთვის გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2021 წლის 7 აპრილს და დასრულდა 20 აპრილს, 24:00 საათზე, რისი გათვალისწინებითაც, მოსარჩელის მიერ 2021 წლის 21 აპრილს ახალციხის რაიონულ სასამართლოში შეტანილი სააპელაციო საჩივარი სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია და დატოვა განუხილველად.

მოსარჩელემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება. საჩივრით მან განჩინების გაუქმება და ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა. საჩივრის საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ სააპელაციო საჩივარი მან სასამართლოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადგინდ 14-დღიან ვადაში გააგზავნა. აღნიშნული დაადასტურა კანცელარიის განყოფილების უფროსმა.

#### II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი და დაადგინა, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმებულიყო და საქმე

უნდა დაბრუნებოდა იმავე სასამართლოს. ყურადსაღებია საკასაციო სასამართლოს განმარტებები. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად მიიჩნევს სააპელაციო საჩივრის საპროცესო ვადის დაცვით წარდგენას. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადანყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. გადანყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მხარე განსაზღვრული ვადის დაცვით სასამართლოში არ გამოცხადდება და გადანყვეტილებას არ ჩაიბარებს, სამართლებრივ საფუძველს კი წარმოადგენს სსკ-ის 259<sup>1</sup> მუხლი, რომლის თანახმადაც, გასაჩივრების მსურველმა მხარემ უნდა ჩაიბაროს გასაჩივრებელი გადანყვეტილება. ეს ყოველივე წარმოადგენს არა უფლებას, არამედ, ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობაც პირდაპირ გავლენას ახდენს მხარის მიერ გადანყვეტილების გასაჩივრების წესზე. სსკ-ის 259<sup>1</sup>-ე მუხლის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს დამოუკიდებლად, გადანყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას აწესრიგებს სსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს 2021 წლის 10 მარტის გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდნენ მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი. ამასთან, მოსარჩელის წარმომადგენელმა გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა,

ე.ი კანონიერი ვადის დაცვით, განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა გადანყვეტილების ჩაბარება, რაც 6 აპრილს განხორციელდა. შესაბამისად, ზემოთ განხილული მსჯელობის საფუძველზე, მოსარჩელისათვის გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2021 წლის 7 აპრილს და იმავე წლის 20 აპრილს ამოიწურა. ამასთან, მოსარჩელემ სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის 2021 წლის 1 ივნისის მიმართვით დაადასტურა, რომ გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია, რადგან სააპელაციო საჩივარი სასამართლოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე 14-დღიანი ვადის ბოლო დღეს, 23:44 საათზე გააგზავნა. ხოლო საჩივარი კანცელარიაში 2021 წლის 21 აპრილს, 09:30 საათზე დარეგისტრირდა, ვინაიდან გადმოგზავნილი იყო არასამუშაო საათებში. აქ აქტუალურია სსკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

*ნინო ბერულავა*

## ► 2 – 4/2023

### დელიქტური მოთხოვნის გამარტივებული წესით განხილვა

**ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი და დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოება (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

*სუსგ №ას-862-2019*

*სსკ-ის 309<sup>20</sup> მუხლი*

*სსკ-ის 102-ე და 103-ე მუხლები*

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოხელის მფლობელობაში არსებული სამინისტროს სამსახურებრივი ავტომანქანა და მოპასუხედ გვევლინება თავად მოხელე. ინციდენტის დროს სამსახურებრივ მანქანას მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი, სამინისტროს ეზოში ავტოსამრეცხაოს თანამშრომელი – მეორე მოპასუხე, რომელსაც სამინისტროს ავტოსამრეცხაოში მისვლისას მოხელემ გადასცა გასაღები. ავტომანქანა დაზღვეული იყო, მაგრამ სადაზღვევო კომპანიამ უარი განაცხადა ანაზღაურებაზე. ხელშეკრულების შესაბამისად, უარი ეფუძნებოდა არაუფლებამოსილი მძღოლისათვის ავტომობილის გასაღების გადაცემის ფაქტს. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელის სახელზე რიცხული ავტომანქანა სამინისტროს ეზოშივე მდებარე სამრეცხაოს თანამშრომელმა თვითნებურად გაიყვანა სამინისტროს ეზოდან. შესაბამისად, ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. მეორე მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია, მაგრამ მოსამზადებელ სხდომაზე მან განმარტა, რომ აცნობიერებდა მის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგებს, თუმცა, მისი პოზიციით, ავტოსაგზაო შემთხვევა მხოლოდ მისი ბრალით არ მომხდარა და მოპასუხე ვალდებული იყო, რომ დალოდებოდა ადგილზე მანქანის გარეცხვას და გარეცხვისთანავე თვითონვე გაეყვანა მისი მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანა სამრეცხაოდან. ავტოსამრეცხაო არ მდებარეობდა სამინისტროს ეზოში, არამედ იყო ამ ეზოს მომიჯნავედ და არანაირი კავშირი არ ჰქონია მოსარჩელესთან. პირველმა ინსტანციამ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, რომელიც ეფუძნებოდა ზიანის სრულად ანაზღაურების მოთხოვნას და გასაჩივრებული გადნევივითილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

საკასაციო სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო რიგი გარემოებების გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი საფუძვლით. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა სამართლებრივ მონესრიგებას საჭიროებდა დელიქტური ვალდებულებებით გათვალისწინებული საფუძვლებიდან - სკ-ის 992-ე მუხლი, 408-ე მუხლის პირველი ნაწილი. ვალდებულების დარღვევა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა კონკრეტული სამართალდარღვევისას სხვა ფორმების გამოყენებაზე პირდაპირ უთითებს კანონი ან ხელშეკრულება. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვასთან, არამედ მოვალის მხოლოდ ქონების შემცირებასთან.

ქონებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს შემდეგი წინაპირობები: 1. სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; 2. დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; 3. მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; 4. სამართალდამრღვევის ბრალი.

წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. არასახელშეკრულებო ზიანის უზოგადესი და ცენტრალური ნორმაა სკ-ის 992-ე მუხლი, რომელიც განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და დაზარალებულს ვალდებული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი

ინტერესების ხელყოფას მისი ნების გარეშე, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წესჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით.

როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთს ატარებს დაზარალებული მხარე. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. სასამართლომ განმარტა, რომ მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია. რაც შეეხება ბრალს, ბრალის სამართლებრივი კატეგორია განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა სამართლის ნებისმიერ სისტემაში. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (**dolus**) და გაუფრთხილებლობა (**culpa**), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. აღნიშნული განმარტების თანახმად, მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო მოქმედება იმით გამოიხატება, რომ ავტომანქანის დაზიანებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიადგა ზიანი 1950 ლარის ოდენობით და მოპასუხეებს ეს სადავოდ არც გაუხდიათ, მართლსაწინააღმდეგობა დადგენილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი და დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოება. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, კანონით მინიჭებული შესაძლებლობა - საქმე განხილულ იქნას გამარტივებული წესით შემჭიდროვებულ ვადებში, მოსარჩელე მხარის დისპოზიციური უფლებაა და მას არ ეკრძალება სარჩელის წარდგენა საერთო საფუძველზე ჩვეულებრივი წესით.

გამარტივებული წარმოებით საქმის განსახილველად კი, სსკ-ის 309<sup>20</sup> მუხლი ვალდებულებას აკისრებს მოსარჩელეს, სარჩელს თან დაურთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, რითაც სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს. ხოლო რაც შეეხება განსხვავებას დელიქტით მიყენებული ზიანის გამარტივებული და ჩვეულებრივი სასარჩელო წესით განხილვას, გამარტივებული წესით საქმის განხილვის დროს სახეზეა კანონიერ ძალაში არსებული განაჩენი, რომლითაც უტყუარად დასტურდება ზიანის ფაქტი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, შესაბამისად, სასამართლო აღარ იკვლევს აღნიშნულ საკითხებს და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე დადასტურებულად მიიჩნევს მათ. ზიანის ოდენობა სასამართლო კვლევისა და შეფასების საგანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განაჩენით/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტით იგი არ არის დადგენილი, ხოლო ზიანის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულება უნდა წარადგინოს მოსარჩელემ. რაც შეეხება, ჩვეულებრივი სასარჩელო წესით დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ სარჩელის განხილვას, მხარეები სსკ-ის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად წარუდგენენ სასამართ-

ლოს ყველა ელემენტის მტკიცებულებებს, თავის მხრივ კი სასამართლო წარმოდგენილ მტკიცებულებებს შეაფასებს სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად.

ნინო ბერულავა

► 3 – 4/2023

**სარჩელის უზრუნველყოფის შეზღუდვა**

**სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის მიყენება გულისხმობს უფლების დაუშვებელ ხელყოფას.**

უზრუნველყოფის ინსტიტუტის დანიშნულებაა რიგი უფლებების დროებითი შეზღუდვა, ხოლო ხელყოფად კი შეიძლება დაკვალიფიცირდეს შემთხვევები, როგორცაა მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა.

ასეთ შემთხვევაში, მოპასუხე უფლებამოსილია, მოითხოვოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა, ანუ ე.წ. უზრუნველყოფის შეზღუდვა.

**(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის განჩინება საქმეზე N ას-115-2020

სსკ-ის 199-ე მუხლი

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2012 წლის 8 ოქტომბერს სანოტარო წესით გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. 2013 წლის უკანასკნელი ცვლილების საფუძველზე მთლიანობაში განსაზღვრეს, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს 114 260 აშშ დოლარი ასესხა, სესხის ძირითადი თანხის ყოველთვიური 4 პროცენტის სარგებლით. მოპასუხემ არაჯეროვნად შეასრულა საკუთარი ვალდებულება და მოსარჩელის განცხადების საფუძველზე ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც განსაზღვრა აღსასრულებელი ვალდებულება

და ამასთან აღსასრულებლად მიექცა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება. მოპასუხის განცხადების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით სააღსრულებო ფურცლის აღსრულება შეჩერდა 2 წლით, რის გამოც, მოსარჩელემ სესხის სახით გაცემული თანხა ორი წლის განმავლობაში ვერ დაიბრუნა, რითაც მას ზიანი მიადგა და ითხოვდა მის ანაზღაურებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, სააღსრულებო ფურცელში მითითებული სესხის ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში შევიდა ცვლილება და სესხის ძირითადი თანხის სახით მსესხებლის ვალდებულება კრედიტორის წინაშე 90 500 აშშ დოლარით განისაზღვრა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურება, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

**II. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

სააპელაციო სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილება დააფუძნა სკ-ის 411-ე მუხლსა და სსკ-ის 199-ე მუხლს. 199-ე მუხლთან მიმართებით სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხემ უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით. მასვე ეკისრება დამდგარი ზიანისა და მისი ოდენობის დამტკიცების ტვირთი. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანი არ გულისხმობს უფლების დროებით შეზღუდვის ნებისმიერ შემთხვევას, პირიქით, უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულებაც სწორედ უფლების დროებით შეზღუდვაა, მაგალითად, გასხვისე-

ბის აკრძალვა, ნივთობრივი უფლებებით დატვირთვის აკრძალვა და ა.შ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის მიყენება გულისხმობს უფლების დაუშვებელ ხელყოფას, როგორცაა, მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხე უფლებამოსილია, მოითხოვოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა, ანუ ე.წ. უზრუნველყოფის შებრუნება. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა აღნიშნული შემთხვევა და მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესახებ. მოთხოვნა გამომდინარეობდა სკ-ის 411-ე მუხლიდან, რადგან მოსარჩელე ითხოვდა იმ მიუღებელ სარგებელს, რომელსაც მიიღებდა, მოპასუხეს ვალდებულება რომ ჯეროვნად შეესრულებინა. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, რომ მოპასუხე მხოლოდ მოთხოვნის უსაფუძვლობასთან მიმართებით იცავდა თავს და ზიანის ოდენობასთან მიმართებით შედავება არ განუხორციელებია, ივარაუდება, რომ მიუღებელი შემოსავლის სახით ორი წლის განმავლობაში, თვეში 1% ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრება გონივრული, პროპორციული და სამართლიანი იყო. სასამართლომ იმსჯელა ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოების არ არსებობაზეც, რამდენადაც კრედიტორის ძირითადი საქმიანობა ფულადი სახსრების განკარგვით შემოსავლის მიღება იყო, მოვალისთვის წინასწარ განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო სესხად აღებული თანხის ვადაში დაუბრუნებლობისას მოპასუხისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე, მოვლენების გონივრული განსჯის შეუძლებლობა საქმეზე არ დადგენილა.

### III. უზენაესი სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ განიხილა საკითხი, არსებობს თუ არა მოპასუხისათვის სკ-ის 199 III მუხლით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების საფუძველი, რისი შესწავლის შემდგომაც მიიჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ. სასამართლოს განმარტებით, 199-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი ზიანის ანაზღაურების საფუძველი უნდა ვეძიოთ სამოქალაქო მატერიალური კანონმდებლობის ნორმებში. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მიღებულია იმდენად, რამდენადაც საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის განხილვის წესებს ადგენს და ამ მიზნის ფარგლებში მხარეთა შორის საპროცესო-სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს, ხოლო მათი მოთხოვნების სამართლებრივი საფუძველი მატერიალური კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. აღნიშნული საპროცესო ნორმა ზიანის არსს კი არ განსაზღვრავს, არამედ იგი იმას ადგენს, თუ რა შემთხვევებში სარგებლობს მოპასუხე უფლებით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ასეთ დროს ზიანში მოიაზრება, მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან მიუღებელი შემოსავალი (ანუ ანაცდური მოგება (*lucrum cessans*)). ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ საფუძველს ქმნის სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი, 411-ე და 412-ე მუხლები. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მატერიალური მოთხოვნა დაუკავშირა სკ-ის 411-ე მუხლს. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მიუღებელი შემოსავლის მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (*pure economic loss*), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრუ-

ლებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. მიუღებელი შემოსავალი ექვემდებარება ანაზღაურებას, თუკი კრედიტორი დაასაბუთებს, რომ იგი ამ ოდენობით ანაზღაურებას მიიღებდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში და ეს მოვალისათვის სავარაუდო უნდა ყოფილიყო. სასამართლომ ამავდროულად მოიხმო დადგენილი პრაქტიკა, რომელიც არსებობს ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებულ ზიანზე. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულია საპროცენტო განაკვეთი, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გვაროვნული ნივთი - ფული, ხოლო კრედიტორის სამენარმეო საქმიანობა სასყიდლიანი კრედიტის გაცემაა, სკ-ის 411-ე მუხლის წინაპირობების არსებობა დადასტურებულად მიიჩნევა. ფული ყოველთვის შემოსავლის წყაროა, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით. ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და, სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტის და არც მისი ოდენობის დადგენას, ე.ი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებში განსხვავებული მიდგომაა მტკიცების ტვირთის განაწილების მხრივ. საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსარჩელისათვის ზიანის სრულად ანაზღაურებასთან დაკავშირებით და განმარტა სსკ-ის 199-ე მუხლის მესამე ნაწილის შინაარსი, კერძოდ, ამ მუხლის მიხედვით, მოპასუხეს შეუძლია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანი თავიდან აიცილოს შემდეგ შემთხვევებში:

1. მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე ან გაუქმდა ჯერ არააღძრული სარჩელის უზრუნველყოფა იმის გამო, რომ პირმა არ აღძრა სარჩელი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში;

2. მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

ჩვენს შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელს მთლიანად კი არ ეთქვა უარი, მისი გარკვეული ნაწილი არ დაკმაყოფილდა. ასეთ პირობებში, სსკ-ის 199 III მუხლის საფუძველზე კრედიტორისათვის (დასახელებული გადაწყვეტილებით განხილული საქმის მოპასუხე) ზიანის სრულად ანაზღაურება, არასწორია. მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ამ ნორმის ერთ-ერთი მიზანი კრედიტორისათვის სარჩელის დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაა, რადგან უზრუნველყოფის მომთხოვნ მხარეს მეორე მხარისათვის სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ზარალის ანაზღაურება მაშინ ევალება, თუკი მოსარჩელეს სარჩელზე უარი უთხრეს. ცხადია, რომ სარჩელის ის ნაწილი, რომელიც მოსარჩელისათვის სასარგებლო შედეგით დასრულდა, მოპასუხისათვის ზიანის მომტანი ვერ იქნება, ვინაიდან აღნიშნულ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კანონიერადაა ცნობილი. მუხლის შინაარსი უნდა განიმარტოს არა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით არამედ კანონის განმარტების ლოგიკური და განვრცობითი მეთოდის გამოყენებით, სხვაგვარი განმარტება დაარღვევს იმ საკანონმდებლო ბალანსს, რომლის დაცვასაც კანონმდებელი ისახავდა მიზნად. სასამართლოს დასკვნით, პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისას მოპასუხეს სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად ზიანი არ უნდა აუნაზღაურდეს, რადგან ამავე გადაწყვეტილების შესაბამისად, მითითებულ ნაწილში ზიანი ვერ იარსებებს. მსესხებლისათვის დასაკისრებელი ზიანი იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ მას გამოაკლდეს უზრუნველყოფის მომთხოვნი მხარის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული თანხა.

ნინო ბერულავა



## ► 4 – 4/2023

**ბათილი გარიგების სამართლებრივი შედეგები**

**უცილოდ ბათილი გარიგების შედეგად წარმომოხილია კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც მხარეები ვალდებულნი არიან, აღადგინონ პირვანდელი მდგომარეობა და ერთმანეთს დაუბრუნონ ის, რაც მათ არარა გარიგებით მიიღეს**

**(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

*უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინება საქმეზე N ას-188-177-2011*

*სკ-ის 59-ე, 316-317-ე და 976-ე მუხლები.*

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხის მიმართ ქონების გაუმჯობესებისთვის განეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურებას, რადგან მან მოპასუხეს გადაუხადა ბინის ნასყიდობის თანხა, ხოლო ამ უკანასკნელმა მოსარჩელეს გადასცა ბინა სარგებლობაში. ბინა მოსარჩელემ გააუმჯობესა სარემონტო სამუშაოებითა და სხვა მოქმედებებით. ეს ყოველივე განხორციელდა ხელნერილის შესაბამისად, ხოლო მოპასუხემ არ შეასრულა თავისმხრივ შესასრულებელი პირობა და უარი განუცხადა მოსარჩელეს ბინის საკუთრებაში გადაცემაზე იმ საფუძველით, რომ მათ შორის დადებული შეთანხმება წარმოადგენდა ბათილ გარიგებას, რადგან უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ფორმის დაუცველად იყო დადებული (სსკ-ის 59-ე მუხლი). მოპასუხე ედავება მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების ნაწილში და დაუსაბუთებლად მიიჩნევს ამ მოთხოვნას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სარჩელი, ხოლო სააპელაციომ გააუქმა ის სწორედ ზიანის ანაზღაურების ნაწილში. პალატამ აღნიშნა, რომ არასწორად იყო გამოყენებული სკ-ის 981-ე მუხლის მეორე ნაწილი აღნიშულ სამართალურთიერთობაზე და განმარტა, რომ მითითებული ნორმა უნდა

განიმარტოს ამ მუხლის პირველ ნაწილთან ერთად, რომელიც აღნიშნული ვალდებულების წარმომოხილას უკავშირებს ქონების მიმღების ბრალს, განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა ვალდებულება ზიანის მიყენებისათვის და ამ ქონების უსაფუძვლო შეძენის ან დაზოგვისათვის. პალატის პოზიციით, აღნიშული წინაპირობები არ არსებობს და ასევე არ არსებობს მეორე ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობა, რადგან მოსარჩელეს მოპასუხისათვის თანხა არ გადაუცია უნაცვალგებოდ, მან ეს თანხა გადასცა გარიგების საფუძველზე, რის საფუძველზეც მფლობელობაში მიიღო მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება სსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის - კანონის არასწორი განმარტების საფუძველზე. სასამართლომ განმარტა, რომ მოდავე მხარეთა შორის ფორმის დაუცველად დადებული უცილოდ ბათილი გარიგების შედეგად წარმომოხილია კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც მხარეები ვალდებულნი არიან, აღადგინონ პირვანდელი მდგომარეობა და ერთმანეთს დაუბრუნონ ის, რაც მათ არარა გარიგებით მიიღეს. ასეთ სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

სკ-ის 981-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამარ-

თლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან. მოპასუხეს კი თანხის გადაცემისთანავე უნდა სცოდნოდა უძრავი ნივთის შექმნისათვის კანონით იმპერატიულად დადგენილი სავალდებულო წინაპირობების დაუცველად დადებული გარიგების საფუძველზე მიღებული ფულის არაკანონიერება.

ნინო ბერულავა

► 5 – 4/2023

**ადმინისტრაციული სარჩელის სათანადო სახე**

**თუ მოსარჩელის მიზანია არსებული მდგომარეობის შეცვლა და მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა სარჩელის დასაშვები სახეობაა – სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე (სასკ-ის 23-ე მუხლი).**

**(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

*უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის განჩინება საქმეზე N ბს-565-558 (კ-15)*

*სასკ-ის 23-ე და 22-ე მუხლები*

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელეს განცხადება ჰქონდა შეტანილი სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ წევრობის შესახებ, ხოლო ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით იგი არ დაკმაყოფილდა, იმ მიზეზით, რომ საბჭომ მიიჩნია, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მიხედვით, ადვოკატის ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა ძალას კარგავს, თუ პირი ტესტირების გავლიდან 7 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას და აღნიშნული დანაწესი უნდა გავრცელდეს იმ პირზეც, რომლებიც პროკურატურის მუშაკთა ან მოსამართლეთა გამოცდის საფუძველზე აპირებს

ადვოკატთა ასოციაციაში განწევრიანებას. საბჭომ მოსარჩელეს მიუთითა, რომ მნიშვნელობა არა აქვს, რა ვადაში კარგავს სერთიფიკატი ძალას ანდა საერთოდ ვადიანია თუ უვადოა იგი, კანონი არა სერთიფიკატის ვადის გასვლაზე უთითებს, არამედ მოთხოვნაზე, რომ პირმა საადვოკატო საქმიანობა დაიწყოს ტესტირებიდან 7 წლის განმავლობაში. მოსარჩელეს ჩაბარებული ჰქონდა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა 2003 წელს, ხოლო საადვოკატო საქმიანობის ზემოთ აღნიშნული ვადა გავიდა 2010 წელს. საბჭომ აღნიშნული გარემოების მოსარჩელეზე გავრცელება დაასაბუთა იმით, რომ თუ კანონის ეს მოთხოვნა არ გავრცელდება პროკურორებზე და მოსამართლეებზე, ადვოკატები აღმოჩნდებიან აშკარა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში, ამიტომ საბჭომ საჭიროდ მიიჩნია, უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე და ურჩია მოსარჩელეს, ხელახლა ჩაებარებინა საკვალიფიკაციო გამოცდა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ არ გაიზიარა ასოციაციის მოსაზრება, სასამართლომ ასოციაციის სიმცდარე „ადვოკატთა შესახებ“ კანონის ვინრო და ტელეოლოგიური განმარტებით დაასაბუთა, რომლის მიხედვითაც, ტესტირებისა და ადვოკატთა ასოციაციაში განწევრიანების სავალდებულოობის დადგენა ემსახურება საადვოკატო საქმიანობის კვალიფიციური, შესაბამისი ცოდნის და კვალიფიკაციის მქონე იურისტის მიერ განხორციელების მიზანს.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ასოციაციის მიერ. უმნიშვნელოვანესია სასამართლოს განმარტებანი სასამართლოს მიერ სარჩელის დასაშვებ სახეობათა განხილვისას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა მოსარჩელის უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით ითვალისწინებს სხვადასხვა პროცესუალურ საშუალებას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შე-

საბამისი სარჩელის სახეების გამოყენება დამოკიდებულია იმ მიზანზე, რომელსაც ისახავს მოსარჩელე. სასკ-ის 23-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის, ხოლო 33-ე მუხლი მავალდებულებელი სარჩელის საფუძვლიანობის პირობებს. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების თაობაზე, ცნობილი როგორც შეცილებითი სარჩელი და სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, ცნობილი როგორც მავალდებულებელი სარჩელი, განსხვავებულ მიზანს ისახავენ.

სარჩელის ეს ორი სახეობა არის უფლების დაცვის ალტერნატიული საშუალებები. სარჩელის სახეობის შერჩევასა და დამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მიზანს. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიზანია არსებული მდგომარეობის შეცვლა და მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა, სარჩელის დასაშვები სახეობა – სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, იგივე სასკ-ის 23-ე მუხლი. ასეთი ალტერნატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის შემთხვევაშიც სარჩელის მიზანი არის არა აქტის გამოცემაზე უარის გაუქმება, არამედ აქტის გამოცემა. მიზნიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა უმნიშვნელოვანესი გარემოება, როდესაც მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმისას, აქტის გამოცემის სასარჩელო მოთხოვნა უმეტესად იმავდროულად მოიცავს უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასაც, ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ალტერნატიული აქტის გამოცემის დავალებას, ორგანოს მოვალეობის შესრულების დავალებას.

სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე უფრო მეტად დაკავშირებულია ნებართვის მოპოვებასთან გამოცემაზე უარის კანონიერების დასადგენად მონაწილეობა არა იმდენად უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი, არამედ აქტის გამოცემაზე მოსარჩელის უფლების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან აქტის გამოცემაზე უარი არის

უკანონო, როდესაც მოსარჩელეს აქვს აქტის გამოცემაზე კანონიერი უფლება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე კანონიერი უფლების ან ინტერესის დადგენის შემთხვევაში ფაქტობრივად დგინდება მოსარჩელის უფლების ხელყოფის ფაქტი.

სახელმწიფოებმა უნდა მოაწყონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტიან სამართალწარმოებას, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით მხარეთა თანასწორობის პრინციპის, ხარჯზე.

ნინო ბერულავა

## ► 6 – 4/2023

### სასამართლო უწყების ჩაბარება

**1. ეროვნულ სასამართლოებმა უწყების ჩაბარებასთან დაკავშირებით სამართლებრივი დახმარება უნდა ითხოვონ შესაბამისი წევრი სახელმწიფოსგან**

**2. ეროვნული ორგანოებს აქვთ ვალდებულება, უზრუნველყონ „სამართლიანი განხილვის“ მოთხოვნები თითოეულ საქმეზე. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

*ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადამწყვეტილება საქმეზე გახარია საქართველოს წინააღმდეგ, 2017 წლის 17 იანვარი*

*მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციის მე-6 მუხლი*

#### I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რათა მისი ქალიშვილი ოფიციალურად დარეგისტრირებულიყო, როგორც რეზიდენტი პირი მის მისამართზე. სასამართლო უწყება გაიგზავნა (მოპასუხის) განმცხადებლის რეგისტრირებულ მისამართზე, რომლითაც მას

მიენოდა ინფორმაცია სარჩელის შესახებ. სასამართლოს კურიერმა განაცხადა, რომ უწყება ვერ ჩაბარდა ადრესატს, რადგან სახლში არავინ ცხოვრობდა და დაკეტილი იყო. სასამართლო უწყება მხოლოდ ერთხელ გაიგზავნა. ინფორმაცია სამართალწარმოების შესახებ გამოქვეყნდა ყოველდღიურ გაზეთში, სასამართლოს ბრძანების საფუძველზე. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი. გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა დაუსწრებლად და მიეთითა, რომ განმცხადებლის ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა. სასამართლომ, მოსარჩელის მეორე სარჩელის საფუძველზე, კვლავ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. აღნიშნული გადაწყვეტილებით, არასრულწლოვანის მიმართ შეიძლებოდა გაცემულიყო საერთაშორისო პასპორტი და მამის თანხმობის გარეშე დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია, მშობლის უფლებების შეზღუდვის ვადის მიუთითებლად. განმცხადებლის ადგილსამყოფელი სასამართლოს მიერ ისევ ვერ დადგინდა და სამართალწარმოების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში. განსხვავებით პირველი დაუსწრებელი სამართალწარმოებისა, უწყება ორჯერ იქნა გაგზავნილი განმცხადებლის რეგისტრირებულ მისამართზე. აღნიშნულ პროცესებში ბავშვის ინტერესების დამცველი - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, თვითონ ცდილობდა განმცხადებელთან დაკავშირებას. განმცხადებლის მეზობლებმა ორგანოს აცნობეს, რომ ბავშვის მამამ სახლი გაყიდა და გაემგზავრა მოსკოვში. განმცხადებელი დავობდა, რომ დაკარგა ყოველგვარი კონტაქტი საკუთარ ქალიშვილთან, სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი ორი დაუსწრებელი გადაწყვეტილებითა და ეროვნული სასამართლოების მიერ შემდგომი უარით - შეეცვალათ აღნიშნული გადაწყვეტილებები.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

სასამართლომ იხელმძღვანელა ეროვნული კანონმდებლობითა და მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციით, რომელსაც საქართველო მიუერთდა 1996 წელს. აღნიშნული კონვენცია არეგულირებს მრავალი სახის სამართლებრივ

საკითხს, მათ შორის, სასამართლოს ან სხვა დოკუმენტების გაგზავნას, სამოქალაქო, სისხლის სამართლებრივი გადაწყვეტილებების აღიარებას, აღსრულებას და შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს შორის თანამშრომლობას სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში. კონვენცია ადგენს, რომ მართლმსაჯულების ორგანო უწყებას აგზავნის დოკუმენტებს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. გარდა ამისა, კონვენცია საშუალებას აძლევს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დანესებულებების აგენტებს, გააგზავნონ დოკუმენტები საკუთარ მოქალაქეებზე და გამოკითხონ ისინი არასავალდებულო წესით. უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, როცა სამართალწარმოებაში ჩართულია პირი, რომელიც ცხოვრობს მინსკის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთაგან ერთ-ერთში, გარდა საქართველოსი, მის მიმართ მოქმედებს მინსკის კონვენცია. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლო დოკუმენტების გაგზავნა უნდა მოხდეს მინსკის კონვენციაში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად და არა ეროვნული საპროცესო კოდექსის მიხედვით (იხ. ას-214-199-2014). სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს თითოეული მხარისგან ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის მონინააღმდეგე მხარესთან მიმართებით. სასამართლო ხაზს უსვამს ეროვნული ორგანოების ვალდებულებას - უზრუნველყონ „სამართლიანი განხილვის“ მოთხოვნები თითოეულ საქმეზე. კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს მოაწყონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტიან სამართალწარმოებებს, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით. თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების,

განსაკუთრებით მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე. კონვენციის მე-6 მუხლის არც ფორმალური და არც შინაარსობრივი მხარე ხელს არ უშლის პირს საკუთარი თავისუფალი ნებით გამოხატულად ან ნაგულისხმევად უარი თქვას სამართლიანი სასამართლოს გარანტიებზე, თუმცა ასეთი უარი დადგენილი უნდა იყოს ცალსახად და უზრუნველყოფილი იყოს მისი მნიშვნელობის შესაბამისი მინიმალური გარანტიებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს პასიურობა საეჭვოა, რადგან ეროვნულ სასამართლოებს შეეძლოთ ეთხოვათ სამართლებრივი დახმარება შესაბამისი წევრი სახელმწიფოსგან, მაგალითად, რუსეთისგან, მინსკის კონვენციის მიხედვით. სასამართლო არ გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ სასამართლო უწყებების გაგზავნა და მედიაში მისი გამოქვეყნების შესახებ განჩინებები ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს - უზრუნველყოს სამართალწარმოების სისწრაფე და ეფექტიანობა, თუმცა, აღნიშნული პროცედურა არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სხვა პროცედურული გარანტიების საზიანოდ, კერძოდ, მხარეთა თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ. სასამართლო უწყებების გაგზავნის შესაძლებლობა მათი გამოქვეყნების გზით, უნდა მომხდარიყო კეთილსინდისიერად და როგორც უკიდურესი საშუალება. მართალია, განმცხადებელს არ მიუწოდებია განახლებული ინფორმაცია მისი ადგილსამყოფლის შესახებ შესაბამისი სარეგისტრაციო ორგანოებისთვის, მისი ქცევა არ იყო ბოლომდე კეთილსინდისიერი, მაგრამ საქართველოს სასამართლო ორგანოების მიერ აღნიშნული გარემოებისადმი მინიჭებული უარესი შედეგები, აშკარად არაპროპორციული იყო. ეროვნულ სასამართლოებს აკლდათ გულისხმიერება დაუსწრებელი სამართალწარმოებების დროს, რაც გულისხმობდა იმას, რომ განმცხადებელს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, მოცემული საქმე ხელახლა განხილულიყო მისი მონაწილეობით, აქედან გამომდინარე დადგინდა, რომ საქმის ხელახალი განხილვის პროცესის დროს აშკარა იყო, რომ განმცხადებელი ნამდვილად იმყოფებოდა რუსეთში, როცა ორი დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, სასამართლოები-

სთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ არც სასამართლო უწყებებს და არც სასამართლო გადაწყვეტილებებს განმცხადებლამდე არ მიუღწევია.

*ნინო ბერულავა*

## ► 7 – 4/2023

### სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით აღიარებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპი, თუმცა, იგი არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება შეზღუდვას.

თავის მხრივ, შეზღუდვა ლეგიტიმურია, თუ იგი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ საფუძველს ემყარება.

**(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

*უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1816-2019*

*სს.კ-ის 215 III მუხლი*

*კონსტიტუციის 31-ე მუხლი*

### I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელე ითხოვდა სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობას, საკუთარი თავის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობასა და თანხის დაკისრებას მოპასუხეებისთვის. თბილისის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი. სააპელაციო სასამართლოს მიმართა მოპასუხემ და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, მან დაგვიანების გამო ვერ შეძლო სხდომაზე გამოცხადება, ხოლო განცხადება სამი დღით ადრე ჰქონდა წარდგენილი, სადაც ითხოვდა სხდომის გაცდენის საპატიოდ ჩათვლას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა

რა აპელანტის მტკიცება, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთგვარ სანქციას იმ მხარის მიმართ, რომელიც თავისი არაკეთილსინდისიერი ქმედებით, არასაპატიოდ უგულვებელყოფს სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო მოქმედების, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო პროცესზე გამოცხადების, შესრულების მოვალეობას. საკასაციო სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია, მაგრამ საჩივარი დასაშვები რომც ყოფილიყო, მას არ ჰქონდა წარმატების პერსპექტივა, რადგან განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა სსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობა. 407 II მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორებს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენიათ. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის ფაქტი. ასევე ის გარემოება, რომ მოპასუხისთვის სათანადო წესით იყო შეტყობინებული საქმის განხილვისა და დანიშნული სხდომის დრო და ადგილი, შესაბამისად, საპატიო მიზეზის არ არსებობის პირობებში, აღნიშნული, სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდა. სსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული „საპატიო მიზეზი“ იმგვარად განიმარტება, რომ მხარეს საპროცესო მოქმედების შესრულება საპატიოდ ჩაეთვალოს, როდესაც მის მიერ წარდგენილი მტკიცებულება ადასტურებს მისგან დამოუკიდებელი

ფაქტორების ზემოქმედებით სადავო საპროცესო მოქმედების შესრულების ობიექტური ხელშეშლით გამოწვეულ შეუძლებლობას. ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ყოველი კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგებისას, სასამართლომ გამოიკვლიოს და დაადგინოს დავის ფაქტობრივი გარემოებები, რაც, ცხადია, თითოეულ შემთხვევაში განსხვავებულია. სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგიც გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებების შეფასებიდან. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით აღიარებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპი, თუმცა, იგი არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება შეზღუდვას. თავის მხრივ, შეზღუდვა ლეგიტიმურია, თუ იგი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ საფუძველს ემყარება. ამგვარ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 230-ე მუხლი. სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამადლებას. ის ემსახურება საპროცესო დისციპლინის განმტკიცებას და პროცესის გამარტივებას. აქედან გამომდინარე, ეს ინსტიტუტი სსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით განმტკიცებული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციაა. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას კანონით გათვალისწინებული წინაპირობები დაცულია, მისი გაუქმება სათანადო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის დასაკმაყოფილებლად მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. განსახილველ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნისას წარდგენილი არ ყოფილა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს.

## ► 8 – 4/2023

**სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანი**

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულების სპეციალურ სახეს წარმოადგენს და იგი არაა ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესებით, არამედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით რეგულირდება.

მისი საპროცესო სამართლებრივი დატვირთვის მიუხედავად, იგი შესაძლებელია გახდეს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

*უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე N ას-1216-1136-2017*

*სსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი*

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა მშენებარე ნაგებობაში წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფილი იყო თავდებობით, მოპასუხემ და მესამე პირმა იკისრეს სოლიდარული პასუხისმგებლობა ამხანაგობის მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებაზე. ვალდებულება დაარღვია ამხანაგობამ, რის გამოც მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დადებოდა მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებას. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ წილის ნასყიდობის ხელშეკრულება იყო ბათილი და, შესაბამისად, არარად იქნა მიჩნეული თავდებობის შეთანხმებაც. აღნიშნულ საქმეზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხეს მიადგა ზიანი. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელი.

თავდაპირველმა მოპასუხემ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველი დავის საგანი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუმართლებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაა, რომლის დაკმაყოფილებაზე უარიც ქვემდგომმა სასამართლოებმა ძირითადად იმით დაასაბუთეს, რომ მოსარჩელემ ვერ გაართვა თავი დელიქტური მოთხოვნის წარმოშობასთან დაკავშირებულ მტკიცების ტვირთს, რასაც არ ეთანხმება კასატორი და პრეტენზიას აცხადებს გასაჩივრებული განჩინების როგორც ფაქტობრივი, ისე - სამართლებრივი დასაბუთების კუთხით. ამასთან, ქვემდგომი სასამართლოები სადავოდ ხდიდნენ საპროცესო ნორმის, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად გამოყენების შესაძლებლობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუმართლებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულების სპეციალურ სახეს წარმოადგენს და იგი რეგულირდება არაა ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესებით, არამედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც იმას ნიშნავს, რომ ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის:

1. გამოყენებული უნდა იყოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება;
2. ეს ღონისძიება უნდა იყოს გაუმართლებელი;
3. უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად უნდა არსებობდეს ზიანი;
4. სახეზე უნდა იყოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

ამ ფაქტების მითითება და მტკიცება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება მოსარჩელეს. ის გარემოება, რომ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად გვევლინება საპროცესო სამართლის ნორმა, არ-

სებითად არ ცვლის ვითარებას. აღნიშნული საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია და სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების მხოლოდ მასზე დამყარება არ ენიშნა დევეტა მართლწესრიგის პრინციპებს. ეს ნორმა მნიშვნელოვანია იმ კონტექსტშიც, რომ იგი, მოსამართლეს აძლევს პრევენციული მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას - ზიანის აშკარა საფრთხის შემთხვევაში, მხარეს შეიძლება დაეკისროს მისი უზრუნველყოფა. ამასთანავე, პირს, რომლის ინტერესების დაცვასაც ემსახურება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, განემარტება ამ ღონისძიების გაუმართლებლობის გამო შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნა კი რეალიზდება დისპოზიციურობის პრინციპის, ე. ი. სასარჩელო მოთხოვნის წაყენების რეალიზებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ დასადგენია გაუმართლებელი ყადაღის პირობებში რა ოდენობით ზიანი მიადგა კასატორს. სწორად ამიტომ, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს, რომელმაც საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად უნდა განსაზღვროს ზიანის მოცულობა და ამის შემდგომ გადაწყვიტოს სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი. სასამართლომ უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი გაუმართლებელ ყადაღასა და დამდგარ ზიანს შორის, რადგანაც მოსარჩელეს, გარდა ყადაღადადებული უძრავი ნივთებისა, სხვა ქონება არ გააჩნდა. ეს ყოველივე მონაშთს დელიქტური ვალდებულების ერთგვარ სახესხვაობას.

ნინო ბერულავა

► 9 – 4/2023

**თვალთმაქცური გარიგება**

**თვალთმაქცური გარიგების დროს ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა, არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა,**

**რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე N ას-1090-2021

სკ-ის 50-ე, 52-ე და 56-ე მუხლები

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ მოპასუხისგან მიიღო გარკვეული თანხა. ეს ხელშეკრულება რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მოგვიანებით მოპასუხემ უძრავ ქონებაზე ამონაწერი განაახლა, სადაც ვალდებულების ნაწილში მითითებული აღარ იყო მოსარჩელის მხრიდან საცხოვრებელი სახლის გამოსყიდვის უფლება. ამგვარად, მოსარჩელემ, ფაქტობრივად, ყველანაირი უფლება დაკარგა ქონებაზე.

ნასყიდობის საგანი მყიდველის ფაქტობრივ მფლობელობაში არ გადასულა და მხოლოდ 4-5 თვის შემდეგ პატრულის მეშვეობით გამოასახლა მოპასუხემ მოსარჩელე.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ სესხის ხელშეკრულება მოპასუხემ შენიღბა ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულებით, რაც თვალთმაქცური გარიგებაა, სესხისა და იპოთეკის ნაცვლად გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობა გაფორმდა იმიტომ, რომ ამით მყიდველმა უფრო მყარი გარანტია მიიღო და მართალია, ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულება ხელმონერილია მოსარჩელის მიერ, თუმცა ნოტარიუსმა დაადასტურა მხოლოდ ხელმონერის ნამდვილობა და უფლება-მოვალეობები არ განუმარტავს. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელის სარჩელი დააკმაყოფილა და ბათილად იქნა ცნობილი მხარეთა შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. სააპელაციო სასამართლომ კი გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნები. სააპელაციო პალატის შეფასებით, განსახილველ საკითხს,



ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეთა მიერ გამოვლენილი ნამდვილი ნების დადგენა წარმოადგენდა. პალატის განმარტებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავო გარიგების დადების დროს მოსარჩელეს სურდა სესხის ხელშეკრულების დადება, მაგრამ ამაზე მოპასუხე არ დაეთანხმა და ამიტომ გაფორმდა ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულება, არასაკმარისი იყო ამ გარიგების ბათილად ცნობისათვის იმ პირობებში, როცა არ დგინდებოდა მოპასუხის ნება - სესხის არსებობის დადგენაზე. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სესხისა და იპოთეკის თაობაზე მხარეთა შეთანხმების (დაფარული გარიგების) არსებობის მტკიცება მოსარჩელეს ეკისრებოდა; მას უნდა წარმოედგინა მტკიცებულებები და დაემტკიცებინა, რომ მხარეებს შორის არსებობდა სესხისა და იპოთეკის გარიგება. ამ გარემოების დამტკიცება შესაძლებელი იყო სესხის ხელშეკრულებით, სესხის სახით თანხის გადაცემის ან მიღების ხელწერილით, ვალის აღიარების ხელშეკრულებით, პროცენტის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებით ან სხვა მტკიცებულებებით, თუმცა, მოსარჩელეს ასეთი მტკიცებულებები სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობას აქვს გარკვეული თავისებურებანი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გამყიდველს უფლება აქვს, დათქმულ ვადაში გამოისყიდოს გასხვისებული ნივთი. ახალ შემძენს უფლება არ აქვს, უარი თქვას სასყიდლის მიღებასა და საკუთრების დაბრუნებაზე. ხელშეკრულების შინაარსი მას ზღუდავს მესაკუთრის აბსოლუტური უფლებით ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგოს გამოსყიდვის უფლებით შეძენილი ქონება. იგი გამოსყიდვის ვადით შეზღუდულია და საკუთრების უფლებას შეიძენს გამოსყიდვისათვის დათქმული ვადის გასვლის შემდეგ. თავის მხრივ, გამყიდველსაც დაკისრებული აქვს ვალდებულება, გამოსყიდვის უფლება მხოლოდ გამოსყიდვისათვის დათქმულ ვადაში განახორციელოს. თუ ის არ

ისარგებლებს შესაბამის ვადაში გამოსყიდვის უფლებით, მაშინ მას ესპობა უფლება, ვადის გასვლის შემდგომ გადაიხადოს ღირებულება და გამოისყიდოს ქონება. რა თქმა უნდა, ქონების გამოსყიდვის უფლება მას არ ერთმევა ვადის გასვლის შემდეგაც, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ ნივთის გაყიდვის უფლება ენიჭება მის ნამდვილ მესაკუთრეს და ის ვალდებული აღარაა იმავე ფასში ან თუნდაც განსხვავებულ ფასში მიჰყიდოს კუთვნილი ქონება ყოფილ მესაკუთრეს. მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, თუ მოსარჩენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება). მხარეები სარგებლობენ ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპით. გარიგების ნამდვილობა მხარეთა ნების თავისუფალ გამოვლენაზეა დამოკიდებული. ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენა. უძრავი ქონების მესაკუთრემ უნდა გამოხატოს ნება, რომ ქონებაზე საკუთრება მყიდველს გადასცეს. კანონმა დაადგინა, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების ფორმა დაცულია, რადგანაც ის გაფორმებულია წერილობით და შეიცავს ყველა აუცილებელ რეკვიზიტს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას ქონება არ გაუყიდა და ნასყიდობის თაობაზე ნება არ გამოუვლენია. მოსარჩელის განმარტებით, მან მხოლოდ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნება გამოავლინა. მოჩვენებითია გარიგება, რომელიც დადებულია იმ განზრახვის გარეშე, რომ მას მოჰყვეს შესაბამისი იურიდიული შედეგი. თვალთმაქცური გარიგებისას მხარეებს სხვა გარიგების დაფარვა სურთ. მოჩვენებითი გარიგების დროს, მისი ბათილობის საკითხი დამოკიდებულია მხარეთა მიერ ჩაფიქრებული მიზნის მართლზომიერებაზე, ხოლო თვალთმაქცური გარიგებისას, ბათილობის შემთხვევაში, უნდა

გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რომელიც შესაძლოა იყოს ბათილი ან არა, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, იგი ბათილია. როგორც მოჩვენებითი, ისე თვალთმაქცური გარიგება მხოლოდ მოსაჩვენებლად დადებული, არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში მხარეებს არ სურთ ამ გარიგებიდან გამომდინარე შედეგის დადგომა. თვალთმაქცური გარიგების დროს ნების გამოვლენის სუბიექტების ნება შეთანხმებულია და მათ განზრახული აქვთ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა, თუმცა, მათი შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვევა ერთმანეთს. დადებული გარიგებით ისინი ფარავენ სხვა გარიგებას, რომლის დადების ნებაც რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში, დგება ამ ნორმის საფუძველზე ნების გამოვლენის ბათილობის საკითხი. თვალთმაქცური გარიგების დროს განხილვის საგანია გარიგების მხარეთა მიერ შინაგანი და გარეგნულად გამოვლენილი ნების ურთიერთმიმართება, ვინაიდან მათ შორის არსებობს შეუსაბამობა. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების საგანს შეადგენს იმ ფაქტობრივი შემადგენლობის დადასტურება, რაც თვალთმაქცური გარიგების ყველა წინაპირობას მოიცავს. ამგვარ ვითარებაში, მხარეთა მტკიცებითი ფორმა, როგორც წესი, ორიენტირებულია მხოლოდ მოწმეთა ჩვენებაზე და მეტი დამაჯერებლობისათვის, მათ მიერ დასახელებულ მოწმეთა თანაფარდობაზე. თუ მოსარჩელის არგუმენტაცია გამყარებულია მოწმეთა ჩვენებებით, ამ მტკიცებულებით უნდა დასტურდებოდეს ყველა იმ გარემოების არსებობა, რომელიც თვალთმაქცური გარიგების შემადგენლობას ქმნის, ხოლო დასკვნა იმის შესახებ ჩაითვალოს თუ არა თვალთმაქცურად გარიგება, უნდა გამოიტანოს სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ხელშეკრულების საგნის ფასს და ამ მიმართებით განმარტავს, რომ ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით ყოველთვის სესხსა და იპოთეკას არ ფარავს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასადგენ გარემოებათა წრეს წარმოადგენს ისეთი ფაქტები, როგორებიცაა, სესხისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, მა-

გალითად, სარგებელი (ყოველთვიური პროცენტი), ქონების ფასი, სესხის სახით აღებული თანხის ოდენობა და მისი გონივრული შესაბამისობა ქონების ღირებულებასთან და ა. შ. მართალია, სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილი მხარეებს აძლევს უფლებას, რომ შეთანხმდნენ ნასყიდობის ფასზე ნივთის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობითაც, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, საპალატო პალატისაგან განსხვავებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გარიგებით განსაზღვრული ფასი აშკარად შეუსაბამო და არაგონივრული იყო ნივთის საბაზრო ღირებულებასთან, რაც კიდევ ერთ ეჭვს ბადებს გარიგების თვალთმაქცურ ხასიათზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოპასუხის მიერ სასამართლოსთვის მიცემულ განმარტებაზე, რომ მის ინტერესებში არ შედიოდა თანხის სესხად გაცემა, მას სურდა უძრავი ნივთის შექენა და არ იყო თანახმა მოსარჩელესთან დადებულიყო სესხის ხელშეკრულება. დასახელებული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ დგინდება გონივრული კავშირი მოპასუხის მიერ მითითებულ ხელშეკრულების დადების მოტივებსა და იურიდიულ მოქმედებებს შორის. კერძოდ, თუ მოპასუხეს ნამდვილად უძრავი ნივთის შექენის სურვილი გააჩნდა, გაურკვეველია თუ რატომ გაითვალისწინეს მხარეებმა ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამოსყიდვის უფლება, რატომ აღჭურვა შემძენმა გამყიდველი ამ უფლებით და რატომ არ დაეუფლა შემძენი უძრავ ქონებას შექენისთანავე. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხარეთა მიერ ფაქტობრივად განხორციელებული მოქმედებები და მოპასუხის განმარტება, რომ მას მხოლოდ უძრავი ქონების შექენა სურდა, არ შეესაბამება ერთმანეთს. ამ გარემოებამ დაარწმუნა საკასაციო პალატა იმაში, რომ გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიზანს მოპასუხის მხრიდან სესხის დაბრუნებისათვის უფრო მყარი გარანტიის შექენა წარმოადგენდა.

ნინო ბერულავა

► 10 – 4/2023

**„სარკისებური ასახვის პრინციპი“**

**გადაწყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ის წესები, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციასთან დაკავშირებით.**

**(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

*უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N ა-2135-შ-46-2015*

*სკს-ის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის ვ) ქვეპუნქტი*

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

უკრაინის ხარკოვის საოლქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც ეფუძნებოდა თანხის დაკისრების შესახებ დავას. მოსარჩელის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება თანხის დაკისრების ნაწილში. მოპასუხე მხარე არ დაეთანხმა წარმოდგენილ შუამდგომლობას და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა. შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო არ იყო კომპეტენტური ორგანო, რომელმაც უნდა ცნოს და აღასრულოს ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილება. მან მიუთითა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, 70-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტებზე, 71-ე მუხლის მე-2 პუნქტზე და 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართვე-

ლოს კანონმდებლობის მიხედვით კომპეტენტურად არ ითვლება და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სწორედ აღნიშნული საფუძვლის არსებობის გამო არ უნდა მოხდეს ხარკოვის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება საქართველოში. მოპასუხე ასაბუთებდა, რომ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველო იყო, შესაბამისად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, აღნიშნულ დავაზე სწორედ საქართველოს სასამართლოს გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია. მან ასევე მიუთითა, რომ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით, მხარეებმა, როცა გამოსატყვევებელი ნება განსჯადი სასამართლოს თაობაზე, ნათლად განსაზღვრეს, რომ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის შეთანხმების გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში, დავას გადაწყვეტდა სასამართლო მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, მოპასუხის ადგილსამყოფელი ქვეყნის მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში კი, მოპასუხე იყო საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირი, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სწორედ, საქართველოს სასამართლოს უნდა განეხილა სადავო საკითხი.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კონკრეტულ დავასთან მიმართებით საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის დადგენა არის სამართლისა და არა ფაქტის საკითხი. მხარეთა ნების ავტონომია საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვან პრაქტიკულ როლს ასრულებს როგორ კოლიზიურ, ასევე, საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ კონტექსტშიც. საპროცესო სამართალში მხარეთა ნების ავტონომიის საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასურველი სასამართლოს საერთაშორისო განს-

ჯადობაზე/საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმების შესაძლებლობა. შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/კომპეტენციაზე წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელ და თვითმყოფად ხელშეკრულებას, რომლის ნამდვილობა და ძალაში შესვლა წესრიგდება მატერიალური სამართლით, ხოლო მისი დასაშვებობა/ფორმა და სამართლებრივი შედეგები კი განისაზღვრება შესაბამისი საპროცესო სამართლით. საქართველოს სინამდვილეში ფორმის საკითხი წყდება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლით, ხოლო ნამდვილობა და ძალაში შესვლაზე გამოსაყენებელი სამართალი კი განისაზღვრება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების 12.2-ე მუხლზე, კერძოდ, „იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ საქმე ექვემდებარება (საერთო სასამართლოების დაქვემდებარების გარდა) შესაბამის სასამართლოში გადაცემას მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით შესაბამისი სასამართლოს რეგლამენტის, მოპასუხის ქვეყნის მატერიალური და პროცესუალური სამართლის შესაბამისად“.

ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსჯადობაში/კომპეტენციაში იგულისხმება სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების გამოყენების ფარგლები. მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი პროცესუალური ნორმების საფუძველზე

განსჯადობის დადგენის შემდეგ ხდება საერთაშორისო განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა.

ქვეყნის შიგნით სასამართლო სისტემა თავად განსაზღვრავს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის ფარგლებს. არ არსებობს ეროვნული სამართლის მიერ წინასწარ დადგენილი რაიმე წესი საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ. თითოეული ქვეყნის სასამართლო თავად წყვეტს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხს და მას განიხილავს იმ ჩარჩოებში, რომელ ჩარჩოშიც ის მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავის განხილვა მის კომპეტენციაში შედის.

საკასაციო პალატა საერთაშორისო კომპეტენციასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციაზეც. განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია („specific contracts“), ძირითადად გამოიყენება ცალკეული სახის სამოქალაქო სამართლებრივი დავების მიმართ.

განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეულ შემთხვევებს ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი. აღნიშნული მუხლის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება: ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია; ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია; გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას; დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა; ე) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უცხო ელემენტის შემცველ დავებთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოები საკუთარი კომპეტენციის დადგენისას ხელმძღვანელობენ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქა-

რთველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებებით (თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომლის ხელშემკვრელი მხარეც არის საქართველო, სხვა რამეს არ ითვალისწინებს). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სასამართლოს მოცემულ დავაზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია. გამომდინარე „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლიდან, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით, საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების (ძალაშია 1996 წლის 6 დეკემბრიდან) 21-ე მუხლის თანახმად, „თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სასამართლოები კომპეტენტური არიან, განიხილონ სამოქალაქო საქმეები, თუ მოპასუხეს მათ ტერიტორიაზე გააჩნია საცხოვრებელი ადგილი. იურიდიულ პირთა მიმართ წარდგენილ სარჩელებზე ისინი კომპეტენტურნი არიან, თუ მოცემული მხარის ტერიტორიაზე არის იურიდიულ პირთა მმართველობის ორგანო, წარ-

მომადგენლობა ან ფილიალი. მე-40 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ცნობენ და აღსრულებენ იუსტიციის დაწესებულებების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე, ხოლო 42-ე მუხლის თანახმად კი, აღსრულების წესი რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე. წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

ამ მხრივ, სახელმწიფოთა მიერ სხვა ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე უარის თქმის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია დათქმა „საჯარო წესრიგის შესახებ“. გარდა ამისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის სხვა შემთხვევებსაც.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში უცხო ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დამატარებელი გარემოება არ არსებობდა.

ნინო ბერულავა

## კონფერენცია „გერმანული და ქართული ნოტარიატის გაცვიფრულება“

ნინო ხარიტონაშვილი

სამართლის დოქტორი, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, ასოცირებული პროფესორი: კავკასიის უნივერსიტეტი, ალტე უნივერსიტეტი, გურამ თავართქილაძის სახელობით უნივერსიტეტ

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ეგიდით და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერით 2023 წლის 3 თებერვალს გაიმართა საქართველოსა და გერმანიის ფედერალური ნოტარიატის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალი და გაიმართა კონფერენცია „გერმანული და ქართული ნოტარიატის გაცვიფრულება“.

მემორანდუმი საქართველოსა და გერმანიის ნოტარიუსთა პალატებს შორის სანოტარო მომსახურების დახვეწისა და განვითარებისთვის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს.

თანამშრომლობის ფარგლებში, ერთობლივი პროექტების საფუძველზე, გაიმართება სამართლებრივი სემინარები, კონფერენციები. მემორანდუმი უზრუნველყოფს, ასევე, სანოტარო საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გამოცდილების გაზიარებას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარემ დავით ფუტკარაძემ და გერმანიის ნოტარიუსთა ფედერალური პალატის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარმა წარმომადგენელმა, სასამართლო მრჩეველმა რიხარდ ბოკმა.

მემორანდუმის გაფორმებას საქართველოში გერმანიის ელჩი პეტერ ფიშერი და საკონსულო და სამართლებრივი განყოფილების ხელმძღვანელი მიხაილ გრიმი დაესწრნენ.

კონფერენცია კონფერენცია „გერმანული და ქართული ნოტარიატის გაცვიფრულება“ გაიხსნა

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის - დავით ფუტკარაძის, გერმანიის ნოტარიუსთა ფედერალური პალატის საერთაშორისო საკითხების მთავარი წარმომადგენლის, სასამართლო მრჩეველის - რიხარდ ბოკის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ელჩის საქართველოში - პეტერ ფიშერის მისასალმებელი სიტყვით.

კონფერენციის მოდერაციას ახორციელებდა სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის იურისტი ჯაბა ჯამაგიძე.

თემაზე „სამართლებრივი დოკუმენტების დიგიტალიზაცია გერმანიაში“ მოხსენება წარმოადგინა გერმანიის ნოტარიუსთა ფედერალური პალატის წარმომადგენელი დავიდ სიგელმა. მან ღონისძიების მონაწილეებს გააცნო „ონლაინ დამოწმების სისტემა და დამოწმებული დოკუმენტების ელექტრონული არქივი“. ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2019/1151 დირექტივის (ციფრული ინსტრუმენტებისა და პროცესების გამოყენებას კომპანიების სამართალში) ფარგლებში აღიარებულ იქნა ნოტარიუსების მნიშვნელოვანი როლი სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და უფლებების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, კომპანიების დაფუძნების ახალი ონლაინ ფორმირების პროცედურა დაინერგა ნოტარიუსების მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში დისტანციური ავთენტიფიკაცია გამოიყენება მხოლოდ კომპანიების ონლაინ ფორმირებისა და რეგისტრაციის

დროს. პროცედურის დროს გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი მიზნები, როგორებიცაა, მხარეთა საიმედო იდენტიფიკაციის უზრუნველყოფა, მხარეთა ქმედუნარიანობისა და თავისუფალი ნების შემონახვა, ყოვლისმომცველი იურიდიული კონსულტაციის განევა და დოკუმენტების ფორმირების მაღალი ხარისხი. შედეგად იქმნება ციფრული ავთენტური აქტი, რომელზე ხელმოწერაც ხდება მხარეთა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით.

თემაზე „ქართული ნოტარიატის გაციფრულება“ მოხსენება გააკეთა სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის იურისტმა ნინო ხარიტონაშვილმა. მოხსენებაში აღინიშნა, რომ გაციფრულების პროექტი ნოტარიუსთა პალატის პრიორიტეტია. დღეისათვის საქართველოს ნოტარიატი ასრულებს ისეთ დისტანციურ სანოტარო მოქმედებებს, როგორიცაა: მინდობილობა, განცხადება/გარიგება, კომპანიის კრების ოქმის დადასტურება. საქართველოს სანოტარო სისტემა გადასულია ელექტრონულ საქმისწარმოებაზე. ერთიან ელექტრონულ სანოტარო რეესტრში ყველა ტიპის სანოტარო მოქმედება რეგისტრირდება. საჯარო აქტის ფორმით შესრულებული სანოტარო აქტები დასკანერებული სახით ინახება ელექტრონულ სანოტარო რეესტრში. პალატა ახორციელებს არქივის დიგიტალიზაციის პროექტს, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით და უსაფრთხოების მაღალი დონით. პალატის სტრატეგიული მიზანია გაიზიაროს ევროპული დირექტივით გათვალისწინებული კომპანიების ფორმირების წესი და ქართულ ნოტარიატში მოახდინოს ციფრული სანოტარო დოკუმენტისა და ხელმოწერის დანერგვა. ციფრული ხელმოწერის დანერგვასთან დაკავშირებით პალატა გეგმავს გაითვალისწინოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება. ამ ეტაპზე საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებაზე.

კონფერენციაში ქართული და გერმანული

ნოტარიატის, იუსტიციის სამინისტროს, სასამართლო ხელისუფლების, ადვოკატთა კორპუსის, მედიატორთა ასოციაციის, სამეცნიერო სფეროს, გერმანული პარტნიორი ორგანიზაციის - IRZ-ის და სსიპ-ების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კონფერენციის დახურვისას შემაჯამებელი სიტყვები წარმოთქვეს ნოტარიუსმა ნინო ხოფერიამ, საჯარო რეესტრის თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ბოხაშვილმა. საჯარო რეესტრის თავმჯდომარის მოადგილის ინფორმაციით, საჯარო რეესტრში იგეგმება ინოვაციური სერვისის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც უძრავი ქონების რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება სახლიდან გაუსვლელად. ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით მოხდება განმცხადებლის ამოცნობა და იდენტიფიცირება და უფლება ტრანზაქციის შესაბამისად დარეგისტრირდება.

ურთიერთთანამშრომლობის ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა შეხვედრა საქართველოს და გერმანიის ნოტარიუსთა პალატების წარმომადგენლებს შორის. მსჯელობა შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა ნოტარიუსთა პროფესიულ კანონმდებლობაში ცვლილებები, სანოტარო დამონმებისას ფულის გათეთრების რისკების პრევენცია, შშმ პირთათვის სანოტარო მომსახურების გაუმჯობესება.

გერმანიის ნოტარიუსთა ფედერალური პალატის საერთაშორისო ურთიერთობების წარმომადგენელმა რიხარდ ბოკმა ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე დავით ფუტკარაძესა და ნოტარიუსებთან კერძო სამართლისა და ნოტარიატის კვლევითი ცენტრის დაფუძნების თემაც განიხილა და ქართულ მხარეს ამ მიმართულებით არსებული გერმანული პრაქტიკა გაუზიარა.

სამუშაო შეხვედრა ქართულ-გერმანული ნოტარიატის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა და მასში მონაწილეობა გერმანულ კოლეგებთან ერთად ნოტარიუსთა პალატის გამგეობის წევრებმა და ნოტარიუსებმა მიიღეს.